ჩემო ლევან!

ბოლო ორმა თვემ ჩემთვის განსაკუთრებულად დაძაბულ კინოგარემოში ჩაიარა. აღარ ჩამოვთვლი, რამდენი კონოგმირის თუ რეჟისორის და ფილმის ნახვა მოვასწარი; მით უფრო, რომ ამ კინოფესტივალების ორგანიზებით ვიყავი მონუსხული, ერთი პირობა, ისიც კი მეგონა, რომ აღარც კი დამთავრდებოდა. უცნაური კი წელს ჩემთვის ის იყო, რომ ამ ხმაურსა და ქაოსში ვერსად ვხედავდი ჩემს ერთ მეგობარს... ეს ყოველ დღე უფრო ცხადი ხდებოდა, მით უფრო, რომ ფესტივალის პროგრამაში იყო ფილმი „ბოლო გასეირნება“, მაგრამ ლევანი იქ არ დამინახავს...

ჟურნალის აწყობის პროცეში გამიასმაგდა ყველაფერი, რაც ლევანთან მაკავშირებდა. ყველაზე აბსურდულ იდეას, რომელსაც მხოლოდ თვითონ ხედავდა კინოდ, შეეძლო განეხორციელებინა სინამდვილეში და ერთდროულად ეჩვენებინა ეკრანზე.

თავისი იდეის ერთგული და ნერვების მომშლელად პრინციპული, და ერთი – გადაწყვეტილების მიღებაში. საბოლოოდ ამ ყველაფრის გამო ხდებოდა მისი ფილმები „ახალი ქართული“ კინო.

ჟურნალის იდეის შესახებ, როდესაც შევიტყვე, დავიწყე ძიება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა მეგობრებში, ვის ჰქონდა ლევანთან მუშაობის უფრო მეტი პროფესიული გამოცდილება.

მერე ეს ყველაფერი ფურცლებზე ავკრიფეთ და აი, გავუზიარეთ ყველას.

ახლა უკვე, როდესაც მის კარიერაზე ვფიქრობ, სწორედ ამ სიტყვას გამოვიყენებ – კარიერაზე, პირველი, მისი შრომის უნარი მიდგება თვალწინ; მერე უკვე ვხვდები მის სიყვარულს კინოს მიმართ, რომელიც მეც ასე მიყვარს.

ყველაფერი კი ჩემთვის ასე დაიწყო...

მე კოროს ლევანოს ვეძახდი; პირველად ჩემთან სტუმრად მოსულ კოროს კარის გაღებისთანავე ასე შევეგებე: ვაა, ლევანო, მოხვედი?!

მას მერე ხშირად ვიყავით ერთად, ძალიან ხშირად!

ყოველთვის მემახსოვრები და შენი მადლიერი ვიქნები იმისთვის, რაც შენ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის შექმენი – ჩვენი კინო!

ნუცი კირცხალია

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

ჩემი და ლევანის კინო

ჟურნალის რედაქტორობა რაღაცით კინოს რეჟისორობას ჰგავს – კოლექტიური და კრეატიული სამუშაოა. ჯერ სცენარი, მერე ნელ-ნელა სტატიებით ივსება ჟურნალის „ქრონომეტრაჟი“, მერე დალაგება – „მონტაჟი“... ერთი სიტყვით, დამწყები რედაქტორისთვის რეჟისორის პროფესია სასარგებლო გამოდგა, და „კინოც“ გადავიღეთ. ეს კინო ლევან კორინთელზეა.

წინასწარ კინოს მოყოლას ვერ ვიტან, არც თქვენ მოგიყვებით – გადაშალეთ ფურცლები და ნახეთ. ჟანრი არ განგვისაზღვრავს – მელოდრამაა, ტრილერი, თუ კომედია. რუსულ სლენგს თუ ვიხმართ „ჟიზნენია“.

ლევანს თუ მოეწონებოდა, ასე მეტყოდა : „ვაა მაჭა, გაასწორა!!!“

და თუ არა – ამას ხმამაღლა არ ვიტყვი, ჩვენი საიდუმლოა.

... კიდევ ერთი ფილმი მაქვს გადასაღები; ეს გაისად, 2013 წელს.

გილოცავთ დამდეგ 2013 წელს და მომავალ შეხვედრამდე, ახლა უკვე კინოდარბაზში. ის კინოც კოროზე იქნება, ამჯერად – დოკუმენტური.

ქეთი მაჭავარიანი

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მიმოხილვა _4გვ

ქართული ფილმების რეტროსპექტივა ბრატისლავაში _8გვ

რუსული კინოს ფესტივალის მიმოხილვა _10გვ

წარმოება დღეს _13გვ

ინტერვიუ მერაბ ნინიძესთან _14გვ

ინტერვიუ რეზო გიგინეიშვილთან _16გვ

"ამერიკა ერთ ოთახში" / რეცენზია _20გვ

"რამინი" / რეცენზია _21გვ

"მანქანა რომელიც ყველაფერს აქრობს" / რეცენზია _22გვ

ფოტორეპორტაჟი "მელოტი ბიჭები" _24გვ

ჩემი კინო _29გვ

კომიქსი "კინოს ამოფარებული" _30გვ

"წერილი ლევანს" / თაკო შავგულიძე _32გვ

"ლევანა" / გიორგი ბერიძე _34გვ

"გაელვება..." / ლევან თუთბერიძე _36გვ

"კოროს კინო" / აკა მორჩილაძე _38გვ

"კორო" / დათო ტურაშვილი _40გვ

"კოროლეონე" / ირაკლი სოლომანაშვილი _42გვ

"ეჭვმიტანილი" / უტა ბერია _44გვ

"წინ წარსულში" / კოტე თაყაიშვილი _45გვ

"ლევან კორინთელი" / ლიზა ციციშვილი _46გვ

"ქართული კინოს სიყვარულით ლევან კორინთელისგან" / ლელა ოჩიაური _48გვ

filmprint

ყდა: მხატვარი თეა თელია

გამომცემელი:
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აღმასრულებელი მენეჯერი:
ნათია კანთელაძე

მთავარი რედაქტორები:
ქეთი მაჭავარიანი, ნუცი კირცხალია

არტ დირექტორი: მანანა არაბული

ფოტოგრაფები: ხათუნა ხუციშვილი, ნიკო ტარიელაშვილი, ლევან სიხარულიძე, ანდრო ერაძე

ლიტერატურული რედაქტორი / კორექტორი: ნინო სვანიძე

პრეპრესი: ალექს კახნიაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: ქეთი მაჭავარიანი, ნუცი კირცხალია, ნინო რაზმაძე, დავით ბუხრიკიძე, ლიზა ციციშვილი, ნიკა გაბედავა, ირინე ჟორდანია, მარიკა გრიგოლიშვილი, მაგდა გოგოლაშვილი, თაკო შავგულიძე, გიორგი ბერიძე, ლევან თუთბერიძე, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, უტა ბერია, კოტე თაყაიშვილი, ლელა ოჩიაური, თაკო ტატიშვილი, ტიმურ ისმაილოვი, ლევან კოღუაშვილი, ნუცა კუხიანიძე, გუკა რჩეულიშვილი, ირინა დემეტრაძე, ქეთა კირტავა, ნესტან ნენე კვინიკაძე, ნიკო ტარიელაშვილი, ნათია ნიკოლაშვილი, ზაზა რუსაძე, ვონა ბროდსკი.

მხატვრები: სოფო ბაზღაძე, სალომე სხირტლაძე

რედაქცია ტელ.: +995 32 2 999200 /
ელ. ფოსტა: info@gnfc.ge

დაიბეჭდა "24 საათის" გამომცემლობაში;
ტელ.: +995 32 2 409445

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს თამარ ტატიშვილს.

ჟურნალი გამოდის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

მადლობას ვუხდით თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმს ფოტომასალების მოწოდებისთვის

[68]



[20]

[80]

"უსათაუროდ" / თამარ ტატიშვილი _50გვ

"როცა "დინოზავრები" ქრებიან" / ტიმურ ისმაილოვი _52გვ

"გასეირნება როტერდამში" / ლევან კოღუაშვილი _54გვ

"აგვისტო 2011" / ნუცა კუხიანიძე და გუკა რჩეულიშვილი _56გვ

კინოსცენარი "ძარცვა თბილისურად" _58გვ

ინტერვიუ გელა ბაბლუანთან _62გვ

ინტერვიუ მოჰსენ მახმალბაფთან _66გვ

ინტერვიუ დიმიტრი ერისთავთან _68გვ

თავისუფალი თემა _71გვ

"007 – ტირილის ლიცენზიით" _72გვ

სპეცპროექტი FEMININ, FEMININ _74გვ

ნიკო ტარიელაშვილის ფოტოპროექტი _80გვ

ინდუსტრია და თანამედროვე ტექნოლოგიები _85გვ

სარაევოს კინოფესტივალის დელეგაცია თბილისში _86გვ

ლოკარნო – ფოკუსი კავკასიაზე _88გვ

კინოსთვის ერთად. საუბარი გიო ცინცაძეზე _90გვ

ფოტოპროექტი. ოპერატორები _93გვ

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის სახიფათო და სასარგებლო კავშირები



>> ნინო რაზმაძე

თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც 3-დან 9 დეკემბრამდე , ნამდვილად განსაკუთრებული იყო და ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც მთლიანად თუ ვერა, 2-3 დღით მაინც დაესწრო მას. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფილმების რაოდენობა და მათ შორის ტიტულოვანი რეჟისორების ნამუშევართა სიჭარბე (თუმცა, არც უამისობა იყო), წლევანდელ ფესტივალს მაყურებელიც ბევრი ჰყავდა, დარბაზებში ხშირად ტევა არ იყო და, რაც მთავარია, თბილისს საფესტივალოდ მრავალი საინტერესო სტუმარი ეწვია.

ახალგაზრდა კინომოყვარულთა და სტუდენტებისთვის ნამდვილი საჩუქარი აღმოჩნდა უნგრელი კლასიკოსის, იშტვან საბოს ორდღიანი მასტერკლასები – სადა, იოლად აღსაქმელი და განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭით გამორჩეული ლექციები, დარბაზიდან დასმულ კითხვებზე ამომწურავი, იმპროვიზირებული პასუხები იქ მყოფ საზოგადოებას კიდევ დიდხანს დაამახსოვრდება. ის კი არა, უკვე ძველებური ბრწყინვალებისგან დაცლილი, კამერული სურათი „კარი", რომელიც ფესტივალის საზეიმო გახსნაზე უჩვენეს, მაინც თბილად მიიღო მაყურებელმა, მიუხედავად იმისა, რომ საბოს ოსტატობა ამ ფილმში მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ იგრძნობოდა. საბოს მასტერკლასები იყო ორდღიანი იმპროვიზირებული მცდელობა, დაენახვებინა მსმენელისთვის, თუ რაში მდგომარეობს კინოს უნიკალურობა, რითია იგი განსხვავებული ხელოვნების სხვა დარგებისგან – კინოს შეუძლია დაგვანახოს ცოცხალი სახე, რომელზეც ემოციათა ცვალებადობა აღიბეჭდება, მსხვილი პლანი. სწორედ ამიტომ რჩება კინო მაყურებელთა მეხსიერებაში ლეგენდარულ მსახიობთა სახეებით. რეჟისორი მხოლოდ სახელი და გვარია, ფილმის გახსენებისას კი ყველანი მსახიობის სახეს ხედავენო. ალბათ, ამ პრინციპის გააზრების გამო, საბოს არაერთ ფილმში გაგვახსენდება დიდი მსახიობების წარმატებული ნამუშევრები და უპირველეს ყოვლისა, მის მთავარ, „საპროგრამო" ფილმებში მთავარი როლების შემსრულებელი – კლაუს მარია ბრანდაუერი. სწორედ ამიტომაც აღნიშნეს კინოს მოყვარულებმა „კარის" ჩვენების დასრულების შემდეგ, რომ, მართალია, ფილმი შედარებით სუსტია, მაგრამ ეს მაინც საბოს ნამუშევარია, თავისი საფირმო ნიშნებით, თემატიკით და ა.შ.

საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე წელს იყო ცნობილი ირანელი რეჟი-

მარცხნიდან მარჯვნივ: კადრი ფილმიდან „ესპანეთი"; რეჟისორი იშტვან საბო და ნინო ანჯაფარიძე; გაგა ჩხეიძე და იშტვან საბო; კადრი ფილმიდან „სამოთხე: სიყვარული"; კადრი ფილმიდან „გორაკებს მიღმა"

ფოტო: ზინჩა ბარნოვი

სორი, მოჰსენ მახმალბაფი. მისდამი მედიის და მაყურებლის ინტერესი განსაკუთრებით დიდი გახლდათ და გულღია რესპონდენტიც დაუზარელად პასუხობდა ყველა შეკითხვას, დაჟინებით მოუწოდებდა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს, – ხელის კამერა აიღეთ და ახლავე გადაიღეთ ფილმი, თუნდაც იაფად, თუნდაც უხარისხოდ, მაგრამ რაც მთავარია, თქვენი სათქმელი უთხარით მაყურებელს, ის, რასაც თქვენ გარდა სხვა ვერავინ მოახერხებსო. მახმალბაფების ოჯახის რეტროსპექტივაში განსაკუთრებით გამორჩეული თავად მოჰსენის ექსპერიმენტული ფილმი „სალამ სინემა" იყო. რეჟისორი კასტინგს აცხადებს, ათასობით ადამიანს სურს კინოში გადაღება, მაგრამ საამისოდ მათ მკაცრი რეჟისორისგან დიდი შეურაცხყოფის, ნამდვილი დაკითხვის ატანა მოუწევთ. როგორ მანიპულირებს ძალაუფლების მქონე ადამიანი მათით, ვისაც ეს ძალაუფლება მხოლოდ შორეულ ბრწყინვალებად ეჩვენება. კინოზე შეყვარებული გოგონები, საბოლოოდ რომ „გაიმარჯვებენ" კონკურსში, თავად იკავებენ მჩაგვრელი რეჟისორის ადგილს და ახლა უკვე თვითონ ჩაგრავენ დანარჩენებს. მახმალბაფი კასტინგზე მოსულ „მსახიობებს" ეუბნება, – ესაა და ეს, თქვენ უკვე ითამაშეთ ფილმში, და ეს ფილმი თქვენი ცხოვრების შესახებაა, თქვენ კი საკუთარ თავს განასახიერებდითო. ეს პრინციპი მან არაერთხელ შეგვახსენა მასტერკლასებზე – რეჟისორი ისაა, ვინც თვალს არ ხუჭავს გარემოზე, ვინც ხელში იღებს კამერას და საკუთარ თავზე, გამოცდილებაზე, კონკრეტულ პრობლემაზე გვიყვება; სხვა დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს.

პუბლიკის აღტაცებული რეაქცია დაიმსახურა მახმალბაფის მეუღლის, მარზიე მეშკინის ფილმმა „დღე, როდესაც გავხდი ქალი" – სამი ნოველა სხვადასხვა თაობის ირანელი ქალების შესახებ ინარჩუნებს გულწრფელობისა და პრობლემის განზოგადების იმ ხარისხს, რომელიც ასე მნიშვნელოვნად მიაჩნია ამ ლეგენდარული კინოოჯახის თითოეულ წევრს. მეშკინს შეხვედრაზე ჰკითხეს, – თქვენი ფილმი ირანში თუ აჩვენეს და რა რეაქცია მოჰყვა მაყურებლისგანო. რეჟისორმა ამოიოხრა, – ნეტავ ეჩვენებინათ, ცენზორებმა ფილმი ეკრანებზე არ გაუშვეს, და როცა საქმის გასარჩევად დამიბარეს, მაგიდის იქით მხოლოდ მამაკაცები ისხდნენ, რომლებიც თვალებში არ მიყურებდნენ, ჩემს მიღმა კედელს ელაპარაკებოდნენო. მარზიე მეშკინის კინო ასეთია – გაიძულებს

თვალი გაუსწორო და, თუნდაც ეს სანახაობა შენთვის უსიამოვნო იყოს, მასზე თვალის დახუჭვის უფლებას არ გაძლევს; გახსენებს, რომ ფილმის მიღმა და ფილმშიც ადამიანები არიან, თავიანთი ტკივილით და მათი ხმა აუცილებლად უნდა მოისმინო.

ფესტივალის კიდევ ერთი საპატიო სტუმარი და ჟიურის წევრი ცნობილი ბრიტანელი სცენარისტი და დრამატურგი, ოსკარის მფლობელი, კრისტოფერ ჰემპტონი იყო. ქართველი მაყურებელი მის ყველაზე აღიარებულ ნამუშევარს, სტივენ ფრირზის „სახიფათო კავშირებს“ კარგად იცნობს. ჰემპტონი მაყურებლის წინაშე რეჟისორის ამპლუაში წარდგა და საკუთარი სცენარის მიხედვით გადაღებული „წარმოიდგინო არგენტინა“ გვიჩვენა; მთავარ როლებში – ანტონიო ბანდერასითა და ემა ტომპსონით. პოლიტიკური სურათი, რომელსაც მიზნად, მახმალბაფისა არ იყოს, სიმართლის თქმა დაუსახავს – 1970-იანი წლების არგენტინული სამხედრო რეჟიმის დანაშაულების შესახებ. ჰემპტონთან შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სცენარისტებისთვის. თეატრსა და კინოში თავისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჰემპტონი კიდევ ერთხელ გვახსენებს ყველას, რომ სასცენარო მასალასთან თავისუფალი, ინტერპრეტატორული მიდგომა ყველაზე სწორი არჩევანია, და არასდროს არ უნდა შევიზღუდოთ არანაირი ჩარჩოთი, რაც პირველწყაროსადმი ერთგულებას სულაც არ გამორიცხავს.

ფესტივალის სექციაში „მსახიობი ფოკუსში“ მაყურებელმა ოთხი ფილმი იხილა – აქედან სამი ლინა ვერტმიულერს, ერთი კი ლუკინო ვისკონტის ეკუთვნოდა. ამ ფილმებს მთავარი როლის შემსრულებელი, იტალიელი კინოვარსკვლავი, ჯანკარლო ჯანინი აერთიანებს. 1970-იანი წლების კინოკლასიკა, ჯანინის განუმეორებელი შარმი, მელოდიური იტალიური ენა... სურვილი, ეზიარო კინოს, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. ალბათ, ამით აიხსნება კვირა დღეს, დილის სეანსზე ვისკონტის „უდანაშაულოს“ სანახავად მოსული მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი – ეს სწორედ ის შემთხვევაა, რაზედაც იშტვან საბო ამბობდა მასტერკლაზე – მაყურებელს ამახსოვრდება სახეები, მსხვილი პლანები – მომხიბლავი ჯანკარლო ჯანინი კი სწორედ ასეთი სახეა ვისკონტის ფილმიდან, ძველი კინოვარსკვლავი, რომელიც საკუთარი დროითი კონტექსტის მიღმაც აქტუალურია და დღემდე აღელვებს მაყურებელს.

ცალკეულ პროგრამებს რაც შეეხება – შეიძლება ითქვას, წლევანდელ ფესტივალზე ქართული ფილმებისადმი ინტერესემა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რუსიკო ჭყონიას



მარცხნიდან მარჯვნივ: ულრიხ გრეგორი; ჯანკარლო ჯანინი; ნიკა თავაძე; მოჰსენ მახმალბაფი და ნინო გამრეკელი; კადრი ფილმიდან „კეისარი უნდა მოკვდეს"; კრისტოფერ ჰემპტონი; რობერტ სტურუა და იშტვან საბო; კადრი ფილმიდან „სიყვარული"

საკონკურსო სურათის „გაიღიმეთ" ნახვის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა. ფილმმა უკვე მოიარა საერთაშორისო კინოფესტივალები და ახლა უკვე დგება დრო, როდესაც ქართველი მაყურებლის წინაშე უნდა წარდგეს. საფესტივალო ჩვენებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, წარმატება გარდაუვალია. ქართველი დედების სილამაზის კონკურსის დრამატიზმითა და იუმორით აღსავსე ამბავი მაყურებელს გულგრილს უბრალოდ ვერ დატოვებს. იმედია, მარტიდან, როცა ფილმი ეკრანებზე გამოვა, მაყურებლის ინტერესი ასეთივე მაღალი იქნება, რასაც ჭყონიას სადებიუტო ნამუშევარი ნამდვილად იმსახურებს.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ქართული დოკუმენტური ფილმებიც – თინათინ გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს", ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის „ინგლისურის მასწავლებელი", ვახტანგ ჯაჯანიძის „ორშაბათიდან ორშაბათამდე" და კიდევ მრავალი სხვა. ქართულ დოკუმენტურ კინოში თითქოს მძლავრობს ტენდენცია, რომელზეც მახმალბაფი ამბობდა – ვაჩვენოთ ის, რაც ვიცით, რაც პრობლემურია და რასაც, ჩვენ გარდა, სხვა ვერავინ აჩვენებს. რა თქმა უნდა, ყველა ფილმზე ეს თანაბრად არ ითქმის, მაგრამ საერთო ტენდენცია აშკარად თვალშისაცემია. იმედია, მხატვრული კინოც მალე აიტაცებს ამ თეზისს, მით უმეტეს, რომ რუსუდან ჭყონიას ფილმში ეს ნიშნები უკვე მძლავრობს.

ერთი სიტყვით, თბილისის მე-13 საერთაშორისო ფესტივალი შედგა – მრავალი საინტერესო ფილმით, რომელსაც ერთი სტატია ვერ დაიტევს; მრავალი საინტერესო შეხვედრითა და იმაზე საუბრით – თუ როგორი უნდა იყოს კინო და რა არის მისი უნიკალური დანიშნულება დღევანდელ სამყაროში, რომელიც წარმოუდგენლად აჩქარებულ რიტმში ცხოვრობს – გვიჩვენოს ადამიანი, ნამდვილი ადამიანი, თავისი სახით, ტკივილებით და პრობლემებით; გველაპარაკოს ინტიმურზე მაშინ, როცა გარემო ინტიმურობას მოკლებული და შეიძლება ითქვას, ანტიჰუმანურია – იქცეს იმ საათნახევრიან გამონაკლისად, როცა თანამედროვე მაყურებელს საკუთარ თავთან შეხვედრის საშუალება მიეცემა, და სულერთია, ეს შეხვედრა სასარგებლო იქნება თუ სახიფათო. ●

ფოტო: ზინკა ბარნოვი

სიყვარულით საქართველოდან

>> ქეთი მაჭავარიანი

1960 წელს, როცა პირველი ქართულ-სლოვაკური ფილმი ნიკოლოზ სანიშვილის „შეწყვეტილი სიმღერა“ გამოვიდა ეკრანებზე, სლოვაკეთი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ნაწილი იყო, საქართველო კი – დიდი საბჭოთა იმპერიის ნაწილი. ფილმში სლოვაკი მიშო ზვარასა და ქართველი ელიკო გელოვანის სიყვარულის ამბავი იყო მოთხრობილი და ყოველივე ორმოციანი წლების სოხუმსა და ბრატისლავას შორის ვითარდებოდა.

ზუსტად 17 წლის შემდეგნ 1977 წელს სლოვაკი დარინას და ქართველი ზაურის სიყვარულმა ორი რაჭა – ქართული და სლოვაკური დააკავშირა თემურ ფალავანდიშვილისა და იოზეფ მედვედის ფილმში „რაჭა, ჩემო სიყვარულო“.

და ამ სასიყვარულო ისტორიების კვალდაკვალ, 35-წლიანი პაუზის შემდეგ ბრატისლავას ქართული კინო ესტუმრა; ესტუმრა, რათა კინოთეატრ „ლუმიერში“ სლოვაკი სინეფილებისა და ქართული კინოს შეხვედრით კიდევ ერთი სიყვარულის ისტორია დაწყებულიყო.

2012 წლის 23 ნოემბერს სლოვაკეთის კინოინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებული ქართული კინოს დღეების პირველი სეანსი სწორედ „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ იყო.

ქართულ დელეგაციას საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე სალომე სეფაშვილი, კინორეჟისორები – ნანა ჯანელიძე და ქეთი მაჭავარიანი წარმოადგენდნენ.

ქართული კინოს დღეები ოფიციალურად ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეებით“ გაიხსნა. გახსნას და შემდეგ კულტურული მოვლენის აღსანიშნავ მიღებას სლოვაკეთში საქართველოს ელჩი ალექსანდრე ნალბანდოვი, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, და სლოვაკეთში მცირერიცხოვანი ქართული დიასპორა ესწრებოდა. კინოს დღეები სლოვაკეთში საქართველოს საელჩოსა და სლოვაკეთის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

ბრატისლავაში ქართული კინოს დღეების ფარგლებში წარდგენილი იყო თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა“ (1955), ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?“ (2011), გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ (2009), ზაზა ურუშაძის „სამი სახლი“ (2008), და ოთარ იოსელიანის „შანტრაპა“. თითოეულ ჩვენებას აუდიტორიასთან შეხვედრა მოსდევდა. აქტიური სლოვაკი მაყურებლის მრავალრიცხოვან შეკითხვებს ქართული დელეგაციის წევრები პასუხობდნენ.

დელეგაციის წევრებს წინ კიდევ ერთი მისია ჰქონდათ – სლოვაკეთის რაჭაში ვიზიტი. სლოვაკეთის კინოინსტიტუტის წარმომადგენლების ალექსანდრა სტრელკოვასა და კატარინა ტომკოვას მასპინძლობით, სტუმრებმა თბილისისა და რუსთაველის ქუჩებზე გავლით ევროპული რაჭის კოლორიტიც იგრძნეს, როგორც – ოდესღაც სტუმრად ჩასულმა ქართველმა მევენახეებმა „რაჭა, ჩემო სიყვარულოს“ დასაწყისში.

ბრატისლავას გარეუბანში, დევინში, იქ, სადაც მდინარე მორავია და დუნაი ერთმანეთს უერთდება და ავსტრიის ახლა უკვე წარმოსახვით საზღვარს მხოლოდ მდინარე ყოფს, ლითონის მავთულებისაგან მოწნული გული დგას. ეს ლითონის მავთულები არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამ საზღვარს ავლებდა და თავისუფლებაზე ოცნებას მდინარის ტალღებში ახშობდა. დღეს ეს გული თავისუფლების, ერთიანობის, საზღვრების ნგრევის სიმბოლოა; როგორც კინო. ●

VEĽVYSLANECTVO GRUZÍNSKA NA SLOVENSKU
MINISTERSTVO KULTÚRY A OCHRANY PAMIATOK GRUZÍNSKA / GRUZÍNSKE NÁRODNÉ FILMOVÉ CENTRUM
MINISTERSTVO KULTÚRY SLOVENSKEJ REPUBLIKY / SLOVENSKÝ FILMOVÝ ÚSTAV
DNI
GRUZÍNSKEHO
FILMU
23.— 26. NOVEMBER 2012
KINO LUMIÈRE / ŠPITÁLSKA UL. 4 / BRATISLAVA
WWW.SFU.SK / WWW.AIC.SK / WWW.GNFC.GE / WWW.AIC.SK/KINOLUMIERE

3 წელი, 17 დღე და 8 საათი რუსული კინოს მესამე ფესტივალი თბილისში

>>დავით ბუხრიკიძე

მარცხნიდან მარჯვნივ: კადრები ფილმებიდან „ურდო“; „მაგნიტური ქარიშხლები“; „ღალატი“; „ბორის გოდუნოვი“; „ვისოცკი, ცოცხალი ვარ“

რუსული კინოს ფესტივალისადმი ორაზროვანი დამოკიდებულებისა თუ სამეცნობიანი პოლიტ-განტოლების ამოუხსნელობის გამო, გადავწყვიტე მეტაფორულ თუ პრეტენზიულ სათაურზე უარი მეთქვა. შედარებით მარტივი გამოსავალი მოვძებნე და კრისტიან მუნჯიუს ცნობილი ფილმის ასოციაცია თავისით გამოვიდა – 3 წელი რუსული კინოს ფესტივალის დაარსებიდან, 16 დღე ფესტივალის შემდგომი რეფლექსია-გააზრებისთვის და 8 საათი ლამის ბედისწერად ქცეულ დედლაინამდე. გზად კი ერთი კვირით, თბილისის მეცამეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე შევიარე...

ავად თუ კარგად, მშვიდად თუ სკანდალების თანხლებით, თანამედროვე რუსული კინოს ფესტივალი ყოველი წლის ნოემბერში იმართება და მისი ორგანიზატორების – გია ბაზღაძისა და კონსტანტინე ლუზინიან-რიჟინაშვილის კრეატივისა თუ შემართების წყალობით, ის უკვე ტრადიციული გახდა. 2012 წელს ფესტივალის ფარგლებში მისი ერთ-ერთი დამაარსებლისა და პრეზიდენტის, ელდარ რიაზანოვის 85 წლის იუბილეც აღინიშნა. ფესტივალის პროგრამების დირექტორი ვიაჩესლავ შმიროვი აღნიშნავს: „ პროგრამაში ის ფილმები აღმოჩნდნენ, რომლებმაც წარმატებას მიღწიეს მსოფლიოს უმსხვილეს საერთაშორისო კინოფესტივალებზე. არანაკლებ საინტერესოა თანამედროვე რუსული კინოს ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და გავლენიანი რეჟისორის, ალექსეი ბალაბანოვის ფილმების რეტროსპექტივა, ხოლო პროგრამაში „კინო აქცენტით“ წარმოდგენილია ქართულ-რუსული კინემატოგრაფიული კავშირები“.

კინოთეატრ „რუსთაველის“ რამდენიმე დარბაზი ხუთ დღის განმავლობაში ნამდვილად არ ყოფილა გადატენილი, თუმცა მაყურებლის რაოდენობა, გასულ წლებთან შედარებით, აშკარად გაიზარდა. ეს გარკვეულწილად კინემატოგრაფიული ინტერესის გაზრდასა და პროგრამის მრავალფეროვნებას უკავშირდება, რაც ქართული „აქცენტით“ გამოკვეთილმა ფილმებმაც დაადასტურა. ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ, რას ფიქრობენ სხვები მათზე, ან როგორ იცვლება უცხოს წარმოგენაში შენი ტრადიცია და კულტურა. ამ კონტექსტში ჯდებოდა ქართული კინოს 100 წლის იუბილე და ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები კადრები ვასილ ამაშუკელის ფილმიდან „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ისევე როგორც სოფიკო ჭიაურელის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და სპეციალუ-

რი პრიზი „კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის“.

უცხოს თემა აქტუალური იყო ფესტივალის გახსნის დღეს წარმოდგენილ ფილმშიც „ურდო“. ანდრეი პროშკინის ფილმი 2012 წელს მოსკოვის 34-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის, „ვერცხლის გიორგით“ დაჯილდოვდა, თუმცა რუსეთში ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ პოლიტიკური თუ რელიგიური სკანდალები არ მოკლებია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ის სწორედ პოლიტიკისა და რელიგიის საკმაოდ მყიფე, საშიშ ზღვაზე ბალანსირებს.

სიუჟეტის მიხედვით, კიევის რუსეთის მიტროპოლიტი ალექსეი 1357 წელს რუსეთის სამხრეთით მდებარე უზარმაზარ სახელწიფოში, მონღოლთა ურდოში მიემგზავრება, რათა ხანის – ჯანიბეკის დაბრმავებული დედა განკურნოს. მონღოლებმა თავის დროზე მიტროპოლიტი „რუს ჯადოქრად“ შერაცხეს და იმედი აქვთ, რომ ის მორიგ სასწაულს მოახდენს. მაგრამ ყველა ცდა მარცხით მთავრდება და დამცირებული, შეურაცხყოფილი ალექსეი ურდოში რჩება, ანუ ჯოჯოხეთში აღმოჩნება...

ფილმისათვის დახარჯული 12 მილიონი დოლარი, ცხადია, მხოლოდ ვიზუალურ მხარეს, ლამაზ პეიზაჟებსა და ეფექტურად გადაღებულ სისხლისღვრას არ ხმარდება. ეს თანხა გარკვეულწილად რუსეთის, როგორც ეთნოკულტურულად ჩამოყალიბებული და მართლმადიდებლობით განმტკიცებული ქვეყნის იმიჯისთვისაც იხარჯება, რაც სრულიად ბუნებრივია; მით უმეტეს, რომ დაფინანსების სოლიდური ნაწილი „მართლმადიდებლურმა ენციკლოპედიამ“ გაიღო. და მაინც, პრესა წერდა, რომ „მონღოლთა სახანო ფილმში გაცილებით მდიდარ და მომხიბვლელ ქვეყნად არის წარმოჩენილი, ვიდრე მოკრძალებული და ღვთისმოშიში რუსეთი“.

რეჟისორ ანდრეი პროშკინის თქმით, „ურდოს“ ნახვის შემდეგ რუსეთის პატრიარქის რეაქცია საკმაოდ თავშეკავებული იყო. ფილმში არის ისტორიული ლაფსუსიც. მაგალითად, მონღოლები, რომლებიც წარმართები იყვნენ, რამდენჯერმე ახსენებენ ალაჰს და გარდა ამისა, ისინი ფილმში არა მონღოლურად, არამედ ყაზახურად მეტყველებენ, რამაც ყაზახები ცოტა გაანაწყენა კიდეც. თუმცა ამას რეჟისორი მხოლოდ ესთეტიკური და არა პოლიტიკური მოსაზრებით ხსნის. ჩემი აზრით, რუსეთში წარმატებული რეჟისორის ახალ ფილმში მთავარი კოზირი მაინც ცნობილი მწერლის, იური არაბოვის კარგი სცენარი და დიალოგებია.

პროგრამაში, სახელწოდებით „დიდი ეკრანი“, ნაჩვენებ ფილმებს შორის უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა რეჟისორის, რომან პრიგუნოვის (ის საბჭოთა დროის ცნობილი მსახიობის, ლევ პრიგუნოვის შვილია) თანამედროვე სტანდარტებზე გამოჭრილი დრამა უცნაური და კონცეპტუალური სახელწოდებით – „dux Lees“. ფილმი მოდური მწერლის, სერგეი მინაევის ამავე სახელწოდების ბესტსელერის ეკრანიზაციაა. მსხვილი საერთაშორისო ბანკის ტოპ-მენეჯერის ცხოვრებას და კარგად აწყობილ „კონვეიერს“ – ფული, გართობა, გოგოები, ნარკოტიკები – მოულოდნელად ანგრევს ჩვეულებრივი, მარტივი ადამიანური თანაგრძნობა. თუმცა, ყოფილი კლიპმეიკერის ფილმში შეუიარაღებელი თვალითაც იგრძნობა პოპ-კულტურის კლიშეები და ზერელეობა.

გაცილებით საინტერესო, მაგრამ ამავე დროს კონიუნქტურული გამოდგა თანამედროვე რუსული კინოს ერთ-ერთი ყველაზე მოდური რეჟისორის, „ბუმერისა“ და „მოკლე ჩართვის“ ავტორის, პიოტრ ბუსლოვის

„ვისოცკი, ცოცხალი ვარ!“ ლეგენდებით გარემოსილი მომღერლის, ბარდისა და პოეტის როლს კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი სერგეი ბეზრუკოვი ასრულებს. მისი თბილისური გასტროლი სექტემბერში (მოსკოვის თეატრ „ტაბაკერკასა“ თანხლებით), რუსთაველის თეატრის სცენაზე გათამაშებული სკანდალის წყალობით, ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენს თეატრალებს. ფილმში ვირტუოზული გრიმის წყალობითა და გარკვეული აქტიორული მიმეზისით იგი მაინც ახერხებს ვისოცკის დაემსგავსოს.

ფილმი რეალურ მოვლენებს ეყრდნობა. 1979 წელს უზბეკეთში გასტროლებზე მყოფი ვლადიმირ ვისოცკის წინააღმდეგ საბჭოთა უშიშროება შეთქმულებას ამზადებს. თუმცა მანამდე „საბჭოთა ბარდს“ კლინიკური სიკვდილი „ეწვევა“, და სწორედ ეს ფაქტი იქცევა რეჟისორისთვის ამოსავალ წერტილად. დაახლოებით ისე, როგორც ბობ ფოსის ლეგენდარულ მიუზიკლში „მთელი ეს აურ-ზაური“. ცხადია, ბეზრუკოვი როი შაიდარი არ არის და ვერც ვისოცკის შვილის, ნიკიტა ვისოცკის სცენარს დაწაფებული რეჟისორი (პლუს ტალანტი) ქაჩავს ბობ ფოსის ფანტაზიამდე. ტაშკენტში ჩაშლილი კონცერტის მაყურებელი თითქოს წარმოსახვა და მოჩვენებაა, მხოლოდ ვისოცკია რეალური; მხოლოდ ის ხედავს მოვლენებს სინამდვილეში. მოკლედ, დასკვნა ასეთია – პოეტი მარტოა ზომბების სამყაროში.

არადა, ჯობდა, რეჟისორს მეტი პირდაპირობა და გაბედულება გამოეჩინა და შეულამაზებლად აესახა ის ჯოჯოხეთური ხუთი დღე, რომელიც ვისოცკიმ ტაშკენტის კლინაკაში გაატარა... ცხადია „კგბ“-ს „დახმარებით“, რომელმაც მას ლამის მომაკვდინებელი დოზა ნარკოტიკი გაუკეთა, თუმცა მომღერალი მაინც გადარჩა. ეს გარკვეულწილად მარგინალური ისტორია რეჟისორს სურს, მომგებიანად აქციოს, მაგრამ საბოლოოდ პირიქით გამოდის – საბჭოეთის ყველაზე პოპულარული ბარდი ტაშკენტში ნარკოტიკებისა და „შავი ფულის“ – ანუ 450 მანეთის გასაკეთებლად ჩადის!

რუსული კინოს ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფილმი აღმოჩნდა ცნობილი თეატრალური რეჟისორის, კირილ სერებრენიკოვის ფილმი „ღალატი“, რომელიც 2012 წელს ვენეციის კონოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა და კრიტიკოსთა მოწონებაც დაიმსახურა.

ფილმი ევროპულ-რუსული კოპროდუქციაა და მის წარმატებას სწორედ ევროპელი მსახიობების კარგი თამაში ამყარებს. ადიულტერულ დრამაში მთავარ როლებს გერმანელი ფრანსისკა პეტრი და შვეიცარიელი დეიან ლილიჩი თამაშობენ.

შემთხვევით გაცნობილი ქალი და მამაკაცი მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ მათი მეუღლეები საყვარლები არიან. ეს ფაქტი მათ ჯერ შოკში აგდებთ, მაგრამ მალე იწყება დაახლოება, მერე თანაგრძნობა, რომელიც მალე გადადის ნამდვილ სასიყვარულო ურთიერთბაში. ჯერ კიდევ ვენეციის კინოფესტივალის დღეებში კინოკრიტიკოსები წერდნენ, რომ სერებრენიკოვის „ღალატი“ ბილი უაილდერის მიერ 1944 წელს გადაღებული კლასიკური ტრილერის, „ორმაგი დაზღვევის“ შორეული გამოძახილია და მას ანდრეი ზვიაგინცევის ფილმს, „ელენესაც“ ადარებდნენ. თუმცა ბალანსი „ცეცხლსა და ყინულს“, ანუ ქალსა და მამაკაცს, გრძნობას და გონებას შორის, მაინც საგანგებოდ გათლილი და ევროპულ არტ-ჰაუზზე გათვლილი მეჩვენება.

პროგრამა „ფესტივალის მეინსტრიმი“ რამდენიმე ფილმით იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის ალბათ ყველაზე საინტერესო გამოდგა კლასიკოს ვადიმ აბდრაშიტოვის რამდენიმე წლის წინათ გადაღებული „მაგნიტური ქარიშხლები“. იგი ურალის ერთ პატარა ქალაქში მცხოვრებთა დრამას, უფრო ზუსტად მათ სოციალურ და ფსიქოლოგიურ დეგრადაციას ასახავს. გაჩერებული გიგანტური მეტალურგიული ქარხანის ქონებას მეპატრონენი და მუშები ვერაფრით იყოფენ, რის გამოც, ფილმის ლამის ყველა ძირითადი ეპიზოდი ცემა-ტყეპით მთავრდება. ხშირად ეს ურბანისტული, სასტიკი და პირქუში სოციალური პეიზაჟი აბდაშიტოვის ფილმების მთავარი ფონია (ან თუ გნებავთ, თემაც), რომელსაც დამაჯერებლობას ჰმატებს ალექსანდრე მინდაძის სცენარი. სცენარისტისა და რეჟისორის ასეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ტანდემი ძალიან იშვიათია არა მხოლოდ საბჭოთა და რუსული კინოს ისტორიაში.

ამავე პროგრამაში უჩვენეს ვისბადენის წლევანდელი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულის, ვასილი სიგარიოვის ფსიქოლოგიური ტრილერი „იცხოვრო“. სიგარიოვს, სერებრენიკოვის მსგავსად, ასევე თეატრში მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს, რაც მას უდავოდ ეხმარება მსახიობთან ურთიერთობისა და მუშაობის პროცესში. ნამდვილად შეიძლება დაეთანხმო კრიტიკოსებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ „ეს არის ახალი რუსული კინოს ყველაზე პირქუში და ბნელი სურათი“. ვერ გეტყვით, ეს ტოტალური განაჩენია თუ ოპტიმიზმისკენ ბიძგი ან წახალისება, მაგრამ ფაქტია, რომ დეპრესიულ მსხვილ პლანებზე აგებული ფილმის შემდეგ სიცოცხლის სურვილი გაგიქრებათ. სხვათა შორის, რომელიღაც გერმანელ კრიტიკოსს სიგარიოვის „იცხოვრო“, ლარს ფონ ტრიერის „სიბნელეში მოცეკვავისთვისაც“ კი შეუდარებია.

„21-ე საუკუნის რეჟისორების“ პროგრამაში ორი ფილმი შეიძლება გამოვარჩიოთ – ვლადიმირ მირზოევის „ბორის გოდუნოვი“ (პუშკინის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მიხედვით), და პაველ კოსტომაროვის „მე შენ მიყვარხარ“. აღსანიშნავია, რომ პაველ კოსტომაროვმა, როგორც ფილმის ოპერატორმა, 2010 წელს ბერლინის კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ დაიმსახურა.

მირზოევის ფილმი კლასიკურ პოსტმოდერნისტულ სქემას მისდევს. პუშკინის პერსონაჟებს ის თანამედროვე გარემოში, ატმოსფეროსა და სამოსელში მოაქცევს. დაახლოებით ისე, როგორც ბას ლურმანი ახერხებს გაათანამედროვოს შექსპირის „რომეო და ჯულიტა“; თუმცა, ეს ნაკლებად ეფექტურად გამოსდის. ამიტომ ხანდახან მართლაც მწარედ გეცინება, როცა პუშკინის ნატიფი პოეზია ღამის კლუბებსა და „ლენდ კრუიზერში“ გესმის... პაველ კოსტომაროვი კი გაბედულად ანდობს კინოკამერას პოლიციელს, მოზარდს, შეყვარებულ გოგონას. ერთი სიტყვით, რაღაც „დოგმის“ მაგვარს იღებს თუმცა ბევრად „ჭუჭყიანად“ და მხატვრული ეფექტის გარეშე.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ფესტივალის ფარგლებში ცნობილი რეჟისორის, სერგეი ბალაბანოვის ფილმების რეტროსპექტივა, რომელსაც, სიმართლე ვთქვათ, არც ისე ბევრი მაყურებელი ჰყავდა. არადა, ბალაბანოვი რამდენიმე კარგი ფილმის ავტორია; მათ შორისაა თბილისში ნაჩვენები „ცეცხლფარეში“, რომელსაც რუსული კინოს ფესტივალზე – „სარკმელი ევროპაში“, 2010 წელს კინოკრიტიკოსთა გილდიის პრიზი – „სტალკერი“ მიეკუთვნა. ●

წარმოება
დღეს

როლები, პრიზები და ფიქრები კამერის წინ...
მერაბ ნინიძე

>> ქეთი მაჭავარიანი

კადრი დიტო ცინცაძის ფილმიდან „შემოჭრა"

ჩემი ვირტუალური ინტერვიუ მერაბ ნინიძესთან ნოემბრის შუა რიცხვებში შედგა. „ფილმპრინტის" წინა ნომერში მერაბთან ვრცელი და საინტერესო დიალოგი დაიბეჭდა. ამჯერად ინტერვიუს მიზეზი მერაბის მორიგი გამარჯვება იყო. მსახიობმა დიტო ცინცაძის ფილმში „შემოჭრა", სანკტ პეტერბურგის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოქროს ანგელოზი" მოიპოვა. მანამდე კი იყო ფილმის აღიარება მონრეალის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც „შემოჭრა" ჟიურის სპეციალური გრან პრით დაჯილდოვდა.

ჩვენი ინტერვიუს მომენტში მერაბს ფილმი ნანახი არ ჰქონდა და ქართველ მაყურებელთან ერთად თბილისის კინოფესტივალის დახურვაზე მის ნახვას ელოდა.

მერაბ ნინიძე: „შემოჭრა" ჯერ ნანახი არ მაქვს. ფესტივალზე პეტერბურგში ვერ მოვხვდი. პრიზის ასაღებად დიტო დარჩა. პიტერში ბევრი მეგობარი მყავს და დიტოს ვთხოვე, სცენაზე რომ ახვალ, ჩემს მაგივრად მადლობა გადაიხადე-მეთქი. ისე მოხდა, რომ დიტო დაავიწყდათ; გამოვიდა სცენაზე წამყვანი, გამოაცხადა ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციაში გამარჯვებული და დაამატა, – პრიზიორი აქ არ იმყოფება, ისევე როგორც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი მერაბ ნინიძეო.

ასე მივიღე ეს პრიზი.

fp დიტო ცინცაძის უკვე მეორე ფილმში თამაშობ, პირველი „მედიატორი" იყო. ჩემი აზრით, „მედიატორი" დიტოს არანაკლებ საინტერესო ნამუშევარი იყო, ისევე როგორც შენი როლი, მაგრამ სამწუხაროდ, „შემოჭრისაგან" განსხვავებით, ფილმი ნაკლებად აღიარებულია.

იმ ფილმებზე საუბარი, სადაც მე ვთამაშობ, მეუხერხულება, მაგრამ „მედიატორი" მართლაც განსაკუთრებული იყო. როცა ფილმი

ვნახე, მომეწონა „შავი იუმორით“ , სიმძიმითაც და საინტერესოდ მოყოლილი ამბით. მოკლედ, მომწონს. თუმცა, ყველა ფილმს თავისი ბედი აქვს.

„შემოჭრაზე“, როგორც მაყურებელი, ვერაფერს გეტყვით; ფაქტურაც კი არ ვიცი; არ ვიცი, როგორი გამოსახულებაა. დიტოს აქვს ერთი თვისება – მასთან ძალიან თამამად, თავისუფლად გრძნობ თავს; შეთამაშებული ხარ, ისეთი ხერხი აქვს, ისე გიბიძგებს რაღაცებისაკენ, ისე იოლად, და არასდროს არ არის დაძაბული; არ არის ტვინის ჭყლეტის ატმოსფერო – ისე აკეთებს, რომ აუცილებლად გამოვა. დიტო აზარტში გაგდებს და შენ თვითონ პროცესის აქტიური თანამონაწილე ხდები, ავტორი, და არ გაქვს შეგრძნება, რომ იქ ზიხარ; და როცა გეტყვიან გადახვიდე, გადახვალ ან რომ გეტყვიან, – გაიხედო, გაიხედავ. დიტო ბავშვივით დამუხტულია.

ამ ფილმში ჩემთვის ცოტა უჩვეულო როლს ვთამაშობ, ცოტა განზოგადებულ სახეს, რაღაც უარყოფითს, დემონურ პერსონაჟს. ასეთი როლების შესრულება მე ხშირად არ მიწევს. იმიტომ კი არა, რომ მე „ კაი ტიპი“ ვარ, უბრალოდ, ეს გმირები მოდიან შენსკენ. აქამდე ასეთი გმირი ჩემთვის არავის შეუთავაზებია. დიტომ რომ შემომთავაზა და წავიკითხე, ვერ ვთქვი ეგრევე, რომ ეს ჩემთვის ზედგამოჭრილია. დამჭირდა ადაპტაცია, რომ გმირში შევსულიყავი, როგორც უცხო კანში.

fp ესეც ალბათ თავისებური გამოწვევა იყო შენთვის, როგორც მსახიობისთვის?

ამ ფილმში ისეთი რაღაცები ხდება და იმდენად ისეთ რამეებს უკეთებენ ფილმის გმირები ერთმანეთს, თითქოს ეს ნორმაა. ამიტომ ვუწოდებ ჩემს გმირს დემონურს. მე კი არ განვსჯი მათ, რომ ისინი ცუდები არიან და ჩვენ კარგები; არა უბრალოდ, ყველანი რაღაც დემონით შეპყრობილები არიან, თითქოს რაღაც ძალა აკეთებინებს მათ ამ საქმეებს. წინასწარ არ მოვყვები ბევრს.

როლი იყო გერმანულ ენაზე და დიტოსთან პირველად ვითამაშე გერმანულად. ყველა დიალოგი გერმანული იყო. ხანდახან ვბრაზდებოდი კიდეც, ქართულად რომ არ იყო დიალოგები. დიტოსთან ვურთიერთობდი, ბუნებრივია, ქართულად და მერე უნდა მიტრიალდე კოლეგებისკენ და ეს ყველაფერი გერმანულად გადათარგმნო. ეს ხანდახან ნერვების მომშლელი ხდებოდა. უცებ მუშაობ რეჟისორთან, პოულობ ზუსტ რაღაცას, და მერე ეს უნდა თარგმნო.

მართალია, ჩემს გმირს აქვს ქართული სახელი და გვარი, მაგრამ აქ ეროვნებას მართლა არ აქვს მნიშვნელობა. ნაციონალობა ამ შემთხვევაში პირობითია. დიტომ ჩემი, როგორც მსახიობის, ეროვნება შეინარჩუნა. ქართველს ვთამაშობ და ერთი ქართული ფრაზაც არ არის; ერთხელ გაისმება მხოლოდ „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“.

ფილმში სულ ხუთი პერსონაჟი ვართ; პატარა, კამერული ისტორიაა. ყველა თავის თემას აწვება. ამ ფილმს ალბათ, ჩემი წინა ფილმისგან განსხვავებით (რეზო გიგინეიშვილის „ სიყვარული აქცენტით“), 200-მილიონიანი აუდიტორია არ ეყოლება, მაგრამ ეს სხვა კინოა.

fp თუმცა შენთვის, როგორც მსახიობისთვის, ამას მნიშვნელობა არა აქვს?

არა, მაგაზე არ ვფიქრობ. მაყურებელზე რომ ვიფიქრო იმ დროს, როცა კამერის წინ ვდგავარ, მაშინ ყველაფერი წყალში ჩაიყრება. რომ წარმოიდგინო, რამდენი ადამიანი შეხედავს, ამან შეიძლება ისე შეგაშინოს, რომ გაიქცე. როცა ფიქრობ მხოლოდ შენს ნათესავებზე, რომ ისინი გნახავენ, ისიც ისე გერიდება...

fp თუმცა, შენი კარიერის დასაწყისში, თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“ რამდენმა მილიონმა გნახა?

ეს სიურეალისტური ამბავი იყო. ვერაფერს ვხვდებოდით თითქმის, სანამ ჯგუფის ძირითად წევრებს თავის ფასში – 5000 მანეთად, „ჟიგულები“ არ დაგვირიგეს. მე მაშინ ტარება არ ვიცოდი და, ზუსტად 2 საათში გავყიდე. ეს იყო წარმატება, რომელიც ჩემამდე, 17 წლის დამწყებ მსახიობამდეც მოვიდა.

fp უახლოეს მომავალში რა ფილმში გიხილავთ?

ალექსეი გერმან უმცროსის ფილმში „ელექტროღრუბლის ქვეშ“. გერმანი საკმაოდ დიდი შუალედებით მუშაობს. მაისში ვიღებდით, აგვისტოში უნდა გაგვეგრძელებინა, ალბათ მალე დამთავრდება.ფილმი ნოველებისგან შედგება. ჩემს ისტორიაში ჰუსარი ვარ. როცა სცენარი წავიკითხე, ისე მომეწონა – ქართველი ჰუსარი თანამედროვე ეპოქაში. მე ვთამაშობ გიდს, რომელსაც ჰუსარის ფორმა აცვია და ერთ-ერთ მამულში ჩასულ ჩინელ, თურქ და სხვადასხვა ეროვნების ტურისტებს უხსნის ამ მამულის ისტორიას. ერთი სცენა ჩინურად მაქვს, როცა ჩემი გმირი ჩინელ ტურისტებს უყვება.

ძალიან ძნელი იყო ჩინურად ლაპარაკი. ვცდილობდი, კამერასთან ზურგით მოვხვედრილიყავი.

ჰამბურგში ახლა მეწყება გადაღებები. ფილმის სათაურია „მტრების ბანაკში“, ბესტსელერის ეკრანიზაციაა. ეს არის ფილმი საერთაშორისო ტერორიზმზე; ვთამაშობ კადაფის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც ჰამბურგში იმალება და იძებნება, თუმცა მის იდენტიფიცირებას ვერ ახდენენ. ჩემი გმირიც ამტკიცებს, რომ ის არაა, ვისაც ეძებენ; და მთელი ფილმიც დუალიზმზეა აგებული. საინტერესო უნდა გამოვიდეს...

„შემოჭრა“ კინომოყვარულთა ნაწილმა უკვე იხილა 8 დეკემბერს, ნაწილი ინტერნეტში მეკობრულ ვერსიას დაელოდება, ვიღაც ევროპაში მოგზაურობისას შემთხვევით კინოთეატრში თუ გადააწყდება. მერაბის მომავალ როლებს ჯერ 2013 წლის საფესტივალო განაცხადებში დაველოდებით, და მერე გრძელი და ხანგრძლივი გზით ეს ფილმებიც მოაღწევენ ქართველ მაყურებლამდე.



კინო აქცენტით
რეზო გიგინეიშვილი

>>ლიზა ციციშვილი

ძალიან პირადული ფილმი – ასე უწოდა რეჟისორმა ირონიულ კომედიას. რეზო გიგინეიშვილმა სცენარის ავტორებთან ერთად 5 განსხვავებული ისტორია ერთ ფილმად აქცია. ფილმი ნამდვილ გრძნობებზე, სიყვარულსა და რუსულ ქართულ ურთიერთობებზე რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის მეხუთე მასშტაბური ნამუშევარია... „სიყვარული აქცენტით" პოსტსაბჭოთა სივრცეში და საქართველოშიც უკვე ნახეს. მხატვრული ფილმის პირველი ჩვენება მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

fp რეზო, პრინციპში ალბათ დადგა დრო, პირველი შეფასება გავაკეთოთ. როგორ ფიქრობთ, შედგა თუ არა თქვენი ფილმი; როგორი იყო გამოხმაურება?

ვფიქრობ, ფილმი მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებად არ უნდა განიხილებოდეს, თუმცა ეს ფილმი თავისთავად მხატვრული თვალსაზრისითაც საინტერესოა; ისევე როგორც მოვლენა, რადგან ბოლო პერიოდში, რომ არ ვთქვათ ათწლეულების მანძილზე, ასეთი მასშტაბის ფილმი, ხარისხს არ ვგულისხმობ, არ გადაღებულა; მასშტაბი, რომელმაც ამ რაოდენობის მაყურებლი მოიცვა, სადაც ერთობლივად მუშაობდნენ რუსი და ქართული გადამღები ჯგუფის წევრები. ეს ფილმი ჩემთვის განსაკუთრებული და ძალიან პირადულია, რადგან მას შემდეგ რაც სასწავლებლად „ვგიკში" მივედი, სულ მინდოდა ფილმის გადაღება სამშობლოში. ყოველ დღე ვცხოვრობ და ვმუშაობ რუსეთში, მაგრამ ყველა ჩემი ფიქრი და ემოცია საქართველოსკენაა მომართული. ამიტომ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ჩემთვის დღემდე ერთიან კულტურულ სივრცედ რჩება, ასეთი ფილმის გამოჩენა მნიშვნელოვანი მგონია.

fp რა შეიძლება ჩაითვალოს ამ ფილმის მთავარ მიღწევად?

მთავარი, რასაც ამ ფილმით მივაღწიეთ, მთელი ამ ისტერიის და პიარის შემდეგ, არის ის, რომ აქ ჩანს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, ომის მიუხედავად. საქმე ისაა, რა იმალება ამის მიღმა, და ის, რომ მთავარია ადამიანური ურთიერთობები, თუმცა პოლიტიკური პრობლემებიც, რა თქმა უნდა, არსებობს და მათი გადაჭრაც აუცილებელია. მე უფრო ის მაინტერესებდა, კულტურულ- ზენობრივად რა გვაერთიანებს, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ურთიერთპატივისცემის შემთხვევაში, ბევრი სხვა პრობლემა იოლად გადაიჭრება. შეიძლება ეს ჩემი ერთგვარი რომანტიკული და დრამატული ხედვა იყოს, მაგრამ მთავარი კიდევ ისაა, რომ მაყურებელი მოსკოვის, ან კიევის, პეტერბურგის, ეკატერინბურგის და თბილისის კინოთეატრებიდან ერთანაირად კმაყოფილი გამოდიოდა... ეს ფილმი არის თაობებისთვის. ვღებულობდი წერილებს, რომლებშიც მწერდნენ, რომ ამ ფილმს ნახულობდა სამი სხვადასხვა მსოფმხედველობის, ასაკის, და გემოვნების თაობა და სამივე კმაყოფილი რჩებოდა. 4-ათასიან დარბაზებში აპლოდისმენტებს ვიმსახურებდით არამარტო იმიტომ, რომ კარგი ფილმი გადავიღეთ, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, იყო რაღაც ემოცია, რომელიც მაყურებელს ყველგან ერთნაირად მოენატრა. ჩვენ ვეცადეთ გადაგვეღო ღია, გულწრფელი, მგრძნობიარე ფილმი და გვეჩვენებინა ის, რაც გვიყვარს და რაც გვინდა, რომ იყოს მომავალში. მე მიჭირს საკუთარი ფილმის შეფასება. თუმცა, პრესკონფერენციებზეც ტრადიცულად კრიტიკული ჟურნალისტები დგებოდნენ და, კითხვის დასმის ნაცვლად, სიყვარულს გვიხსნიდნენ. ალბათ მთავარი ისაა, რომ მაურებლის დიდმა ნაწილმა ფილმი რამდენჯერმე ნახა, და კინოთეატრიდან გამოსვლის შემდეგაც ემოცია რამდენიმე დღე თან დაჰყვებოდა.

fp გადასაღებ მოედნად სამშობლოო აირიჩიე ... ფილმის გადაღება თავდაპირველად მხოლოდ თბილისში იყო ჩაფიქრებული; რატომ გაიზარდა შემდეგ მასშტაბი, და როგორი შთაბეჭდილებები შეგექმნა მუშაობისას საქართველოს გარშემო მოგზაურობის დროს?

მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეს ამ ფილმით ჩვენ ვაჩვენეთ სულ სხვა ქვეყანა. არა ის, რომელზეც ტელევიზიის საშუალებით გველაპარაკებიან, არამედ ქვეყანა, რომელიც უყვართ; სადაც ნიჭიერი და ტრადიციულად სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ეს არ არის საბჭოთა კინემატოგრაფის მიმბაძველი ფილმი, არამედ ეს არის უბრალოდ თანამედროვე კინოფილმი; არამარტო ნოსტალგიური, თუმცა მთავარი ფესვი სწორედ

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

ნოსტალგიაა. ამ განწყობით მთავარი მიზანი იყო, გაგვხსენებინა და ერთად მოგვეკრიბა ის, რაც ყველაზე მეტად ღირებულია ქართულ კინემატოგრაფში ჩემთვის. ეს არის ახლებურად დანახული საქართველო. ფილმის შექმნის დროს მე გამუდმებით ვფიქრობდი დედაზე, მის მეგობრებზე და მინდოდა, რომ ამ ფილმით შემეთავაზებინა ის მთავარი ღერძი, რაც გავაკავშირებს მე და ჩემი მშობლების თაობას.

fp როგრი იყო გადასაღები მოედანი? არსებობდა თუ არა ყველანაირი პირობა ქართული და რუსული გადამღები ჯგუფების ერთობლივი, დაუბრკოლებელი მუშაობისთვის.

ალბათ გასული საუკუნის 90-იან წლებში ფილმის გადაღებას და, მით უმეტეს, ჯგუფის ჩამოყვანას ვერ გავრისკავდი. თუმცა, ახლა დავინახე, რომ ფილმის გადაღებისთვის საქართველოში ყველა პირობა არსებობს

მე შემეძლო მეამაყა ჩემი კოლეგების წინაშე, როცა ვათვალიიერებინებდი ჩემს სამშობლოს. ჩამოვდიოდით თბილიში... მერე ადიხარ მთებში ყაზბეგში, სადაც მკაცრი მოსახლეობა ცხოვრობს და უყურებს მაღალ მწვრვალებს. ამ ფილმზე მუშაობისას მე მივხვდი, რომ საქართველო მართალც მრავალფეროვანია, ერი კი – ნიჭიერი. ამ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მისივე ხალხია. მე ვოცნებობ, რომ განათებულ გზებს ერთდროულად ხალხისკენ და ტაძრისკენ მივყავდეთ. როცა გადამღები ჯგუფის ქართველი და რუსი წევრების ურთიერთობას თვალს ვადევნებდი, ეს იმის ფიქრის საფუძველს მაძლევდა, რომ ფილმი გამოვა.

fp რა იყო ამ ფილმის მთავარი მისია. იყო თუ არა ის ნაწილობრივ პროპაგანდისტული ?

მისიონერული ფილმების დიდი მოწინააღმდეგე ვარ. ძალიან რთულია, შექმნა რაიმე ღირებული, თუ მასში ამგვარი მასშტაბის პროპაგანდისტულ იდეას დებ. ჩვენთვის მთავარი იყო სიყვარული და შეგრძნება, რომ ჩვენ ამ ქვეყნის შვილები ვართ. აი, როცა შენთან სტუმარი ჩამოდის, შენ ერთდროულად გინდა ყველაფერი გაუზიარო, გადასცე და აჩვენო, რით ხარ მდიდარი. ამ ფილმის შექმნისას ერთგვარი მთავარი ბიძგი იყო ჩემი დამოკიდებულება ჩემს ცოლთან, ნადიასთან და შევეცადე, ამით მელაპარაკა მაყურებელთან და მეჩვენებინა ჩემი პირადი სიყვარული საქართველოსადმი. სცენარიც გადასაღებ მოედანზე ხშირად იცვლებოდა, რეალობებიდან გამომდინარე. ჩვენ არ შეგვეძლო სცენარი დაგვეწერა მოსკოვში, და შეგვექმნა სამყარო, რომელშიც ჩამოვიდოდით და მივხვდებოდით, რომ მასში გმირები ვერ იარსებებდნენ.

fp როგორ გაჩნდა ფილმის შექმნის იდეა?

იდეა ძალიან მარტივი იყო. დამირეკა არჩილ გელოვანმა. ვფიქრობდით, გაგვეკეთებინა ერთი ფილმი. თუმცა, როცა ვნახეთ მთელი სილამაზე, ასე ვთქვათ, ერთგვარი „რეჟისორული გაუმაძღრობა" დამემართა. არ გვინდოდა გამოსულიყო საქართველოს გარშემო ტურისტული მოგზაურობა.

fp როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ფილმის მომავალი? ნახავს თუ არა მაყურებელი წლების მერეც „სიყვარულს აქცენტით"?

ამაზე საუბარი ახლა რთულია. ფილმები, რომლებიც მახსოვრდებოდათ, ისინი მეტწილად სხვა დროში არსებობდნენ. ჩვენი მეხსიერება ძალიან შემოკლდა. ჩვენ განსაკუთრებით ინფორმაციულ სამყაროში ვცხოვრობთ. არსებობს ინტერნეტი. დღეს კინო დროის გატარების და სიამოვნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იქცა. მიჭირს პროგნოზების გაკეთება. ამას ალბათ ყველაზე უკეთ დრო გვიჩვენებს.

fp როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

ჩვენ ვამზადებთ მეორე ფილმს სახელწოდებით „სიყვარული აქცენტით, როგორც ბავშვები. „ძალიან დიდი მოცულობის მასალა გადავიღეთ ცნობილი მსახიობების მონაწილეობით – ჩურიკოვა, ბასილაშვილი... აგრეთვე, ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ნოველის მიხედვით შექმნილი ფილმის მთავარი გმირი, ახალგაზრდა საინტერესო მსახიობი ზაზა ასანიშვილი, და კიდევ ორი ფილმი უნდა დავასრულოთ. საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მინდა სულ გადავიღო. მთავარი განწყობაა. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მსახიობი ხვდება სიყვარულით აკუმულირებულ გარემოში. ის ადვილად იხსნება და უჩნდება შეგრძნება, რომ ყოვლისშემძლეა. ამ ფილმის გმირები და შემქმნელები ერთმანეთის მეგობრებად იქცნენ; საკუთარი ურთიერთობები და ახალი კონტაქტები ჩამოუყალიბდათ. ეს ძალიან კარგია, და მაფიქრებინებს, რომ ჩემთვის საქართველო საუკეთესო ადგილია, სადაც შეიძლება იმუშაო.

fp ცნობილია, რომ ქართველ კინოპროდუსერ ლევან კორინთელს მიზნად ჰქონდა დასახული „ბოლო გასეირნების" ერთგვარი რემეიქი რუსულ კინოპროდუქციასთან ერთად შეექმნა, და ჩამოსულიც იყო მოსკოვში ამასთან დაკავშირებით... როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ამ პროქტის გაგრძელება?

ჩვენ გვაკავშირებდა ძალიან თბილი, მეგობრული და განსაკუთრებით შემოქმედებითი ურთიერთობა. მე და ლევანი ბევრს ვსაუბრობდით, ვკამათობდით. სულ ვფიქრობდი, რომ ის უნდა მოსულიყო რეჟისურაში. ის ენერგია, რომელიც მას ჰქონდა, აბსოლუტურად გადამდებია. ის ჰყვებოდა, მე კი წარმოვიდგენდი და ვხედავდი შედევრებს და სულ მინდოდა, თავად გადაეღო. სულ ვეხუმრებოდი, რომ მისი ბოლო რეჟისურა იყო. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ვერ ვნახე. მის ფილმებში არის ის სითბო, გულწრფელობა, სინაღდე, რომელიც მან თითქოს თითოეულ საკუთარ ნამუშევარს შთაბერა. ასეთი ცხოველური, პირვანდელი ჟინი კინემატოგრაფისადმი დიდ ოსტატებთანაც არ მინახავს. ძალიან ცოტა რეჟისორი ვიცი, ვინც ასე გრძნობდა კინოფაქტურას, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა კინემატოგრაფიული განათლება. მას სწავლებაც კი შეეძლო. ის არასდროს ანაცვლებდა მთავარს, და კინოში ყოველთვის ცხოვრების მანძილზე ნანახი და განცდილი მოჰქონდა. ამ ადამიანმა მოახერხა და შეინარჩუნა კინოპროცესების კულტურა ქართულ კინოში. ჩამოვდივარ და ვხედავ, რომ საკუთარი ჟინით, აზარტით მან გაიტანა ის, რაც კინემატოგრაფისთვის აუცილებელია დღეს. ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს და იღებს კინოს. ძალიან ბევრი პროფესიონალიც, რომელიც ჩემს ფილმზე მუშაობდა, მის ფილმებზე გაიზარდა ან კიდევ მისი ფილმების მეშვეობით გადარჩა. რაც შეეხება „გასეირნება ყარაბაღის" გაგრძელე-

ბას, ჩვენ ვისხედით მოსკოვის კინოთეატრის დარბაზში – მე, ნადია და მიშაც იყო მესხი, რომელიც რაღაცას ყვიროდა ძალიან კმაყოფილი. ლევანს იდეა ჰქონდა, საკუთარი ფილმი უფრო მასშტაბურ ნამუშევრად ექცია. დავიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორ გვექცია ყარაბაღის ისტორია მასობრივი მაყურებლისთვის საინტერესოდ. მოსკოვში ვნახე ბოლოს. მე მზად ვიყავი მივხმარებოდი. აქ არის ერთი ზნეობრივი დისკომფორტი. ერთია, როცა პროექტი მისია, და მეორეა, როცა ის სხვა ადამიანებმა უნდა განახორციელონ. ერთ-ერთი ბოლო მე ვარ, ვისაც მან იმ დილას დაურეკა და მითხრა, – მოდი, გავაკეთოთ... არ ვიცი, იმედია შევძლებთ, მაგრამ ეს შესასწავლია. რაც უნდა გადავიღოთ, იქნება შედარება იმ ძალინ თვითმყოფად მის ერთიან ფილმებთან. ძალიან თბილისური ფილმია. რუსეთში, სავარაუდოდ, ის წარმატებულ ჟანრობრივ ფილმად იქცევა, მაგრამ შეიძლება დაკარგოს ის მთავარი მარცვალი, რომელიც მას ჰქონდა. მთავარი არაა სცენარი. არც თემა. აქ მთავარი ისაა, რაც ამ ფილმს ლევანმა შთაბერა. ფილმში მთავარი სწორედ მისი ჰაერია. მისი ამოსუნთქვის გარეშე, ეს ძალიან რთულდება!

fp რას იტყვით ბოლოდროინდელ ქართულ კინოზე და მისი პროდუქციის ტენდენციებზე ?

ძალიან ბევრ ქართველს ძალიან ნიჭიერ რეჟისორად მივიჩნევ, მაგალითად – ლევან კოღუაშვილს. მე ის ძალიან მიყვარს. ძალიან გამოცდილია. ვიცი, რომ ახლა ახალ ფილმზე მუშაობს და წარმატებას ვუსურვებ მას. ვნახე ასევე რეჟისორ ქეთი მაჭავარიანის ფილმი „მარილივით თეთრი“ და თამარ შავგულიძის „დაბადებულები საქართველოში“. ყველა ფილმში შეიძლება ნახო ნაკლი და ამავე დროს ისაუბრო კარგზეც. ალბათ არ შეიძლება არ დაინახო, რომ ქართველებს განსაკუთრებული თვალი და გემოვნება გვაქვს. ჩემი აზრით, მთავარი შენარჩუნებულია. ქართულ კინოს ყოველთვის განსაკუთრებული ინტონაცია გამოარჩევდა და ახლაც ამავე ინტონაციით, ამავე ენაზე ქართველი ახალგაზრდა რეჟისორები აგრძელებენ საუბარს. მე პირადად მინდა, რომ ნიჭიერი ოსტატები სპეციფიკურად თბილისურზე არ აკეთებდნენ აქცენტს; გასცდნენ ამ საზღვარს და ეს თბილისური პრობლემა დანარჩენი სამყაროსთვის ხელმისაწვდომი გახადონ. მაგალითად, ნიკოლოზ რურუას ხედვა, კინემატოგრაფიული გემოვნება ჩემთვის გასაგები და მისაღები იყო. ჩემი ფილმის გადაღების დროს კულტურის სამინისტრო ძალიან მოგვეხმარა და იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება კინოს არ მიატოვებს, მის განვითარებას ხელს შეუწყობს და კინოცენტრი კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს. ვისურვებდი, რომ სამი-ოთხი კინოთეატრი საქართველოში აღარ იყოს საკმარისი, და ვეღარ დაიტიოს მაყურებელი. ●

ფოტო: ნიკა ტარიელაშვილი



ამერიკა ერთ ოთახში

>> ნიკა გაბედავა

უილის ქონოვერის გადაცემა „ჯაზის საათი“ და ჟურნალი „ამიერიკა“ – ეს ჩაკეტილი სივრცის ჭუჭრუტანა იყო, საიდანაც დასავლეთი განსაკუთრებულად ლამაზი ჩანდა. 80-90-იანი წლების თაობა კი, რომელსაც ხშირად დაკარგულსაც უწოდებენ, სწორედ ამ ჭუჭრუტანიდან იყურებოდა; იყურებოდა და ვერაფერს ხედავდა, თავისუფლების გარდა. ამერიკა იდეალურია! ამ სიტყვების ყველგან სჯეროდათ, მათ შორის – თბილისშიც. აქ, სადაც ჯაზის მოსმენა საზღვრებს დროებით მაინც არღვევდა. ადამიანი კი, რომლსაც იდეალური, უსაზღვრო თავისუფლების მოლოდინი ჰქონდა, იმედგაცრუებული დარჩა. დავით კანდელაკის ნამუშევარი „ამერიკა ერთ ოთახში“ სწორედ ამ ადამიანზე მოგვითხრობს.

დოკუმენტური ფილმი ქართველ არქიტექტორზე, ნიკოლოზ-კოკა გეგეჩკორზე გვიყვება, რომელიც 1994 წლიდან ნიუ-იორკის ციხეში სახელწოდებით „სინგ-სინგ“-ში მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და ამბობენ, რომ ის დამნაშავე არ არის. ფილმში პატიმართან ჩაწერილი სატელეფონო საუბარი გვაცნობს კოკას ისტორიას. რეჟისორი ამერიკას გაულამაზებლად გვიხატავს. მაყურებელი ხვდება, რომ იდეაში არსებული დასავლეთი მხოლოდ ილუზიაა, და რომ ამერკიაც ისეთივე ცივია, როგორც დანარჩენი მსოფლიო. სწორედ ასეთი რეალობის ჩვენება იწვევს თანაგანცდას. მაყურებელს კოკასთან ერთად ემსხვრევა წარმოდგენა იდელურ, თავისუფალ ქვეყანაზე.

ფილმი ასევე მოგვითხრობს ფრანგ ქალზე, ფოტოგრაფზე, რომელსაც შეუყვარდა კოკა და სიყვარულის გამო მიატოვა ყველაფერი, სამშობლო და კარიერა. ის გადასახლდა ამერიკაში და დღემდე უშედეგოდ ზრუნავს კოკას გათავისუფლებისთვის. ისტორიის მთავარ გმირზე მისი მეგობრებიც საუბრობენ და ამბობენ, რომ კოკა იდიოტივით ზის ციხეში. ის ისჯება მკვლელობის გამო, რომელიც არ ჩაუდენია.

ფილმი დაყოფილია თავებად. თითოეულ თავში კოკა გვიამბობს იმ სიძნელეებზე, რაც ცხოვრებაში შეხვდა, ჰყვება, როგორ დაიჭრა, რა ხდებოდა თბილისში 90-იან წლებში; ბოლოს კი მსჯელობს სინანულზე, სინანულზე, რომელიც, მისი თქმით, ჭეშმარიტი უნდა იყოს და რომელიც მას ეწვია. ერთი სიტყვით, ფილმი საინტერესოა და სავდიანი. მასში განსხვავებული ფორმითაა მოთხრობილი ეპოქისა და კერძოდ კოკას თაობის ისტორია. ფილმში დროის შეგრძნება არ არსებობს, რაც ზოგადს ხდის მის სათქმელს. მაყურებლისთვის ბოლომდე ბუნდოვანი რჩება კოკას ისტორია, რასაც რეჟისორი შეგნებულად აკეთებს. მისთვის საინტერესოა არა მხოლოდ ეს სევდიანი ამბავი და მისი პერსონაჟი, არამედ მთლიანად ის თაობა, რომელსაც კოკა ეკუთვნის – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ს.ს.რ.კ-ში ცხოვრობდა და ოცნებობდა თავისუფალ სამყაროზე. ის კი გვიჩვენებს ერთ-ერთ მათგანს და მის ისტორიას, თუ როგორ მოხვდა ის „თავისუფალ სამყაროში“, ციხეში.

მაინც როგორი დარჩა ამერიკა ფილმის მთავარი გმირისთვის? კოკასთვის ამერიკა დღეს ერთი ოთახია. ჩვენში კი, მაყურებელში გაჩნდა გრძნობა, რომ თავისუფლება აღარ არსებობს. მისგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა – აჩრდილი, რომელსაც Statue Of Liberty ჰქვია. ●



რამინ ლომსაძე ყვარელიდან

>> ირინე ჟორდანია

ბოლო დროს დოკუმენტური კინოსადმი ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება, მხატვრულ კინოშიც უფრო მეტად იყენებენ დოკუმენტური თუ მოკუმენტური კინოს ხერხებს და, საერთოდ, თანამედროვე კინოემატოგრაფი თითქოს გას ცდა ჟანრობრივ ჩარჩოს, მისი საზღვრები ნელ-ნელა იშლება. მხატვრული კლიშეებისგან გათავისუფლება, უტყუარი ისტორიები, ნამდვილი გმირები – სულ უფრო მეტ ყურდღებას იპყრობს. გარდა იმისა, რომ დოკუმენტალისტიკა მთელი სისავსით აღბეჭდავს მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებს, მას, ხშირ შემთხვევაში, ამ პროცესებზე ერთგვარი გავლენის მოხდენაც კი შეუძლია. მაგალითისთვის მოვიყვანდი ვერნერ ჰერცოგის დოკუმენტურ ფილმს - INTO THE ABYSS: A TALE OF DEATH, A TALE OF LIFE, რომელიც სიკვდილმისჯილებთან ინტერვიუებისგან შედგება. ფილმის ჩვენების შემდეგ თანამედროვე საზოგადოება კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თემას – გადაიხედოს კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ; ან კიდევ რუსი რეჟისორების პაველ კოსტომაროვისა და ალექსეი რასტორგუევის პროექტს – СРОК, რომელიც, გარდა იმისა, რომ დოკუმენტურად აღბჭდავს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, გარკვეულწილად, მასმედიის ფუნქციასაც ითავსებს. ამას გარდა, დოკუმენტურ კინოში ხშირად ისეთ საკითხებს, ადამიანურ ისტორიებს, თუ მათ ფარულ ვნებებს ვეხებით, რომლებიც სცდება წარმოსახვას და თავის სიმწვავით, შესაძლოა, მხატვრულ კინოს მნიშვნელოვნად აღემატებოდეს.

თუმცა, ყველაფერი პირიქითაა – ფილმში „რამინი", რომელიც შორსაა ყველანაირი სიმწვავისა, თუ აქტუალობისგან – იმ გაგებით, რა მნიშვნელობასაც ამ სიტყვაში ვდებთ; და სწორედ ესაა მისი ხიბლი. ფილმი ერთ კონკრეტულ ადამიანზე მოგვითხრობს. ქართველი ფალავანი რამინ ლომსაძე, რომელმაც თავის დროზე ორმოცდათხუთმეტ წამში შვიდი მატჩი მოიგო – დღეს მას დაბადების დღე აქვს. მის თვალებში კი ისევ არის ნაპერწკალი, რომელსაც დრომ დიდი ვერაფერი დააკლო. მხატვრული თვალით დანახული ერთი „დოკუმენტური „ დღე და კამერა, რომელიც შეიძლება გმირის ოთახში შევიდეს, მის სასთუმალთან მივიდეს, ოღონდ ისე, რომ მაინც დაგიტოვოს ჰაერი; ფილმში ყველაფერი გმირის ირგვლის ტრიალებს; თითქმის არ იძლევა განზოგადების საშუალებას, მაგრამ ყველანაირი პარალელებისა და ყოვლისმომცველი სენტენციების გარეშე, ეხება მთავარს – ადამიანს.

„კინოში გმირი ან სიყვარულისკენ უნდა მიდიოდეს, ან სიკვდილისკენ", – თქვა ერთ-ერთ თავის მასტერკლასზე კშიშტოფ ზანუსიმ. ასეა რამინ ლომსაძის შემთხვევაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის არა სიკვდილიდკენ, არამედ სიცოცხლისკენ მიდის. სწორედ იმ დღეს, როდესაც მას სამოცდათხუტმეტი წელი უსრულდება, ის სიყვარულის დასაბრუნებლად მიემგზავრება – ეძებს ქალს, რომელიც ოდესღაც უყვარდა და შემდეგ დაკარგა; ეძებს კარდაკარ და სოფელ-სოფელ, აჩერებს გამვლელებს სოფლის შარაზე...

„რამინი" პირველი ქართულ-ლიტვური ერთობლივი ფილმია. რეჟისორი ლიტველი ოდრიუს სტოუნია, საქარველოს მხარეს სცენარის თანაავტორი, გივი ოდიშარია წარმოადგენს. ფილმმა უკვე მოიპოვა რამდენიმე ფესტივალის და კინოფორუმის ჯილდო, წელს კი ლიტვურმა მხარემ „ოსკარზე" წარადგინა საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში. რეჟისორის თქმით, მან შეძლო ამოეხსნა ფილმის წარმატების საიდუმლო – საიდუმლო თავად გმირშია, რამინ ლომსაძეში. ფილმის თბილისური ჩვენება შარშან თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. პრემიერას თავად გმირიც ესწრებოდა... ნეტავ თუ ნახა, ვისაც ეძებდა?! ●

"კამერა, რომელიც დარდს გააქრობს"...

>> მაგდა გოგოლაშვილი

ყველაფერი ასე დაიწყო... 2011 წელს საქართველოს მასშტაბით კასტინგი ჩატარდა 14-იდან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი რეალური ისტორიები, მიზნები თუ ოცნებები გამორჩეულად საინტერესო იქნებოდა ფილმის შესაქმნელად. არაერთმა ადამიანმა გამოხატა სურვილი კამერების წინ მოეთხრო საკუთარი ცხოვრების შესახებ. ასე დაიბადნენ დოკუმენტური ფილმის „მანქანა, რომელიც ყველაფერს აქრობს" რეალური გმირები, რომელთა საინტერესო, ემოციური, დრამატული ისტორიები, სამშობლოში დაბრუნებულმა რეჟისორმა თინათინ გურჩიანმა მოუთხრო მაყურებელს. ,,მანქანა, რომელიც ყველაფერს აქრობს" საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, რობერტ ბოშისა და გოეთეს ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმის ოპერატორი ანდრეას ბირგმანია, ხოლო ხმის რეჟისორები – მიჰაუ კრაიჩოკი და მარიან მენტრუპი. ფილმის გემანული პრემიერა ლაიფციგის დოკუმენტური კინოს ფესტივალზე გაიმართა, საერთაშორისო პრემიერა კი ამსტერდამის დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალზე IDFA (დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უდიდესი წამყვანი ფესტივალი, რომელსაც 120000-მდე კინომცოდნე, კინოს პროფესიონალი და კინომოყვარული სტუმრობს) შედგება. თბილისში დაწყებული კასტინგი და მთავარი გმირების ისტორიები დაახლოებით ერთ თვეში გარდაიქმნა დოკუმენტურ ფილმად და, შეიძლება ითქვას, რეკორდულ დროში მოახერხა წარმატების მოპოვება. „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" IDFA ფესტივალზე წარდგენილი იყო ,ახალგაზრდობისთვის შექმნილი საუკეთესო ფილმის (Doc U) , მაყურებლის პრიზის (Audience Award) და საუკეთესო დებიუტის (First Appearance) ნომინაციებში, სადაც საუკეთესო სამეულში მოხვდა. ფილმი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულიც გახდა საუკეთესო ქართული ფილმის ნომინაციაში. 2013 წელს „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" ევროპულ და ამერიკულ კინოფესტივალებზეა მიწვეული. სანდენსი (World Cinema Competition), ჰელსინკი, გოტებორგი, ტრიესტე... ეს იმ ფესტივალების არასრული ჩამონათვალია, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მაყურებელსა და კინემატოგრაფისტს შეეძლება ფილმის ყურება და შეფასება.

ყოველდღიურად უამრავ ახალგაზრდას ვხვდებით... ქუჩაში, მაღაზიაში, სამსახურსა თუ გასართობ ადგილებში. ზოგ შემთხვევაში, გაჩენილი ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, ისინი ისე უჩინარდებიან ჩვენი ცხოვრებიდან, რომ მათი არც სახელი ვიცით, არც ის, თუ რაზე ფიქრობენ, რა პრობლემები აქვთ, რა უხარიათ... „მანქანა, რომელიც ყველაფერს აქრობს" გვაცნობს ახალგაზრდებს, რომლებიც მასისგან საკუთარი ინდივიდუალური შეხედულებებით, აზრებით, ცხოვრების სტილითა თუ სოციალური ყოფით გამოირჩევიან. ეს არის ისტორიები ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრების ფირზე აღბეჭდილი მხარეც აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის.

ფილმის გმირები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვანაირი განწყობით ხატავენ ერთ საერთო სურათს ახალგაზრდებისა, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ. ისინი ის ინდივიდუუმები არიან, რომლებიც ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩევიან მასისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიილტვიან ისეთი რაღაცების შექმნისკენ, რაც მათ სხვებისგან განასხვავებთ. ფილმის მთავარ გმირებს სურვილი გაუჩნდათ, ერთ დღესაც დამდგარიყვ-

ნენ კამერის წინ და მოეყოლათ მათი ისეთი ამბები, იდეები, ოცნებები, რომელთა შესახებაც, ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენაც კი არ აქვთ გარშემო მყოფებს. საკუთარ ცხოვრებაზე ლაპარაკის ძირითადი მიზეზი ის გულისტკივილი და პრობლემებია, რომელთა გაქრობაზეც ალბათ არც ერთი იტყოდა უარს...

რაზე ოცნებობენ?!

ზოგს ჰოლვუდში უნდა წასვლა, ზოგი სამსახურზე ოცნებობს, ზოგიც სამხედროობაზე; ვიღაცას გათხოვება უნდა; ვიღაცას კი – დედა.

და რას სთხოვდნენ მანქანას, რომელსაც ყველაფრის გაქრობა შეუძლია?!

ალბათ იმ ყველაფერი უსიამოვნოს ცხოვრებიდან ამოშლას, რაც მათი გულახდილობის მიზეზი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯადოსნური მანქანა არ არსებობს, მისი ფუნქციების ნაწილობრივი შეთავსება სხვა რაღაცებსაც შეუძლიათ. მაგალითად, კამერას... რომელიც მათ დარდებს ამსუბუქებს. მთავარი გმირების „გულების გადაშლა" კამერისთვის, საკუთარი თავის წარმოჩენისა და სხვებისთვის გაცნობის გარდა, ალბათ იმედია... იმედი იმისა, რომ მათი წუხილი შეიძლება გულახდილობით მაინც შემსუბუქდეს. ამის მაგალითი ფილმის ერთ-ერთი გმირის გადაწყვეტილებაა, რომელმაც ცხოვრებაში პირველად გაბედა დედის ნახვა... დედის, რომელმაც ის მიატოვა, გული ატკინა, საკუთარი საქციელით სხვებისგან განკიცხვის და დაცინვის ობიექტად აქცია...გოგონამ საკუთარი ისტორიის გულახდილად მოყოლის შემდეგ ცხოვრებაში პირველად გადაწყვიტა, გადაედგა ურთულესი ნაბიჯი და დიდი ხნის უნახავ დედას შეხვედროდა. ფილმის იდეა ერთი მხრივ იმ ახალგაზრდობის საერთო სურათის შექმნა იყო, რომელსაც საქართველოს ყველაზე რთულ პერიოდში მოუწიათ გაზრდა; მეორე მხრივ კი, მათი დარდების შეძლებისდაგვარად გაქრობა/შემსუბუქება ისე, როგორც მხოლოდ ჯადოსნურ მანქანას შეუძლია.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ ურთულესი ამოცანაა რეჟისორისთვის 97 წუთის განმავლობაში მაყურებელს „აყურებინო" დოკუმენტური ფილმი ისე სულმოუთქმელად, რომ სტატიკური კადრებიც კი ძალიან დინამიკური და საინტერესო იყოს მისთვის. ფილმის გმირები ძირითადად დანგრეული კედლის წინ მდგარნი, უძრავად ჰყვებიან თავიანთ ამბავს, მათი ისტორიები კი ცოცხალი, დინამიკური და საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმს ერთი მთავარი გმირი არ ჰყავს, ყველა მათგანი საკუთარი, ინდივიდუალური ისტორიით სხვადასხვა ემოციას იწვევს მაყურებელში. ფილმის ყურებისას ხალისიანი და დეპრესიული განწყობა ერთმანეთს ხშირად ენაცვლება. მიუხედავად ბევრი დრამატული ეპიზოდისა, ფილმი გამოხატავს მთავარი გმირების იმედს, რომ ყველაფერი შეიცვლება მათ ცხოვრებაში, იმის მიუხედავად, რომ აწმყოში „ზამთარი და სიცივეა" (ირაკლი ჩარკვიანი „ზამთარი" ფილმის ერთ-ერთი საუნდტრეკია). ვინ იცის, იქნებ ფილმის მთავარმა გმირებმა მართლა შეცვალონ თავიანთი ცხოვრება... ზოგი ჰოლივუდში წავიდეს, ზოგიც გათხოვდეს, ზოგს კი ისეთი სამსახური ჰქონდეს, როგორზეც ოცნებობს. ყველა მათგანი მზად არის, გადადგას პირველი ნაბიჯები საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად, ფილმი კი ამავდროულად ცდილობს, გადადგას პირველი ნაბიჯები საერთაშორისო მასშტაბით იმ წარმატების მისაღწევად, რომელსაც იგი იმსახურებს. ●

მელოტი ბიჭები

>> მარიკა გრიგოლიშვილი

„მელოტი ბიჭები" – ასეთია სამუშაო სათაური ლევან კოღუაშვილის ახალი ფილმისა, რომელიც ქართული რეალობის ფონზე განვითარებული სასიყვარულო ტრაგიკომედიაა. ქართული ურთიერთობები, ოჯახი და მეგობრობა, ღალატი და ერთგულება, ადამიანების კეთილშობილება რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაშიც კი – ეს ყველაფერი ფილმის გმირების ცხოვრებაში აისახება.

40 წლის სკოლის მასწავლებელს, უცოლო სანდროს, რომელიც ჯერ კიდევ მშობლებთან ერთად ცხოვრობს, თავისი მოწაფის დედა, მანანა შეუყვარდება. მანანასაც მოსწონს სანდრო და სწორედ მაშინ, როდესაც მათ შორის რომანი უნდა გაჩაღდეს, მანანას ქმარს, თენგოს ციხიდან დროზე ადრე ათავისუფლებენ... სიუჟეტი მუდმივად ვითარდება. თუმცა, რეჟისორის აზრით, ფილმის სიუჟეტი უბრალოდ საბაბია, იმისათვის, რომ აჩვენოს თანამედროვე ქართული ცხოვრების რაღაც ნაწილი.

მთავარ როლებს ანდრო საყვარელიძე, არჩილ ქიქოძე, ია სუხიტაშვილი და ვახო ჩაჩანიძე ასრულებენ. ფილმში ასევე მონაწილეობს ვახი კავსაძე, რომელიც მთავარი გმირის მამას განასახიერებს.

მთავარ როლებს – ანდროს, ივას, და გმირების უმრავლესობას არაპროფესიონალი მსახიობები თამაშობენ. ფილმის იმ ნაწილში, რომელიც ქობულეთში ვითარდება, მონაწილეობას ბათუმელი მსახიობები და ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს.. გადაღებების ნაწილი აჭარაში იგეგმება...

თბილისის ავტოსადგური, ლოტოლვილების საცხოვრებელი სახლი, მრავალსართულიანი სახლების ეზოები, პლაჟი – ეს ის მრავალჯერ ნანახი, მაგრამ კამერით განსხვავებულად დანახული ობიექტებია, სადაც ფილმის სიუჟეტი ვითარდება; პერსპექტივები, სივრცეები, ხედები რომელიც არც ისე ნაცნობია, მაგარმ ნამდვილად ქალაქის ნაწილს წარმოადგენს...

დამდგმელი მხატვარი – კოტე ჯაფარიძე; ოპერატორი – ტატო კოტეტიშვილი; სცენარის ავტორები – ბორის ფრუმინი, ლევან კოღუაშვილი, კოსტუმების მხატვარი – თინათინ კვინიკაძე; პროდუსერები: ლევან კოღუაშვილი და სულიკო წულუკიძე.

ფილმზე მუშაობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სურათი 2013 წლის ზაფხულისათვის უნდა იყოს მზად. ●







ფოტო: ლევან სიხარულიძე



ფოტო: ლევან სიხარულიძე



(7)

James Bond სულაც ჭკიანს ჰგონია თავი...

(8)

კა... კა...

(9)

მგონი ძაან მაგარი კადრებია..

(10)

რა [illegible]?

(11)

ეს რაღაც ოფლი მდის...

(12)

[illegible]!

წერილი ლევანს

რამდენიმე თვეა, აღარ გიცნობ, აღარ გელაპარაკები. ჯარში ერთნ-ობაა, ყველა დილა ჩანს თეთრ და იმედი მიჩნდება, რომ ყველაფერს მოვასწრებ, ყველაფერს გავაკეთებ. ღამით ბოლოს ვხვდები, რომ არაფერი გამიკეთებია, იმიტომ, რომ არც არა-ფერი მქონია გასაკეთებელი.
რამდენსაც მახსოვს, ჩვენთან პირველად არის შემოდგომა. ჯარში ყოველთვის ჩვენთან შემოდგომაა. ლდე ჯარისკაცისთვის ბერ-ნეით ლავლდება, სალდათს ქურთუკს ვიცვამ (შენი "ლურჯის" ქურთუკისთვის ჯერ არაფერია.)
ისე აქ არაფერი შეცვლილა; ადამიანებს ისევ პოლიტიკო-ტუხების იმედი აქვთ. ისევ გაუგებრები დადიან (მართა-ლია, ზოგი ფიქრობს, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენი ქუჩე-ბი ბედნიერი და თავისუფალი ადამიანებით მოივსება, მაგრამ, რაც დრო გადის, რა შორს გარი ყველაფე-რი ამისგან, რომ იცოდე.) ჩვენ ისევ ვიცინებთ; ვსაუბრობთ, ვკამათობთ ფილმებით, მაგრამ ყველა სხვაა და ყველა მარტო. ის კაცზე ვფიქრობ, ჩვენთვის რომ მოვ-ძებნია არის, და შენ რომ ლოლ პარკის ნცემ (აქ არ დავწერ მის სახელს და გვარს. ვერ გავბედე).
ყუნაური ბიჭი ხარ, როგორ ახერხებ იმას, რომ არ ვნერვიულობ შენზე, როცა მისზე ალუკრთობათინით დაპარაკობ. ვიცი, რაცომაც არ ვნერვიულობ, მჯერა, რომ მართალი ხარ ფიქრობ და ჩემთვის

რთულია, შეეგუებოდათ ადამიანს, რომელსაც რამის სჯერა: ჩემთვის სულ მიყოლებით რომ იყოს, გულისხლიანობის წინაშე წინააღმდეგობის სურვილი მიქრება. შენი პირდაპირობა მიიწონეს. შენ ძმა აბრამ-ს, - ქართველიათ; რა ქნა, პირდაპირ რომ ხარ და რამის რომ გჯერა: ამის დამცველებული იქნებ შენი მოყვარულობა, რაც ნიშნის, რომელიც ჯერ ძალიან პატარა, ძალიან გცხოვს. ვინმე რა ხდება? ამაზე მეტი მიწერი...

მე ხალხს მოყოლებულიყოვანი ძალიან გავიგეთ, რომ-ლელმა ვილოცეთ. შემხვედრი გადასვლენი, შენ გამახსენდი. ეს სურვილი არ მოგწონებოდა, მაგრამ არ შეგეძლო, გესმის. სულიერი მოვისხრაოდები-ხოლომე-ასე, ახლა დავთვალეთ. თითქმის ვერაფერზე ვერ ვაახლეთ. ქრისტიანი, რაზეც ვაინსმენი, ყველაფერი მოვარიდი და შენც გიყვარვარ.

P.S. ყველაზე შენი პირადი მიმყავს. ზღვისპირში ჩავიყვან.

ქუთაისი. შეხვედრამდე 2012 წლის 29 ოქტომბერი

ილიკო შავგულიძე

filmprint

ფოტო: ანა სოროკოლეტი

ლევანი

>> გიორგი ბერიძე

ლევანს ადრე არ ვიცნობდი. ისე, ქალაქიდან თუ მსმენოდა მასზე. თბილისი, მოგეხსენებათ, პატარა ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ. სწორედ მაშინ გავიგე, რომ რისკის მოყვარული კაცია და ხშირად უმართლებს კიდეც. ერთხელაც გავარდა ხმა, რომ ამ „რისკიანმა კაცმა“ გაყიდა ყველაფერი და კინოს გადაღება დაიწყო. ჩემი „ინტერესი“ მის მიმართ ძალიან გაიზარდა. მაშინ ხომ თბილისში აღარ იყო არც მოქმედი კამერა, არც განათება და არც არაფერი,რაც ნამდვილი კინოს გადაღებას სჭირდება.

გავიდა დრო და აბსოლუტურად მოულოდნელად კიევიდან დამირეკა. ალეკო ცაბაძის „რუსული სამკუთხედის“ გადაღებას მთავაზობდა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ცოტა ხანში კიევში ამოვყავი თავი.

ახლაც, ამას რომ ვწერ, კიევში ვარ. დავდივარ ქალაქში და ძალიან ბევრი ადგილი მხვდება, სადაც მაშინ გადაღებები გვქონდა. ვიღებდით ბევრს. რთული ობიექტები, ბევრი გადაადგილება, ბევრი ტექნიკა, დიდი გადამღები ჯგუფი. ლევანი, ალეკო, გოგი ტატიშვილი, კოტე ჯაფარიძე, მე და ასზე მეტი კიეველი „კინოშნიკი“.

ერთ საღამოს, გადაღების მერე დაქანცულები სახლში ვისხედით და ხმის ამოღების თავიც კი არ გვქონდა. ლევანი მომიბრუნდა და ეშმაკური თვალებით მეუბნება, – გინდა ეხლა დავრეკავ, ორი გოგო მოვა და მე და შენ ფანტასტიკურ მასაჟს გაგვიკეთებსო; ხო, მაგრა მოგეშვება და, – კიდევ ჩათვალე, ერთი კვირის ენერგიას აკრიფავო; გეპატიჟებიო, – დაამატა და ჩემს თვალწინ დარეკა.

ზარი რომ დაირეკა, თვითონ წავიდა კარის გასაღებად. –Ты что одна? – მომესმა მისი ხმა. მოკლედ ერთი გოგო მოვიდა. მე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, მაგრამ – არა, მე არ მინდა, შენ ჩემზე მეტად იღლებიო, – ისე გულწრფელად მითხრა, რომ ხმა აღარ ამომიღია.

მეორე დღეს, – როგორა ხარ, გიორგაო? – მეკითხებოდა ხოლმე, და – ჩიტივით-მეთქი, – რომ ვპასუხობდი, გემრიელად იცინოდა.

კიევში გადაღებების ბოლო დღეები იყო, თვალცრემლიანი რომ მოვიდა. უსიტყვოდ მივხვდით, რომ დედა გარდაეცვალა, რომლის ავადმყოფობას ძალიან განიცდიდა .

2008-ში ომი რომ დაიწყო, პრაღაში ვიყავით. ვეღარ გავჩერდით. აეროპორტში ბილეთების გამყიდველმა გოგონამ ბევრი იწვალა ჩვენთვის, მაგრამ, გახსოვთ ალბათ, ყველა რეისი გაუქმებული იყო. შემოვლით გზებს ვეძებდით. რაღაც მომენტში გოგონამ ამოგვხედა და გვეუბნება, – არის ორი ბილეთი ბაქომდე, მოსკოვის გავლითო! არა!!! – განწირულებივით, სინქრონულად შევძახეთ ორივემ. გოგონაც იმ წამსვე მიხვდა, და ბოდიშიც კი მოგვიხადა. ბოლოს მაინც ჩავფრინდით სტამბულში, იქიდან ტრაპზონში, მერე ტაქსით სარფში, იქიდან ბათუმში, და ბათუმიდან თბილისში. მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია არც ერთს......

ახლა ცოტა რამ სერიოზულად:

- ლევან კორინთელმა გააცოცხლა ცუდ მდგომარეობაში მყოფი

ქართული კინო;

– ლევანმა დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ დღეს საქართველო

ში არის საუკეთესო კინოტექნიკა;

– ლევანმა დიდწილად განაპირობა იმ ახალგაზრდა ბიჭებისა და გოგონების კინოში მოსვლა, რომლებიც დღეს მუშაობენ

სხვადასხვა კინომატოგრაფიულ პროფესიებზე ქართულ, და არამარტო ქართულ კინოში....

იმიტომ, რომ მას, არ ვიცი, როდის და რატომ, ნამდვილად

შეუყვარდა კინო – ჯერ ალბათ როგორც მაყურებელს, მერე პროდუსერს, მერე როგორც ფილმის იდეის ავტორს, სცენარის თანაავტორს, და ბოლოს როგორც რეჟისორს, რისკენაც ის ნამდვილად მიდიოდა და ვეღარ მოასწრო.

ცოტა ხნის წინათ გადავათვალიერე კიეველი ფოტოგრაფის ანა სოროკოლეტის მიერ გადაღებული ფოტოები „რუსული სამკუთხედის“ გადასაღები მოედნიდან, იმ იმედით, რომ მის რამე ისეთ ფოტოს ვიპოვიდი, რაც აღარ მახსოვდა, და თქვენ წარმოიდგინეთ, 300-მდე ფოტოში მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, სადაც ლევანი ჩანს!

P.S. არ ვიცი რატომ, „კოროთი“ იშვიათად ან სულაც არ მიმიმართავს და ლევანას ვუძახდი, ხან კიდევ ასე: „ბიჭო,ლევანა“! ■

კადრი ფილმიდა
„გასეირნება ყარაბაღში"

>> ლევან თუთბერიძე

„მე ვიქნები ამ ფილმის პროდუსერი, მე ვიშოვნი ფულს!"... ვიფიქრე, რომ ზედმეტი ემოციით მოუვიდა ამ სიტყვების წარმოთქმა, რადგან იმ პერიოდში, 2001-2002 წლებში კინოინდუსტრია საქართველოში თითქმის ათ, თხუთმეტ წელიწადს გაჩერებული იყო. მე და აკა მორჩილაძემ მის თვალებში ცეცხლი და სიმართლე დავინახეთ.მისგან იმდენი ენერგია ვიგრძენი, რომ არც კი დავფიქრებულვართ, ისე ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, და დაიწყო ფილმის „გასეირნება ყარაბაღში" ურთულესი პროექტის რეალიზაცია, გიორგი ხარაბაძესთან და გუკა რჩეულიშვილთან ერთად.

ლევან კორინთელმა თავის ასაკისთვის (41) იმდენის გაკეთება შეძლო, რაც მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ – რამდენიმე მხატვრული ფილმი;დოკუმენტური და მოკლემეტრჟიანი პროექტები; კინოთეატრები და კიდევ ბევრი კარგი საქმე ქართული კინოს აღორძინებისთვის; და ეს ყველაფერი მხოლოდ ათ წელიწადში. ის ყოველთვის უმაღლეს ხარისხს მოითხოვდა პირველ რიგში საკუთარი თავისგან და მერე სხვებისგან.

გადაღებაზე ვგრძნობდი თავისუფლებას, რადგან დავინახე, რომ „კოროსთვის" არანაირი საწარმოო დაბრკოლება არ არსებობდა. მას შეეძლო, მაგალითად წალკიდან, სადაც ერთ-ერთი გადაღების ობიექტი გვქონდა, და საიდანაც თბილისამდე საკმაოდ შორი მანძილია, რამდენჯერმე თბილისში წასულიყო და ჩამოსულიყო, ჩამოეყვანა ჰოლივუდიდან ოპერატორი, სერბიიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ჩეხეთიდან – კინოს სპეციალისტები...მისთვის ფულის შოვნა ადვილი იყო,იმიტომ, რომ მას ენდობოდნენ; ასევე არც ფულის წაგება იყო მისთვის ტრაგედია... მისთვის მთავარი იყო მუშაობის პროცესი და კინოს დაბადება... ის თავისი ბუნებით მშენებელი იყო და არა მნგრეველი,როგორებიც სამწუხაროდ ბევრნი არიან ჩვენს ირგვლივ.მიუხედავად ასაკში განსხვავებისა, ის ჩემი ახლო მეგობარი იყო და მეგობრობაც განსაკუთრებული იცოდა.პირდაპირი და ალალი, პატივისცემით განმსჭვალული და თავდადებული.ძალიან უყვარდა საჩუქრების გაკეთება და პატარა ბავშვივით სწყინდა, როცა მას ვერ უგებდნენ. რამდენჯერ დაურეკავს ჩემთვის ღამით (ის დროს ვერ გრძნობდა) და აქოშინებულს მოუყოლია თავისი ახალი იდეებისა და გეგმების შესახებ; და არც პასუხს ელოდა ჩემგან, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მართალია...და ის მართალი იყო.

პრაღაში ვცხოვრობდით თითქმის სამი თვე,ფილმის პოსტპროდუქციის დროს.ბევრ თემაზე ვსაუბრობდით და ვკამათობდით კიდეც...ერთხელ ღამის პრაღაში ვსეირნობდით და ცხოვრებისეულ პრობლემებზე ვსაუბრობდით...მე ჩემს პრობლემებზე დიდხანს ველაპარაკე.ჩუმად მისმენდა, რაც „კოროსგან" ცოტა უჩვეულო იყო, დიდხანს ჩუმად ყოფნა არ უყვარდა.რამდენიმე წუთი ორივე უხმოდ მივდიოდით...უცბად კორო მეუბნება, – „იცი, ლევან,შენ ღმერთს უყვარხარ"... და ისევ სიჩუმე...ვერაფერი ვუპასუხე, მაგრამ საოცარი იმედი ვიგრძენი,და ეს სიტყვები დღესაც მესმის ხოლმე, როცა ძალიან გამიჭირდება.

მადლობა, ლევან, რომ ჩვენთან ერთად იყავი და სიზმარივით დამიტოვე შენი გაელვება ჩემს ცხოვრებაში...მადლობა ყველაფრისთვის...ღმერთმა გაცხონოს! ■

კოროს კინო

>> აკა მორჩილაძე

ამას წინათ, ერთგან ვისხდით საღამოს და, – საწყალი კოროს ხსოვნა იყოსო, – ფორემ თქვა. მე წინა დღის მობრუნებული ვიყავი თბილისში და მიყვებოდა რაღაცებს. სუფრაზე ერთი კაციც იყო, რომელსაც კორო არა სცნობოდა და თქვა კიდეც, – მე არ ვიცნობდი, სამწუხაროდო; როგორც არის ხოლმე ჩვენს ლაპარაკებში.

ფორემ უთხრა, – აი, მთავარი რო გითხრა, როგორ იყო, იციო? წარმოდიგინე, რომ კაცმა ერთ დილით გაიღვიძოს და თქვას, – მორჩა, დღეიდან კინოები უნდა გადავიღოო, – და იმ წუთიდნავე რომ შეუდგეს ამ საქმის ასრულებასო. იმას გაეღიმა, – რა გინდა, კაი რამეაო.

ეხლა რომ ვფიქრობ, მთავარი მართლაც ეგ იყო.

კორო მაშინ გავიცანი, როცა ფორე ჩემი წიგნის, „აგვისტოს პასიანსის“ გადაღებას ცდილობდა. ლევან თუთბერიძემ და ფორემ შემახვედრეს „ამირანის“ ფოიეში. მაინტერესებს, მაგრამ არა ეგ წიგნიო, „მოგზაურობა ყარბაღშიო“. ლაშა თაბუკაშვილს ერჩია. ჰოდა, ეგრე დავიწყეთ, ირაკლი სოლომანაშვილი სცენარს წერდა,მეც ჩემი ჭკუით ვეხმარებოდი,კორომ კი „ვაკის პარკის“ ჩასახვევთან მაღალ სახლში რაღაც ოფისი გაახერხა და ფულზე სირბილი დაიწყო. მგონი, მთელი ზემო-ქვემო ვერა მაგ საქმეში იყო ჩართული. თითოქს რაღაც საერთო განცდის, სურვილის,თუ ოცნების გამოხატვა უნდოდა ამ ფილმის პროდუსერობით. ეგ ძალიან ჩანდა.

მე კინოსი ბევრი არაფერი გამეგებოდა, სცენარების წერზე სულ უარს ვამბობდი, მაგრამ სამსახურიდან შინ მიმავალი იმ ოფისში ავივლიდი ხოლმე, სადაც ფორე, კორო და ლევანა კინოს გადასაღებად ემზადებოდნენ და მსახიობებს არჩევდნენ.

იცით როგორ არის? ფილმის გადაღებებზე თუ მოხვდები, იმაზე სასიამოვნო, სახალისო და ცოცხალი, ძნელად რომ რამე საქმე შეგხვდეს ცხოვრებაში. ეს ყოველდღიურობა იმდენად მაგარია, რომ მგონი შედეგზე დიდად აღარც ფიქრობ. ეგ მე მერე გავიგე, მაგრამ კორომ საიდან გაიგო, არ ვიცი.

რაიმეთი ასე ხმამაღლა და მთლიანად გატაცებული ადამიანი არც მანამდე მენახა და არც მერე მინახავს. ბობოქრობდა, ხმაურობდა, ყვიროდა, იცინოდა,თვალები ხომ სულ უციმციმებდა, აჩხრიალებდა იმ გულზე დაკიდებულ გასაღებების ასხმულას. თუკი რამეს გადაწყვეტდა,იმის გამჩერებელი, არ ვიცი,თუ მოიძებნებოდა. რაღაცნაირად ანთებული იყო. რასაც აკეთებდა, თავიდან ბოლომდე იმაში იყო.

სულ ამბობდა, ჩემითაც უნდა გადავიღოო. რამდენი ვნახავდი, სულ ამას ამბობდა და მერე, თუკი სადმე გადავეყრებოდით, სულ რაღაც სიუჟეტებს მიყვებოდა, სკაიპით მომირეკავდა ხოლმე, და სიუჟეტურ ნახაზებს მაჩვენებდა, – ასე ჯობია,თუ ისე ჯობიაო. საერთოდ, არ მახსოვს, რამეზე უარი მეთქვას მისთვის, შეუძლებელი იყო. შემამოწმებდა ხოლმე, მართლა ამბობ,თუ ისე მეთანხმებიო. არ ვიცი, თუ რამეში გამოადგებოდა ხოლმე. დარკევდა, ისევ ყარაბაღი უნდა დავარქვაო. დაარქვი მეთქი, – ვეტყოდი, და მოაყოლებდა, – ეხლა მოგყვები, არ იფიქრო რო, რამე ნიტოს ვაკეთებო.

თავის მეტსახელს რაღაცნაირად კინოს ამაბვში ატრიალებდა ხოლმე. სკაიპში, მეტსახელად „კოროსავა“ ჰქონდა. მაგრამ ამ კოროსავაზე ბევრად მაგარი იყო, საიდანღაც გადასაღები მოედნების ამერიკული სკამი რომ მოიტანა, ტილოს ზურგით. აი,მუზეუმებშიც რომ დევს და უკან რომ აწერია, ჰემფრი ბოგარტ და ასეთი რამეები და დააწერა, კოროლეონე. არ მიკითხავს, თვითონ მოიგონა, თუ როგორ. ალბათ,თვითონ. ძალიან ბევრს ვიცინოდით, კარგ ხასიათზე მაყენებდა ეგ წარწერა.

არც მინახავს ასე კარგად და მრავილის გამომხატველად შედგენილი სახუმარო მეტსახელი. მგონი, ყველაფერი შედიოდა

შიგ – ძველი ამბები, მისწრაფებები,ვერის სუბკულტურა, ოცნება, რა ვიცი, ათასი რამე.

მერე ტურიკამ და კორომ აიტეხეს, – დავით აღმაშენებელი, დავით აღმაშენებელიო. მერე ხმაური ატყდა, – რატომო, მთავრობას ცუდი დავით აღმაშენებელი უნდაო. მოკლედ, გრძელი და დალხართული ამბავი იყო, ისე გამოდიოდა, რომ ბევრ ფულს ვიღებდით მთავრობისგან, რათა დავით აღმაშენებელი ცუდად გამოგვეყვანა. როგორც არი, ეხლა რაღადროს ეგ ამბებია. ჰოდა, პრესკონფერენცია უნდა მოვაწყოო, – კორომ დამირეკა. არ მოვალ მეთქი, ვერა ვარ მაგ საქმეების, ხო იცი. კარგიო.

ჰოდა, სამსახურში ვიყავი და უცებ კორო არ მოვიდა? ყავარჯნებით, მოტეხილი ფეხით. შუქი არ იყო, ლიფტი არ იყო და ამოსულიყო როგორღაც ამ მეოთხე სართულზე. მეთქი, გაიგჟდი, ქვემოდან მაინც დაგერეკა. წამომყევიო, ხმას ნუ ამოიღებ, მარა მარტოს ნუ დაგვსვამო.

მე კი ვიჯექი ჩუმად, მარა ბოლოს ცოტა ყვირილი მომვიდა, ყოვლად სამრცხვინოდ. კვდეობდა სიცილით. მაგარიაო, რა ბრაზიანი ხარო, – იცინოდა და იცინოდა. მაგარი სიცილი ქონდა, წარბებს ჩამოყრიდა და იყურებოდა ქვემოდან. ფორე უცხოეთში იყო მაშინ,მირეკავდა და მაშაყირებდა, – ეგ რანაირი პრესკონფერნეცია იყო, შენ ყვიროდი და კორო სიცილით კვდებოდაო.

აუცილებლად დარეკავდა ხოლმე, – ბიჭო, გიო,ნახე ჩემი კინო? ქვეყნის დასალიერზეც კი დაგირეკავდა. მანამდე რამდენ ადგილას უნდა დაერეკა, რომ ის ნომერი გაეგო, და გიყვებოდა, გიყვებოდა, გადაღებულსაც და გადასაღებსაც. ამირნაში თუ მოვხვდებოდი ხოლმე რამე ფილმის საყურებლად, არა, არა და უცებ გავიგონებდი მის ხმას შორიდან, უკანა ოთახებიდან, ვიტყოდი, კორო ებრძვის სამყაროს და ვიცნოდით ხოლმე, გამოვარდებოდა ამასობაში კაფეში, და დავუძახებდი, – ბატონო ლევან, მოიხედავდა სხვა ფიქრებში მყოფი და ააციმციმებდა თვალებს. გამაგჟეს ტო, იტყოდა, – შოკოლადი დალიე, არსად არ არი შოკოლადი, აქ არი მარტო, ხო იცი. შენ დალიე, დაგატკბობს-თქო. დამატკბობს კი არა, სულ გამაგიჟებსო. ვიცინოდით. მერე, „ამირანიდან“ რომ წავიდა, ის შოკოლადის აპარატი კარგა ხანს იდგა დახლზე, ოღონდ შოკოლადს აღარ აკეთებდნენ და ერთხელ ვუთხარი, – მაიტა, მაჩუქე ძეგლივით დავდგამ, როგორც პირველ შოკოლადის აპარატს თბილისში-თქო. მაგიანათ გავყიდეო, – ისევ ვიცინოდით.

ყველაზე ისეთად კიდევ იცი რა მახსოვს? ყარაბაღს რომ იღებდნენ წალკაში, სოფელ ბაშქოიში, მე არ ვიყავი თბილისში, და რომ ჩამოვედი, გაეგო და დამირეკა, – საქმე მაქო. ღამით გამომიარა და კაზინოში წამიყვანა, – რაღაცა უნდა გაჩვენო,ოღონდ არავის არ უთხრაო. ლევანასაც არ უთხრა, ფორესაც არ უთხრაო, მე თვითონ ვეტყვიო. ვაჰ მეთქი, შევედით იქ რაღაც ოთახში და, – აიო, ვერ მოვითმინე, და ჩემით დავამონტაჟეო, დავსხდეთ ეხლა და ვუყუროთო. ჩეხეთში მიქონდათ მონტაჟისთვის, მაგრამ იქმდე რას გაუძლებდა. შეუძლებელი იყო. ეგრე უყვარდა. მართლა ძალიან უყვარდა, ბავშვები რომ უყვართ, ისე. მაგას ვხვდებოდი, ალბათ იმიტომ მიჭირდა რომ რამეზე უარი მეთქვა. ბოლოსდაბოლოს სწორედ ეგ არი მთავარი, როგორ უყვართ ის, რაც უყვართ და ვინც უყვართ.

ეგრე მგონია,რომ გამუდმებით კინოს ხედავდა, ხშირად კი თავად იყო კინოში.ერთ დილას გაიღვიძა და გადაწყვიტა,რომ ასე ყოფილიყო, როგორც ფორემ თქვა. ■

კადრები ფილმებიდან:
„გასეირნება ყარაბაღში";
„კონფლიქტის ზონა"

კადრი ფილმიდა „რუსული სამკუთხედი“

კორო

>> დათო ტურაშვილი

ყველანი „კოროს“ ეძახდნენ და მე კი ყოველთვის ვცდილობდი, რომ მისი ნამდვილი სახელით მიმემართა კოროსთვის და მგონი, მხოლოდ ახლა ვხვდები – რატომ. ალბათ იმიტომ, რომ მინდოდა, მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნო ლევან კორინთელს იმ ფუნქციის გამო, თვითონვე რომ იტვირთა და მართლა გახდა კიდეც ყველაზე პროდუქტიული პროდუსერი საქართველოში. თუმცა მე მინდოდა, რომ მის ზღვა ენერგიასა და მიზანსწრაფულობას ჩვენი ქვეყნის გარეთაც მოეტანა ისეთივე წარმატებული შედეგი, როგორიც საქართველოში ჰქონდა. ამიტომაც, ერთხელ ხუმრობით ისიც კი ვუთხარი, რომ ერთადერთი კინოპროდუსერი იყო დედამიწაზე, რომელმაც ინგლისური არ იცოდა. სამაგიეროდ, მან იცოდა, რომ ნებისმიერ ხუმრობაშიც შეიძლება იყოს სიმართლე, და რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა და მკითხა, – ინგლისურის კარგი მასწავლებელი ვინ იციო. არ დამეზარა და "პროსპეროში" წავედი განცხადებების წასაკითხად, რადგან გადავწყვიტე, რომ ლევანისთვის უკეთესი იქნებოდა თუ უცხოელი პედაგოგი ეყოლებოდა ინგლისურად ამეტყველებისთვის. კორო ნიჭიერი ადამიანი იყო და ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისურსაც ისევე ისწავლიდა, როგორც ბევრი რამ ისწავლა მანამდე, ვიდრე ყველაზე წარმატებული პროდუსერი გახდებოდა. თუმცა მას არასდროს აკმაყოფილებდა ის, რაც უკვე ჰქონდა მოპოვებული და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სცენარიც დაწერა, რომლის მიხედვითაც პატარა ფილმის

გადაღებას თვითონვე აპირებდა. ის სცენარი ჯერ თვითონ წამაკითხა და მერე თვითონვე მომიყვა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ვეუბნებოდი, – წაკითხული მაქვს-მეთქი, და მაინც არ ჩერდებოდა. როცა ჯერარგადაღებული კინოს სიუჟეტს ჰყვებოდა ხოლმე, ყოველთვის ბავშვივით ანთებული იყო, და ეს და კიდევ რამდენიმე ბავშვური თვისება, ბოლომდე შეინარჩუნა კიდეც. მე კი ასეთი ადამიანები ძალიან მიყვარს და კოროც მიყვარდა; თუმცა არ მიყვარს და არ მომწონს ის, რომ მისი ახლობლები ახლაც ცდილობენ, არ ილაპარაკონ ლევან კორინთელის სიკვდილის ნამდვილ მიზეზებზე. სამწუხაროა, რომ დღემდე ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რამდენად პრობლემური და ტრაგიკულია ნებისმიერი ნიჭიერი ადამიანის დაკარგვა ისეთი მცირერიცხოვანი ხალხისთვის, როგორიც ჩვენ ვართ. არადა ნიჭის გარდა, მას ჰქონდა (კარგი გაგებით) ისეთი ფანატიური სიყვარული კინოს მიმართ, რომელიც აუცილებლად სჭირდება რეალური შედეგის მიღებას. კორომ კი თვითონ შექმნა თანამედროვე ქართული კინო-რეალობა მაშინ, როცა ერთი ფილმის გადაღებაც კი, საქართველოში არარეალური ეგონათ.

ამიტომაც კორო სჭირდებოდა ნებისმიერ ჩვენგანს და მას სიკვდილის უფლება, უბრალოდ, არ ჰქონდა... ■

>> ირაკლი სოლომანაშვილი

დიდი ხნით დაიკარგებოდა ხოლმე, მერე უცბად დარეკავდა, ზუსტად მაშინ, მის ზარს რომ არ ველოდი – ჰა, არ გადავიღოთ კარგი კინო? მაგარი იდეა მაქვსო, – მეტყოდა და საკუთარი იდეით ანთებული იქვე, ტელეფონით მიამბობდა რაიმე ამბავს, რომელიც უკვე მზა სინოფსისი იყო. ბოლოს იკითხავდა: „ირა, ხო „ახუიტელნი" ისტორიაა, ტო? ერთგან ვიბაზრე და რაღაც მაყუთს იძლევიან, დანარჩენს დედას ვუტირებ, და ხო იცი, ვიშოვი."

– კი, მაგარია!..

– მერე მაგარი როა, დავაი, ხვალ ჩემთან შევხვდეთ.

– ხვაალ?!

– ჰო, ხვალ, აბა როდის? ორ კვირაში მზად უნდა იყოს სცენარი... მეტი რად უნდა, ტო? ყველაფერი ვიცი, „პროსტა" ეს წერა არ შემიძლია... შენებურად, საკაიფო დიალოგები უნდა, რა...

ყურმილს ვკიდებდი და ჩემთვის ვფიქრობდი: ორ კვირაში სცენარი... რა უნდა გამოვიდეს? მაგრამ, ყურმილში მოსმენილ ამბავზე უკვე ვიწყებდი ფიქრს.

მეორე დღეს დათქმულ ადგილას, ოღონდ არა დათქმულ დროს ვხვდებოდით.

– აუ, შენ ვინა ხარ, ტო? შანსი არ არი, რო არ დააგვიანო!..

ჰო, ასე იყო – მე სცენარის წერისას მუდამ ვაგვიანებდი, ის სცენარიდან სცენარამდე მუდამ იკარგებოდა.

შეხვედრისას კიდევ ერთხელ მიამბობდა ტელეფონში წუხელ ნაამბობს, ოღონდ ოდნავ სახეშეცვლილს, ხშირად ერთის მაგივრად რამდენიმე ამბავს და ისევ ჩამეკითხებოდა: ხო, „საკაიფოა"?..

კი, მართლაც „საკაიფო" იყო. მის მიერ ნაამბობი ყოველი ეპიზოდი ცალკე ფილმად გადაღების ღირსი იყო, მათი გაერთიანება ერთ ფილმად კი საკმაოდ რთული. რამდენიმე ეპიზოდის ერთად ასაკინძად თრითმენტის დაწერას ვთავაზობდი. მუდამ ეჩქარებოდა, – რა დროს თრითმენტია, სცენარი გვეჩქარება, დავიწყოთ და თავისით აეწყობაო. ჰოდა, ვიწყებდით სცენარის წერას და, რა თქმა უნდა, ორ კვირაში ვერასდროს ვეტეოდით.

მუდამ ლევანს ვეძახდი, „კორო" არასდროს დამიძახია, და მისი გაცნობიდან დიდხანს, სანამ თავად არ მიამბო, ვერ ვხვდებოდი, რატომ გადაწყვიტა ფილმის გადაღება და საერთოდ რატომ მოვიდა კინოში?

სანამ კინო შეგვახვედრებდა, ლევანს შორიდან ვიცნობდი. ერთი თაობისანი ვიყავით და ოთხი წელი იმ უბანში ვსწავლობდი, რომელშიც ის ცხოვრობდა.

პირველად ლევან თუთბერიძემ გამაცნო. კინო „ამირანში" შევხვდით. თავიდან ვერ დავაკავშირე იმ ფილმის პროექტთან, რომელზე სამუშაოდაც მიმიწვიეს.გულახდილი რომ ვიყო, თავად პროექტის განხორციელებისაც ბოლომდე არ მჯეროდა.იმ დროისთვის წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მისი მასშტაბები. ვიცი, ლევანსაც მსგავსი რეაქცია ჰქონდა ჩემს მიმართ, და რომ არა გიორგი ხარაბაძისა და გიო ახვლედიანის რეკომენდაცია, ალბათ ჩემს კანდიდატურაზე უარსაც იტყოდა. მაგრამ იმ დროს ლევანი თავის პირველ კინოპროექტს იწყებდა და ამ სფეროში უფრო გამოცდილთა აზრს ენდობოდა.

ასე დაიწყო ჩვენი პირველი „გასეირნება ყარაბაღში".

თავიდან სცენარზე მუშაობისას ნაკლებად აქტიურობდა, მაგიდის განაპირას იჯდა და იქიდან უსმენდა გიო ახვლედიანის ნაწარმოების ჩემეულ ადაპტაციას. ყველაზე მეტად დიალოგებზე ამახვილებდა ყურადღებას, ან გულიანად იცინოდა რომელიმე პერსონაჟის რეპლიკაზე, ანდა მაჩერებდა და მისწორებდა, – ეგ ტიპი ეგრე არ იტყოდაო, – და თავის ვერსიას ამბობდა. როგორც წესი, მისი ვერსია ნაღდი იყო.

ბოლოს იმდენად ჩაერთო სცენარზე მუშაობაში, რომ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ვისხედით და ლევანის ცხოვრებაში მომხდარ რეალურ ამბებს ვისმენდით.

– მაგარი ისტორიაა, მაგრამ ამ ფილმში ვერ ჩაჯდება.

მენანებოდა, ლევანის ნაამბობი ბევრი ეპიზოდის ადგილი სცენარში რომ არ მოინახა. აბა, იმ დროს ვინ წარმოიდგენდა, რომ ტრილოგიის პირველ ფილმზე ვმუშაობდით.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ იშვიათად და შემთხვევით თუ ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთ დღესაც, მის ზარს რომ არ ველოდი, სწორედ მაშინ დამირეკა და მეორე დღეს შევხვდით.

გიომ იცის მეთქი? – ვკითხე. კი, მაგრამ თვითონ არ მიიღებს მონაწილეობასო. უარი ვუთხარი, არასერიოზულად მეჩვენა, სხვა ავტორის ლიტერატურული გმირების ცხოვრება თუნდაც კინოში გამეგრძელებინა; მით უმეტეს, რომ იმ ეტაპზე თვითონაც ნაკლები სერიოზულობით ეკიდებოდა მეორე ფილმს, მხოლოდ კომერციულ ინტერესს ხედავდა.

რამდენიმე თვე გავიდა და ისევ იმ დროს დამირეკა, მის ზარს რომ არ ველოდი. ისევ მეორე დღეს შევხვდით. ორი სხვადასხვა ავტორის ორი სხვადასხვა სცენარის მონახაზი მაჩვენა, – არც ერთი არ მომწონსო, თითქოს ის არის რაც ვუამბე, მაგრამ რომ ვკითხულობ, ვერ „ვკაიფობო". არადა გადასაღები ფული ვიშოვე და ორ კვირაში სცენარს ელოდებიანო.

– ირა, იცი, როგორი კინო მინდა – თან რო გეცინება და, თან რო ტონკად მტკივნეულია.

მეც სწორედ ასეთი კინო მიყვარს, ამჯერად ვეღარ ვუთხარი უარი და გავყევი სასეირნოდ აფხაზეთიდან ყარაბაღში თბილისის გავლით...

ლევანთან შინ ვმუშაობდით, მე ისევ ვაგვიანებდი შეხვედრებზე და ბოლოს ისე გამოვიდა მწყობრიდან, კარი ჩამიკეტა.

რასაც მიამბობდა, ყველა ეპიზოდი ან მას ჰქონდა გადამხდარი, ანდა მის ნაცნობებს. საოცარი ნიჭი ჰქონდა რალური ამბების კინოეპიზოდებად დანახვის. ხშირად იცინო-

და, ამ ამბავს პროტოტიპები ეკრანზე რომ ნახავენ, მათი სახეები წარმომიდგენია, გამოშტერდებიანო. სიცილს წერაზე მეტი დრო მიჰქონდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, სცენარში შესულ ზოგიერთ სცენაზე უარს ამბობდა, – ეგ ვისაც რეალურად გადახდა, კაი ტიპია და ეკრანზე რომ ნახავს, გაუტყდებაო. ყველა ისტორია ერთმანეთზე უკეთესი იყო, მაგრამ მათი ერთ სცენარში თავმოყრა და მთავარი გმირებისთვის მორგება მუდამ ვერ ხერხდებოდა. ისევ ქაღალდს მიღმა დარჩა ბევრი ეპიზოდი.

„კონფლიქტის ზონა“ ანუ „გასეირნება ყარაბაღში-2“ დიტო ცინაძეს უნდა გადაეღო, მაგრამ შეპირებულმა დაფინანსებამ დააგვიანა და დიტოსაც სხვა პროექტის დაწყების დრომ მოუსწრო.

ლევანს ისე უნდოდა ამ ფილმის გადაღება, რომ ერთხელ მითხრა კიდეც, ხომ არ ვცადო რეჟისორობაო; მაგრამ მაშინვე უარი უთხრა საკუთარ თავს, – ჯერ ადრეა, მაგის დროც მოვაო. უარი კი თქვა, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ჰქონდა სარეჟისორო სკამი, რომელსაც საზურგეზე „კოროლეონე“ ეწერა.

მერე ისევ რამდენიმე თვით დაიკარგა და მერე ისევ მოულოდნელად გაისმა ზარი. უკვე ახალი რეჟისორი – ვანო ბურდული და ისევ ორი კვირა რეჟისორისთვის სცენარის მოსარგებად. ერთხელ დაწერილი თავიდან ბოლომდე ამოვატრიალეთ და ბოლოს ისევ პირველ ვერსიას დავუბრუნდით.

გადაღებებზე სიარული არ მიყვარს, მაგრამ ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღების წინ დამირეკა და მთხოვა, გვერდით დამიდექიო. განა რეალურად ვჭირდებდი, ბოლოსდაბოლოს კამერასთან გიორგი ბერიძე იდგა, მაგრამ ამ ეპიზოდის გადაღებას, ვანოს გარეშე, თავად აპირებდა და მეტი თავდაჯერებულობისთვის უნდოდა ჩემი იქ ყოფნა.

ჭრელ აბანოში მოხდა ლევანის სარეჟისორო ნათლობა.

„კონფლიქტის ზონის“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ისევ დაიკარგა. მე სხვა პროექტებზე ვმუშაობდი, მან როგორც პროდუსერმა რამოდენიმე ფილმი გადაიღო. მორიგი მოულოდნელი ზარი რომ გაისმა, ელდა მეცა, – ვაი, თუ ისევ ყარაბაღში სასეირნოდ მეპატიჟება მეთქი, მაგრამ არა...

სცენარის სამუშაო სათაური „ყვირილის მოთხოვნილება“ იყო. სამნი ვმუშაობდით: თავად ლევანი, კოტე ჯანდიერი და მე. ლევანი ისევ გვიამბობდა რეალურად გადამხდარს და გადატანილს. ბატონი კოტე და მე ისევ ვცდილობდით ერთი ღერძზე აგვეკინძა მოსმენილი.

აბა, რომელი სცენა იქნება მაპროვოცირებელი ინციდენტი, კულმინაცია, შემობრუნების წერტილი... ლევანმა გვისმინა, გვისმინა, ერთ დღესაც ვეღარ მოითმინა, და ნერვებმოშლილმა განგვიცხადა, – რა გამიხურეთ მაგ თქვენი სტრუქტურებით და ტერმინებით, მე ეგ რაღაცები არ ვიცი, მთავარია მუღამიო. ბატონი კოტე პირველად მუშაობდა ლევანთან და ის რაშიც მე უკვე დიდი ხნის დარწმუნებული ვიყავი, მისთვის აღმოჩენა იყო. აღფრთოვანებული მეუბნებოდა, უამრავ რეჟისორთან და პროდუსერთან მიმუშავია, ლევანთან შედარებით გაცილებით გამოცდილებთან და საქვეყნოდ აღიარებულებთან, მაგრამ იშვიათად თუ მინახავს, კაცი ასე გრძნობდეს და ხედავდეს კინოსო. მახსოვს, მუშაობისას კიდევ ერთხელ მოეშალა ნერვები, დაღლილი ვიყავი, კამათის თავი არ მქონდა და რასაც მეუბნებოდა, ყველაფერზე ვეთანხმებოდი; მიმიხვდა და ისეთი უაზრო ეპიზოდის დაწერა შემომთავაზა, თანამედროვე ქართულ კინოსაც რომ არ დასიზმრებია. უცბად გამოვფხიზლდი და, – არა, არ მომწონს-მეთქი. გაეცინა, – მაგაზეც რომ დამთანხმებოდი, დაგბრიდავდიო.

იმ სცენარის გადასაღებად დაფინანსება ვერ მოიძია, მაგრამ დარწმუნებით თქვა, ფულსაც ვიშოვი და თავადაც გადავიღებო.

კარგა ხნის შემდეგ ზარი რომ გაისმა, ვიფიქრე, ეტყობა ფული იშოვა და „ყვირილის მოთხოვნლებას“ ვიღებთ-მეთქი. ფული მართლაც ნაშოვნი ჰქონდა, ოღონდ სხვა ფილმისთვის. ლევანთან და ზაზა ურუშაძესთან ერთად სცენარის პირველი ვერსიაც უკვე დაეწერა უტა ბერიას. უჩემოდ ისევ ყარაბაღში წასულიყვნენ სასეირნოდ. ეტყობა შუა გზაში მყოფ ლევანს ძველი მეგზური თვალში მოვაკლდი. თან სასაცილო როა და თანაც ტონკად მტკივნეული, ეგეთ გზები ხომ ადრეც ერთად გვივლია.

სცენარი რომ დავასრულეთ, ლევანს ვუთხარი, – ფილმის მთავარი სათქმელი მტკივნეული კი არა დამთრგუნველია მეთქი.

– რატოოო?

– იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში სიყვარულმა რომ გაიმარჯვოს და მომავალი თაობა ბედნიერი იყოს, ამისათვის საჭიროა, ჩვენი თაობა დაიღუპოს მეთქი.

ერთხანს თვალებში მიყურა, თავისთვის ფიქრობდა, ბოლოს ტონკად მტკივნეულად გაიღიმა – რა ვიცი, იქნებ ეგრეც არიო...

„ბოლო გასეირნება“ ბოლო სცენარი არ ყოფილა, რომელზეც ერთად ვმუშაობდით.

ამ ხნის განმავლობაში მე უკვე შევეჩვიე მის დაკარგვას და შემდეგ მოულოდნელ ზარს. ამ ხნის განმავლობაში ისიც შინაგანად მომწიფდა იმისთვის, რომ უკვე დიდი ხნის ოცნება აეხდინა და როგორც რეჟისორს გადაეღო ფილმი, თუმცა მაინც ფრთხილად ეკიდებოდა ამ საქმეს და მოკლემეტრაჟიანით უნდოდა ნიადაგის მოსინჯვა. შესაბამისად, სცენარის დაწერის ვადაც ორი კვირიდან ორ დღემდე შემცირდა.

ზაზა ურუშაძეს სთხოვა, – გადაღებას რომ დავიწყებ ჩემს გვერდით იდექიო. ზაზამაც უპირობოდ აღუთქვა დახმარება.

მერე ისევ დაიკარგა.

შევეჩვიე-მეთქი ლევანის მოულოდნელ სატელეფონო ზარებს, ველოდი კიდეც, რომ დამირეკავდა, რადგან ვიცოდი, იმ მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებამდე კიდევ ერთხელ მთხოვდა სცენარის გადახედვას. მაგრამ იმ დღეს ლევანს არ დაურეკავს, ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტმა ყურმილში მითხრა, გარდაიცვალაო.

ფიქრით კი მიფიქრია, მაგრამ ლევანივით არასდროს მიოცნებია გავმხდარიყავი რეჟისორი. ერთხელ მთვრალმა ვუთხარი, – რა გადაეკიდე ამ კინოს, მე რომ სხვა რამის კეთება შემეძლოს, საერთოდ გავანებებდი-მეთქი თავს.

ისიც მთვრალი იყო, ოღონდ უკეთეს ხასიათზე, ვიდრე მე და ძალიან მშვიდად მიამბო, როგორ და რატომ მოვიდა პირველად კინოში, რატომ გადაწყვიტა პირველად „გასეირნება ყარაბაღში“.

ფილმი რომ გადაიღო, კინო უნდა გიყვარდეს და არა მარტო კინო. ვიღაც ყვავილებს ჩუქნის ქალს, ვიღაც კი ფილმს.

ისევ დაიკარგა.

ჰო, მუდამ ასე იყო, მე სცენარის ჩაბარებას მუდამ ვაგვიანებდი, ის სცენარიდან სცენარამდე მუდამ იკარგებოდა. ■

კადრები ფილმებიდან
„ბოლო გასეირნება";
„რუსული სამკუთხედი"

>> უტა ბერია

მაგარი არაპუნქტუალური ვარ და ამ შეხვედრაზე დროზე ადრე მივედი. ლევან კორინთელის სახლის წინ, ხის ძირში ვაბირჟავე ნახევარ საათზე მეტი. დარეკვა და „მოვედი თქო", – ამის თქმა მომერიდა. ადრე მისვლას, ჩემი აზრით, ისევ დაგვიანება ჯობს, ბოდიშს მაინც მოიხდი. მოკლედ, ვდგავარ, ვეწევი და ვნერვიულობ. გამიმართლა, კარგი მეგობრები მყავს, და მათი წყალობით წინა ღამეს დამირეკა კორომ, – „გასეირნება ყარაბაღში"-ს მესამე სერიის გადაღებას ვაპირებთ და სცენარისტი გვჭირდებაო, შენი თავი მირჩიესო, – მითხრა და შეხვედრაზე შევთანხმდით. ატუზული ვარ კოროს ეზოში და დანიშნული დროის ან ზაზა ურუშაძის მოსვლას ველოდები. მაშინ არც ზაზას და არც ლევანს არ ვიცნობდი, მაგრამ ტელევიზორში ორივე ნანახი მყავდა. კოროს ჭიშკართან ავტომობილი გაჩერდა და ზაზა გადმოვიდა. ჩემმა მღელვარებამ იმატა და ალბათ ეს დამეტყო. მანქანის კარს რომ კეტავდა, ზაზამ მაშინ შემამჩნია და შევატყვე, სახიფათო ვეჩვენე, იმდენ ხანს ვიდექი იქ, რომ უბნის „აბიჟნიკს" დავემსგავსე. ეგრევე სანდომიანად გავიღიმე, მაგრამ არ გაჭრა. ზაზა მანქანაში შებრუნდა და რაღაც იჩალიჩა; ალბათ საფულე ამოიღო, ან მაგნიტოფონს პანელი მოხსნა. ლევანმა რომ სახლის კარი გააღო, მაგ დროს დაკეტა ზაზამ მანქანის კარი და სახლში შესვლის წინ ლევანს ჩემზე რაღაც უთხრა. მე მათკენ წავედი. კოროსაც საეჭვოდ მოვეჩვენე და მკაცრად მკითხა, – რა გინდა აქ, ვის ელოდებიო. მე დაბნეულად ვუპასუხე, – თქვენთან მაქვს შეხვედრა-თქო, და ორივეს გაახსენდა, რომ გუშინ ახალგაზრდა სცენარისტი დაიბარეს და გაეღიმათ. აი ეგრე „პადაზრიწელნად" შედგა ჩვენი გაცნობა. შეხვედრამ „კონსტრუქციულად" ჩაიარა. მე და ზაზამ მალევე გავუგეთ ერთმანეთს. ყარაბაღის სერიებზე ვლაპარაკობდით, მე ერთ-ერთი სცენა გავიხსენე და ვთქვი, რომ ეს სცენა ყველაზე მეტად მომწონს თქო. აღმოჩნდა, რომ ეს ეპიზოდი კოროს მოფიქრებული იყო და ჩემი ნათქვამი მაგრად ესიამოვნა. ეს მომენტი იყო, როცა მისი ნდობაც მოვიპოვე და ჩემი პირველი სცენარის შეკვეთაც დავითრიე. სცენარზე ერთად ვმუშაობდით მე, ლევანი, ზაზა და ირაკლი სოლომანაშვილი, და „ბოლო გასეირნებიდანაც" ჩემი საყვარელი სცენები კოროს მოფიქრებულია. ■

>> კოტე თაყაიშვილი

ძალიან ძნელია, დაწერო წარსულში ისეთ ადამიანზე როგორიც კორო იყო. კორო იყო ადამიანი, რომელსაც მართლაც ჰქონდა საოცარი ნიჭი მომავლის ხედვისა. მისი ყოველი პროექტი, იდეის ჩასახვიდან პრემიერამდე, მხოლოდ მისი ენერგიის დამსახურება იყო. ზუსტად ვიცოდი, როდესაც რამე პროექტის იდეას მომიყვებოდა, იმას აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა. ამ ზაფხულს მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარი წამაკითხა, რომლის რეჟისორიც თვითონ უნდა ყოფილიყო. კითხვა რო დავიწყე, ლეპტოპი გამომართვა და თვითონ გააგრძელა; თან მიხსნიდა, რა როგორ უნდა გადაეღო; მიყურებდა და ვხვდებოდი, რომ ჩემი აზრი აინტერესებდა, რაც ძალიან მესიამოვნა. ისიც დაამატა, რომ პირველად მე მაკითხებდა. სცენარი მართლაც ძალიან საინტერესო იყო და, რა თქმა უნდა, ჩემი აღფრთოვანება არ დავმალე. ზუსტად დამანახა ფილმი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ფილმს ვნახავდით და ლევანის სარეჟისორო დებიუტი წარმატებით ჩაივლიდა, მაგრამ სამწუხაროდ გადაღება ვერ მოასწრო.

ახლა, როდესაც ლევანზე ვწერ, ბევრი რაღაც მახსენდება; როგორ გავფრინდით ერთად კიევში „რუსული სამკუთხედის“ გადაღებები რომ იწყებოდა, როგორ გამიყვანა ჩემი ფილმის პრემიერის შემდეგ და შეაქო ფილმი, და უამრავი დეტალი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ვიცი, მკითხველს რამდენად დააინტერესებს, და ამიტომ ჩემს მოგონებებს მასზე არ დავწერ.

ყოველთვის მეგონა, რომ როდესაც დრო გავიდოდა და მე პროფესიულად განვვითარდებოდი, ის ჩემი ფილმის პროდუსერი იქნებოდა, და ერთად გავაკეთებდით ფილმებს, მაგრამ ეს უკვე გამორიცხულია.

ლევანი, ერთი შეხედვით, ისეთი ადამიანი იყო, თითქოს იმ წუთის ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ რეალურად ის ყოველთვის მომავალზე ფიქრობდა; ბოლოს მოსკოვში რომ მიდიოდა, მიზნად ჰქონდა დასახული, რომ იქ უნდა გაეგრძელებინა კინოს კეთება, და მიყვებოდა, როგორ აპირებდა ამას. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას შეძლებდა, და წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე ვუთხარი, – ეგრე იძახი, რამდენი ხანია, და რით ვერ წახვედი-თქო... ახლა ვფიქრობ, – ნეტავ კიდევ ცოტა ხანს მაინც არ წასულიყო. ■

ლევან კორინთელი

>> ლიზა ციციშვილი

დიდი სიყვარულის, პატივისცემის და ლევან კორინთელთან მჭიდრო ურთიერთობების მიუხედავად, მისი ფილმების გადაღებების დროს, როგორც გადასაღებ მოედანზე მისული ჟურნალისტი, პრივილეგირებული არასდროს ვყოფილვარ. სადღაც, გულის სიღრმეში ეს ყოველთვის მაფიქრებდა. ტრადიციული თბილისური დამოკიდებულება – „მე მისი ახლობელი ვარ" – გადასაღებ მოედანზე რეალობად ვერა და ვერ ვაქციე.

არადა, მისი ახალი ნამუშევრის შესახებ რეპორტაჟებს განსაკუთრებული მონდომებით ვამზადებდი. თუმცა, დიდი მცდელობების მიუხედავად, უნდა ვაღიარო, მისი მოსაწონი რეპორტაჟი არ მახსოვს. ქართულ მედიას ეჭვის თვალით უყურებდა. ჟურნალისტებზე, მათ მიდგომებზე, მედიის თანამედროვე ტენდენციებზე ბევრს უკვე სახლში ვკამათობდით...

და მაინც, ჩემთვის ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ გადაღებას გავიხსენებ.

მაშინ „გასეირნება ყარაბაღის" მეორე სერიას იღებდნენ. გადაღებაზე კატიას, მისი ცოლის „ჩაწყობით" მოვხვდი.
გამიმართლა – ჩემს რეპორტაჟში ღია ცის ქვეშ გაშლილი სივრცე, მზიანი ამინდი და ანანურში გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სცენა მოხვდა. ახალი სეზონის „მოამბის" კულტურის ბლოკი სწორედ ამ ექსკლუზივით გაიხსნა.

გზად ანანურისკენ, რა თქმა უნდა, მის ახალ წამოწყებაზე ვსაუბრობდით. წინ კი ნამდვილი სირთულეები მელოდა – როგორც კი გადაღება დაიწყო, ფილმის პროდუსერი გადასაღებ მოედანზე ერთდრულად გამნათებელად, რეჟისორად და მსახიობად იქცა... პროცესში მთლიანად ჩაერთო და, რა თქმა უნდა, მე და ჩემი სამწუთიანი სიუჟეტი საერთოდ დაგვივიწყა. დღის ბოლოს აღმოვაჩინე, რომ ინტერვუის მოლოდინში რამდენიმე საათი თურმე იმისთვის ვიდექი, რომ უარი მიმეღო.

მისი საქციელით აღშფოთებულს ბევრჯერ მითქვამს, – „ეს ბოლოა"... მაგრამ როგორც კი ახალ ფილმს იწყებდა, ბრაზი გადამივლიდა ხოლმე... უცნაურია, ისიც თავად გადაწყვიტა, თუ რომელი გადაღება უნდა ყოფილიყო ბოლო.

ყოველთვის ვკითხულობდი მის სცენარებს. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჩემი აზრი აინტერესებდა. კითხვის დასრულების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი უნდა გველაპარაკა... ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ საუბარში ბოლომდე ამყოლოდა – ასე ვახერხებდი, გამეგო ის, რაც ჩემი მომავალი რეპორტაჟისთვის გამომადგებოდა.

ბოლოს მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარი წამაკითხა. სანამ კითხვას დავამთავრებდი, თვალი არ მოუშორებია და ჩემს შეფასებას პატარა ბავშვივით ელოდა.

ბოლო სცენარის მიხედვით, ფილმს ალბათ მალე გადაიღებენ... მაგრამ მე ამ გადაღებაზე ვერ წავალ. როცა ძალიან მომენატრება, ისევ მის დაწუნებულ რეპორტაჟებს გადავავლებ თვალს...

პირველი რეპორტაჟი ლევან კორინთელის ფილმის შესახებ, ლევან კორინეთელის გარეშე, დღეს გავაკეთე. „მოამბის" მთავარი გამოშვების კულტურის ბლოკში მოვყევი მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალ „ლისტაპად"-ზე მისი უკანასკნელი ფილმის „ბოლო გასეირნების" წარმატების შესახებ. მძიმე დღე მქონდა... და ალბათ, როგორც ყოველთვის, არც ეს რეპორტაჟი ვარგოდა... ■

კადრი ფილმიდან
„რუსული სამკუთხედი"

ქართული კინოს სიყვარულით,

>> ლელა ოჩიაური

არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეთი ჩვევა მაქვს – ტელეფონიდან არ ვშლი იმ ადამიანების ნომრებს, ვისაც ვეღარასდროს დავურეკავ. ნელ-ნელა ივსება ჩემი მობილური „უადრესატო“ სახელებით და ეს სახელები დროდადრო, გზად „ამომხტარი“, ამ, მისამართის გარეშე დარჩენილ ადამიანებს მახსენებს.

2 თვეც არ გასულა, რაც მათ რიცხვს ლევან კორინთელი შეემატა. ზოგჯერ მავიწყდება, რომ მის ნომერს ვეღარავინ უპასუხებს და, რასაც 7 წლის განმავლობაში მუდამ ვაკეთებდი, დარეკვას ან მესიჯის გაგზავნას ვფიქრობ... მოსაყოლი და გასაზიარებელი ბევრი მაქვს...

ლევან კორინთელის სახელი ბევრად ადრე მქონდა გაგონილი, სანამ შევხვდებოდი და სანამ კინოში მუშაობას დაიწყებდა. ვფიქრობდი, რომ ეს იყო სოლიდური, შუახნის კაცი, რომელსაც აუცილებლად უნდა სცმოდა კოსტუმი (აუცილებლად რომელიღაც ბრენდის), ძვირფასი ჰალსტუხი ჰკეთებოდა და საქმიანად, დინჯად და თავშეკავებით უნდა ესაუბრა (აი, დაახლოებით ისეთი ტიპი წარმომედგინა, თანამედროვე ბანკირები ან ბიზნესმენები რომ არიან), და გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ერთ დღეს კინო „ამირანში“ (რა კარგი იყო მაშინდელი „ამირანი“, კინემატოგრაფისტებისა თუ კინოს მოყვარულების თავშეყრის ადგილი; რამდენჯერ მივსულვართ იქ ისე, არა ფილმის სანახავად, არამედ სივრცეში, სადაც შეიძლებოდა მეგობრებს შეხვედროდი, რაღაც ახალი გაგეგო მსოფლიო კინემატოგრაფის შესახებ, და ქართულ კინოზე გელაპარაკა, მის მომავალზე გეოცნება) ლევან თუთბერიძემ ჯინსებში, სპორტულ მაისურასა და კედებში გამოწყობილი, სათვალიანი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი გამაცნო.

ეს ის პერიოდია, როდესაც „გასეირნება ყარაბაღშის“ გადაღებებისთვის ემზადებოდნენ. ლევან კორინთელმა პირველ ქართულ დამოუკიდებელ საპროდუსერო პროექტს მოჰკიდა ხელი და, როგორც შემდეგ გაირკვა, ქართული კინოს, კინოწარმოების გამოფხიზლება-აღორძინებისკენ პირველი თამამი ნაბიჯი გადადგა; გზა გაიყვანა იქ, სადაც ის არ იყო.

იმ დღეს ბევრი ვისაუბრეთ; უფრო სწორად, ლევანი ყვებოდა, ყვებოდა აღტაცებით, აფორიაქებული (როგორც სჩვეოდა), ყვებოდა, როგორ და რატომ გადაწყვიტა ფილმის გაკეთება, როდის წაიკითხა და რა შთაბეჭდილება მოახდინა მოთხრობამ „მოგზაურობა ყარაბაღში“; როგორ და სად შეხვდა აკა მორჩილაძეს; როგორ მუშაობენ სცენარზე და, საერთოდ, რატომ უნდა ამ სცენარით ფილმის გადაღება. მე ვუსმენდი (ხმის ამოღება ვინ მაცალა) და ან მხოლოდ თავს ვუქნევდი, ყურადღების ნიშნად ან მხოლოდ მოწონების (თუმცა ოდნავ ეჭვნარევი) შორისდებულებით ან მოკლე კომენტარებით („რა კარგია!“, „რა მაგარია!“, „ძალიან საინტერესოა!!!“) ვერთვებოდი; ჩემთვის კი ვფიქრობდი, – „ახლა ამ ბიჭს სჯერა, რასაც ამბობს, თუ დაუჯერებელ ფანტაზიებში ჩემს დარწმუნებას ცდილობს-მეთქი?!“

შემდეგ, როდესაც „ყარაბაღს“ სხვა ფილმები მოჰყვა და ყოველი მათგანზე მუშაობის პროცესში ჩვენი შეხვედრები გახშირდა, ყველაფერი პირველი გაცნობის „რეჟიმში“ წარიმართა, მხოლოდ ფორმატი გაფართოვდა – ახალ პროექტთან ურთიერთობა აუცილებლად სცენარის კითხვით უნდა დამეწყო, შემდეგ სასწრაფოდ აზრი მომეხსენებინა (სასურველი იყო – დადებითი), და შენიშვნებიც გამეცნო.

ყოველი მომდევნო ფილმის იდეის, სცენარის კარგად „დასწავლის“ შემდეგ აუცილებლად უნდა მენახა ახალი ფილმის შავი მასალა, შავი მონტაჟი, მასალა გახმოვანების გარეშე, გახმოვანებული, ოღონდ მუსიკის გარეშე, უნდა მომესმინა საუნდტრეკი, უნდა მენახა აფიშა, უნდა დავსწრებოდი პირველ ჩვენებას, შემდეგ მეორეს, პრემიერა არ უნდა გამომეტოვებინა, უნდა გამომეთქვა აზრი (ამ შემთხვევაშიც, უკეთესი იქნებოდა – დადებითი), და შემდეგ ასევე აუცილებლად უნდა გამეკრიტიკებინა.

ერთ საღამოს დამირეკა და, – ალეკო ცაბაძის „რუსულ სამკუთხედის“ სცენარი მინდა წაგაკითხოო. გადმომცა ფურცლების უშველებელი დასტა. საათში ერთხელ მირეკავდა, – აბა, რა ქენიო? დამაცადემეთქი, – ვპასუხობდი. ჰო, კაიო, – ხმაში წყენას ვატყობდი. შემდეგ კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. კითხვას გვიან ღამით მოვრჩი. სცენარით აღვფრთოვანდი და გასაგები გახდა, რატომ არ შეეძლო მოთმენა. ძალიან მომინდა შთაბეჭდილება გამეზიარებინა, ცოტათი „დამნაშავედაც“ ვგრძნობდი თავს, მაგრამ ვფიქრობდი, ეძინა. ლევანის

ლევან კორინთელისგან

კადრები ფილმებიდან
„კონფლიქტის ზონა";
„რუსული სამკუთხედი"

მოუთმენლობა გადმომედო და „გავრისკე", – მესიჯი გავუგზავნე: „გავგიჟდიიიიიი!!!!!". იმ წუთას დამირეკა, ძალიან ბედნიერი იყო. გათენებამდე ვისაუბრეთ. ორ ხმაში ვასხამდით ხოტბას ალეკოს ნიჭს, და მომავალი ფილმის წარმატების პერსპექტივებს ღრმად დარწმუნებულები ვსახავდით.

ძალიან გადამდები იყო მისი ენერგეტიკა, რწმენა და სიყვარული. ლევან კორინთელმა ქართულ კინოს, ქართულ კულტურას 8 სრულმეტრაჟიანი ფილმი აჩუქა და ვინ იცის, რამდენ კინოპროექტში მიიღო მონაწილეობა. ცოტა ვინმე თუ შემხვედრია პროდუსერთაგან, ვისაც ამდენი რამ გაეკეთებინოს კინოსთვის, ასეთი თავდადებითა და ერთგულებით ემუშავოს გადაღებებისა და შემდეგ პერიოდში, და იმდენისთვის მიეღწიოს, რამდენიც ლევანმა შეძლო; ფაქტობრივად, ცარიელ ნიადაგზე და უანგაროდ, მხოლოდ იმიტომ, რომ კინო უყვარდა. შეუძლებელი იყო მისი ენთუზიაზმის მიმართ გულგრილი დარჩენილიყავი და მხარი არ აგება, გვერდში არ დადგომოდი, როდესაც სჭირდებოდა, და თუნდაც სიტყვიერად არ გაგემხნევებინა (ასეთი „გამხნევებები" ძალიან უყვარდა), მასთან ერთად არ გაგეხარა ფილმის წარმატებით და მარცხი არ გწყენოდა.

სულ უნდოდა, რომ სხვაც ისეთივე აღფრთოვანებული და ატაცებული ყოფილიყო მისი ფილმებით, როგორც თვითონ იყო, და როდესც ასე ყოველთვის არ ხდებოდა, სწყინდა და იბუტებოდა; ადამიანების დაუნახაობაზე, უმადურობაზე ჩიოდა; სახიდან ეშმაკური და გულღია ღიმილი უქრებოდა, გულნატკენი „პირობას დებდა", რომ სამუდამოდ თავს ანებებდა კინოს, და „გრეჩიხის" გაყიდვას მიჰყოფდა ხელს.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც წყენა გაუვლიდა, ადრინდელზე უფრო დიდი ხალისით, აღტაცებითა და მონდომებით შემდეგი პროექტის იდეით ენთებოდა, ახალი სცე-

ნარის წაკითხვა-შესწორებას მთხოვდა, და აღარც ბაზრობაზე მოვაჭრის როლი ახსენდებოდა და აღარც ის, რომ სულ ახლახან კინოს „საბოლოოდ" დაემშვიდობა.

კვლავ ეძებდა რეჟისორებს, რომლებიც მის ფილმებს ზუსტად ისე გადაიღებდნენ, როგორც თვითონ ხედავდა; ეძებდა დრამატურგებს, რომლებიც მის იდეებს (უშრეტ) ისეთ სცენარებად აქცევდნენ, როგორიც თვითონ წარმოედგინა, და პოულობდა მათ. ასე გრძელდებოდა „ბოლო გასეირნებამდე", „მე – ზურაბამდე", „ქაქუცამდე"... გადაღებულ ფილმებამდე, გამხელილ თუ გაუმხელელ პროექტებამდე.

თუ სადმე (ძირითადად, „ამირანის" „ლიტერატურულში") შემთხვევით, რომელიღაც კუთხიდან ხმამაღალ, ენერგიულ და ცოცხალ მონოლოგს მოვკრავდი ყურს, მაშინვე ვხვდებოდი, ეს ლევანია, რომელიც ვიღაცას (დრამატურგს, რეჟისორს, სპონსორს) ახალ იდეას უზიარებს, და ამ ახალი იდეით ისეა ანთებული და დამუხტული, ვერ მოისვენებს, სანამ იმ ვიღაცას არ „შეაბამს"; სანამ, რაც ჩაიფიქრა, არ განახორციელებს და სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევს.

P.S ჩემთვის (და ალბათ ბევრი სხვისთვისაც) ლევან კორინთელი იყო ადამიანი, რომელსაც ვენდობოდი და რომლის იმედი მქონდა; რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ შეიძლება დაეყრდნო; და ახლა, როდესაც ის ამქვეყნად აღარაა, როდესაც ადგილი, რომელიც მას ქართულ კინოში და პირადად ჩემს ცხოვრებაში ეკავა, დაცარიელდა, კიდევ უფრო მეტად ვგრძნობ მის არყოფნას.

ლევანის გარდაცვალებასთან ერთად, ქართულ კინოში მართლაც ბევრი რამ აღარ მოხდება. პროექტებს, რომლებზეც ფიქრობდა, ასრულება აღარ უწერია, რადგან ის, რაც მან გააკეთა, ჯერჯერობით სხვამ ვერავინ გაიმეორა და, რაც შეეძლო მომავალში გაეკეთებინა, სხვა ნამდვილად ვერავინ შეძლებს.

მე კი, იმისთვის, რომ გულისტკივილი ჩავიხშო ჩემი ძმადნაფიცის არყოფნის გამო, ზოგჯერ ჩავხედავ ხოლმე ტელეფონის ნომერს, „ფ.ბ."–ში მის კედელზეც შევდივარ დროდადრო და „ვთამაშობ თამაშს", რომელსაც ბავშვობაში ვთამაშობდი და რომლის წესების მიხედვით, ლევან კორინთელი კვლავ ჩვენთანაა, უბრალოდ დროებით სადღაც სხვაგან, სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც ახალ ფილმს იღებს; გადაიღებს და ერთ დღესაც აუცილებლად დაბრუნდება შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობიდან – ახალი იდეებით, ახალი პროექტებით, ახალი გეგმებით დატვირთული, და კიდევ არაერთ ფილმს გვაჩუქებს. ■

>> თამარ ტატიშვილი

ნებისმიერი დასაწყისი ბანალურია და ასეთ თემაზე წერა – დიდი რისკი. ამიტომ, პირდაპირ ერთი ამოსუნთქვით ჯობს შევყვე და გულწრფელი მაინც გამოვა... ერთადერთი უნდა გავუძლო გადაკითხვის დროს შესწორებების შეტანის ცდუნებას... გავაკეთებ ამას. უფრო მეტს უძლებს ადამიანი, ვიდრე მისივე ნააზრევის გალამაზების ცდუნებაა...

გაცნობა

2010 წელი. კინოცენტრის ოფისი

მე ახალი დირექტორის ამპლუაში და მიმდინარე მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსების კონკურსი. კორო კომისიის წევრია, სრულიად განსხვავებული ყველა სხვა კოლეგისგან. თითქოს არც ერთს არ უნდა აინტერესებდეს მისი აზრი – ყველა ძალიან კომპეტენტური და დამსახურებულად ამბიციურია. ერთი ეს კორო იყო „უდიპლომო“ პროდუსერი და მაინც მან შეკრა გუნდი. მიჰყავდა დისკუსია, ეღიმებოდა, მეც მათვალიერებდა. კარგი დიალოგი გამოვიდა, შევატყვე გაუკვირდა. გადაწყვეტილებები მიიღეს. როგორი? ეს საერთოდ არ არის საინტერესო ახლა. კოროს ყველა თბილად დაემშვიდობა, მისი კომისიაში ყოფნა „ბრალეულობის“ მთელ ტვირთს მას აკისრებდა. ზედმეტი პასუხისმგებლობა დიდად არავის უყვარს და ამანაც მშვიდად მიიღო დამატებითი ტვირთი – ის, რაც ზედმეტი იყო სხვებისთვის. Ну, пока, ребята! – დაემშვიდობა ყველას. მერე, თვალი ჩამიკრა, – შენ როგორი მიმწოლი გოგო ყოფილხარო, – ჩაიცინა და წავიდა.

2010 წელი. კინოთეატრი „რუსთაველი“ დახურული ჩვენება „რენე მიდის ჰოლივუდში“

გვიანი ღამე იყო. ე.წ. „ოფიციოზი“ მხოლოდ ორი ადამინისგან შედგებოდა. დანარჩენი ჯგუფის წამყვანი წევრები და უკომენტარო ჩვენება. ფილმის მერე კორო კინოთეატრის წინ სკამზე იჯდა ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად, – „ოფიციოზად“ ვერ აღგიქვამ, და როგორ მიხარია ტო, – მითხრა,როცა გამოვედი, – მითხარი ეხლა ჩესნად, რას ფიქრობ“... დიდხანს ვილაპრაკეთ. ძირითადად, სხვადასხვა აზრზე ვიყავით, და ამის გამო ერთმანეთი არ შეგვირისხავს. კმაყოფილებიც დავრჩით (რაც ცოტა მოგვიანებით გაირკვა).

2010 წელი. კორო ტალინშია, „რენე მიდის ჰოლივუდში“ – ფესტივალის პროგრამაში ვიცი, რომ იქ ჩემს „გოგოებთან “ ერთად არის. ანუ კინოცენტრის თანამშრომლებთან. დროდადრო მეხმიანებიან ხან თავად, ხან – ჩვენი ესტონელი მეგობრები. ეს ხალხი ძირითადად აღნიშნავდა, – „Какой Леван крутой! С ума сойти! Совсем не похож на продюсера“...ახლა ზუსტად ვიცი, როგორც ეღიმებოდა ალბათ მაშინ, როდესაც აღტაცებული ქალების კომპლიმენტები ესმოდა მისი საპროდუსერო აღმატებულების მისამართით... დამირეკა ერთხელ, – „თამარ, იცი როგორ ვთქვი – აი, როგორც შენ ერთხელ კომენტარი გააკეთე: „სრულიად განსხვავებული ქართული კინოა, „რენე მიდის ჰოლივუდში“-ო“

დამეგობრება

2011 წლის დასაწყისი. კინოცენტრის ოფისი

კორო მოვიდა შეხვედრაზე. დიდხანს შევრჩით. მისი კომპანიის მთელი ისტორია მომიყვა; ისიც, რა ეგონა შეცდომა და რისი ამბიცია ჰქონდა მომავალში. ჩვენ კინოსფეროს მანკიერი მხარეებიც განვიხილეთ. მაგალითები მოვუყვანეთ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი საერთო შეხედულება და პოზიცია გვქონდა. ბოლოს ეცინოდა, „კეთილისმსურველების“ თემას განვიხილავდით ქართულ კინოში. ბუნებრივია, მხოლოდ ჩვენ ორის მისამართით. სხვი-

კადრი ფილმიდან
„კონფლიქტის ზონა"

სი საქმისთვის დრო არ დაგვრჩა, და მგონი, ამიტომაც გავუგეთ ერთმანეთს...

ამ ეპიზოდის მერე ქრონოლიგიას აღარ აქვს მნიშვნელობა და ვერ ავთვლი – ახალი მეგობარი გამიჩნდა.

ჩემთვის ეს რთული თემაა... რაც დრო გადის, ახალი მეგობარი უფრო ნაკლებად ჩნდება.ირგლივ სულ ბევრი ხალხია, მაგრამ ცოტა მეგობარი. უბრალოდ დიდი ხარ და გამოცდილი, მაგრამ კოროს შემთხვევა გამონაკლისი იყო.

რამდენიმე ახალი იდეა, სავსებით არარაელისტური გეგმა, რომელიც ამ ადამიანმა რელობად აქცია! სცენარი გაყიდა – ფული აიღო, გამოცდილი, შვეიცარიელი პროდუსერი ქალი აღფრთოვანებული დატოვა; რა ენაზე ელაპარაკებოდა?! ბოლოს ისე კარგად აეწყო საქმე, რომ რეჟისორობის სურვილიც კი გაუჩნდა☺, ტიპიური შემოქმედებითი ამბიცია. მერე გადაიფიქრა, ბუნებრივია☺ ...

ერთხელ, თურქეთში ვიყავი მივლინებით – „ევრიმაჟში" გაწევრიანების მოხსენება გვაქვს. ვღელავთ. კორომ „ააფეთქა" ტელეფონი. ბოლოს თითქმის ვუკივლე, – მიხვდი, რომ საქმე მაქვს და ვერ ვიღებ-თქო. მოკვდა სიცილით, „აუ, ბოდიში თამარ, მარა მოეშვი რა, მაგ კინოცენტრს, გავგიჟდი ჩემი ინგლისურით ამ უცხოელებთან ლაპარაკით, მიშველე რამე – „გაპროდუსერდი" შენც დროზეო".

ასეთი ისტორია ბევრი იყო. ერთხელ ჩვენს საერთო მეგობარს უთხრა, – დავიტანჯე უკვე, ამის გადამკიდე, სულ დისკუსიებში და „მრგვალ მაგიდებში" ვიღებ მონაწილეობას. მართლა, серьёзный პროდუსერი გავიჩითეო.

მეც ამის თქმა მინდოდა ზუსტად – ლევანს ჰქონდა ნიჭი, ალღო და სილაღე. სამი თვისება, რომელიც სამწუხაროდ არ ისწავლება... ბევრი იბრალებს, სხვისი კოპირების გზით, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს მართლა აქვს ეს ნიჭი.

ლევანს ჰქონდა ნაცხოვრები რთული ცხოვრება და, შესაბამისად, არ ეშინოდა რისკის – ეცინებოდა.

ლევანს ჰქონდა იუმორის გრძნობა და იყო ქმედითი. ლევანს შეეძლო ხისტი ყოფილიყო ოპონენტთან კამათის დროს, მაგრამ ამავდროულად მას სხვისი წარმატებით გახარების უნარიც ჰქონდა. ჩემთვის ეს პოზიტიური ენერგიის ნიშანი იყო.

უსასრულო რომ არ გამოვიდეს ეს მოგონება, ერთს ვიტყვი – კორო ჩემთვის იყო კაცი, თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებებით. მოძრაობდა სულ წინ. იცოდა თავისი მტერი და მასთან თანაარსებობა შეეძლო. უყვარდა ქალი და ამით ამაყი იყო. ძალიან კარგად შეეძლო მოქცეულიყო ყურადღების ცენტრში და ემართა პროცესები; ასევე, აღიარებდა, სად იყო მისი შესაძლებლობების ზღვარი. ამბობდნენ, – „მოიცა ერთი , მაგან რა იცის, ერთი ვერელი ბიჭიაო"... ვფიქრობ, ამ თვისებებს ვერც ვერსად აკრეფდა, როგორც სასწავლო სილაბუსის ნაკრებს. მიხარია, რომ „უდიპლომო" დარჩა ამ კუთხით.

ჩამოვედი თბილისში, წელს სექტემბერში. კანის კრიტიკოსთა კვირეულის ქართული ჩვენებები გვქონდა. კორო როცა დაპატიჟეს, პასუხი იყო, – „ბოსს უთხარით, დავერჭობი მანდ გახსნაზეო". არადა, არ მოვიდა. გაგვიკვირდა. იმ ღამეს გაფრინდნენ. ღამე კინოცენტრის ფეისბუქზე ერთ-ერთი ვიდეო დაიდო, ჩვენებების შესახებ. უცებ დავინახე, მისი კომენტარი, – „მაგარი ხარ, თაკო..." გამიკვირდა, როდის მერე „აკომენტებს", სულ იძახდა, – „პადლიზა" ხალხის საქმეაო... რომ გავიღვიძე, დამირეკეს, – კორო მოკვდაო...

მეტი რა დავწერო... მერე დაიწყო ქართული გლოვის ცერემონიალი. ნამდვილი ტკივილის და წეს-ჩვეულების ნაზავი. ყვავილები გახდა აქტუალური. გვირგვინები მიგვქონდა... მგონია, რომ ამაზეც ეღიმებოდა. ■

[illegible] "კინოზავოდში" [illegible]

>> ტიმურ ისმაილოვი

ღამის 1 საათი იყო, 20 ოქტომბერი, როცა ნიუ იორკში მივდიოდი, და ლევან კორინთელის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი ფატიმა იბრაგიმბეკოვამ შემატყობინა. დაჯერება არ მინდოდა, რომ ლევანი აღარ იყო. მთელი ღამე მასზე და მის ტრაგიკულ ბედზე ვფიქრობდი.

ლევანი ფატიმამ 2010 წლის აგვისტოში გამაცნო. ლევანს რეალურ ფაქტებზე დამყარებული იდეა ჰქონდა ვენაში მცხოვრებ უსახლკარო ქართველზე, რომელმაც, როცა აღმოაჩინა, რომ პატრონი შინ არ იყო, შეძვრა სახლში და იქ დასახლდა. მეზობლებმა ის იქაურ ბინადრად ან პატრონის მეგობრად აღიქვეს. მალე ქართველი საბოლოოდ გაშინაურდა და საქართველოდან საკუთარი ოჯახიც კი დაპატიჟა; საცხოვრებელი ყველასთვის საკმარისი აღმოჩნდა. ასე ცხოვრობდნენ ყველანი ერთად, სანამ ნამდვილი პატრონები არ დაბრუნდენ.

იდეა ტრაგიკომიკურობის გამო მომეწონა; მით უმეტეს, მე თვითონ წლების მანძილზე ვცხოვრობდი ევროპაში და ვიცოდი, რა ძნელია უცხო ქვეყანაში არსებობა. ამავე თემას ეძღვნებოდა ჩემი სადიპლომო ფილმი „ბინგო“, რომელიც ამსტერდამის კინოაკადემიაში გადავიღე. ლევანს ეს ფილმი მოეწონა.

მე ჰოლანდიიდან თბილისში 2010 წლის დეკემბერში ფატიმას და ლევანის მოწვევით ჩავედი და შევუდექი სცენარის წერას. ლევანისა და ფატიმას სურვილი იყო, ფილმიც მე გადამეღო. პროექტს დავარქვით I Zurab (მე ზურაბი), მთავარი გმირის, ზურაბის სახელის მიხედვით.

სცენარის განვითარების პროცესში აღმოვაჩინე, რომ ლევანი იმ მცირერიცხოვან კინოპროდუსერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც პროდუსერობა კინოსადმი, და არა ფულისადმი დიდი სიყვარულის გამო გადაწყვიტეს. ის იყო რომანტიკოსი და სულით მხატვარი. ლევანის მსგავსი პროდუსერები ნელ-ნელა დინოზავრებივით ქრებიან; სამწუხაროდ, რჩებიან მხოლოდ „ნიანგები“, რომლებიც ხელმძღვანელობენ პრინციპით – „მოდი, ფული გავაკეთოთ, და თან კინოც გადავიღოთ“...

ლევანი არ მიეკუთვნებოდა უმრავლესობას და ამიტომ აკეთებდა საინტერესო კინოს ეკონომიკური კრიზისის, პოლიტიკური მიწისძვრებისა და ჰოლივუდური სუპერ-გმირების მონოპოლიის ეპოქაში. მან მარტივი გზა არ აირჩია... მალე, 2011 წლის მაისში, როცა სცენარი უკვე მზად იყო, ჩვენ მივხვდით, რომ ამ პროექტისათვის ჩემს მშობლიურ, სამწუხაროდ „კონსერვატიულ“ აზერბაიჯანში ფულს არ მოგვცემდნენ, მაშინაც კი, თუ ზურაბის ნაცვლად, ჩვენ ზოხრაბი გვეყოლებოდა. უსახლკარო გმირმა ვერ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება. ფატიმა დიდხანს იბრძოდა, მაგრამ...

შემდგომში ლევანი მარტო ცდილობდა ევროპაში მოეძებნა კო-პროდუსერები, სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა შვეიცარიელ პროდუსერებთან.

უნდა ვაღიარო, რომ ამ მომენტისთვის ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო ევროპაში ფინანსების მოპოვების მეთოდებთან დაკავშირებით. მაგრამ მე ლევანის პროფესიული ინტუიციისა და გამოცდილების მჯეროდა. სამწუხაროდ შვეიცარიელმა პროდუსერებმა ერთი წლის შემდეგ ვერ შეძლეს მოპოვებინათ ფული თავიანთ მდიდარ, მაგრამ „კონსერვატიულ“ შვეიცარიაში.

ეს ყველა ჩვენგანისთვის დიდი დარტყმა იყო.

2012 წლის აპრილში ლევანმა დამირეკა და შემომთავაზა, ეს ფილმი მცირე ბიუჯეტით გადამეღო. ამაში ლევანის დარწმუნებას მე ერთი წლის წინათ ვცდილობდი. მან მითხრა, რომ საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან შეეცდებოდა მცირეოდენი თანხის მოპოვებას. მეც მზად ვიყავი, ჰოლანდიელი თანაპროდუსერის სტატუსით, ჩემი საკუთარი ფული ჩამედო. გარდა ამისა, ჩემს გვერდით იყვნენ ის ადამიანები (ჩემი მეგობრები და კოლეგები), რომლებიც მზად იყვნენ, უფასოდ ან ძალიან მცირე ანაზღაურების საფასურად ჩემთან ემუშავათ; უფრო მეტიც, მე შევძელი პროექტით სერიოზული ჰოლანდიელი პროდუსერების დაინტერესება. მათ ძალიან უნდოდათ ლევანთან და ფატიმასთან შეხვედრა და მათთან თანამშრომლობის დეტალების განხილვა. ამ პროექტისთვის ისინი ჰოლანდიის კინოფონდიდან ფულის მოპოვებას გეგმავდნენ. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ვეღარ შედგა...

ვიგონებ ლევანს და ვთვლი, რომ მე გამიმართლა, მემუშავა უნიკალურ ადამიანთან, სამწუხაროდ – წარმავალი ეპოქის წარმომადგენელთან, რომლისთვისაც კინო იყო სიყვარული და ხელოვნება, და არა უბრალოდ ბიზნესი. მშვიდობით, ლევან!

მე პირობა დავდე, რომ ყველაფერს გავაკეთებ, გადავიღო ჩვენი ფილმი I Zurab, და მივუძღვნა ლევან კორინთელის ნათელ ხსოვნას. ■

პიოტრ მირონოვი და
ლევან კორინთელი

ფოტო: ელისო სულაკაური

გასეირნება როტერდამში

>> ლევან კოღუაშვილი

კარგი დღე იყო – წყნარი და ნისლიანი. ქუჩაში ისეთი ნისლი იყო, კინოს გადაღება რომ მოგინდება. როტერდამის კინოფესტივალი მთავრდებოდა. „ქუჩის დღეები" კონკურსში იყო და ამის გამო საკმაოდ დიდი დელეგაცია ჩავედით თბილისიდან. ერთი პირობა, იმასაც ამბობდნენ, – სააკაშვილიც შეიძლება ჩამოვიდეს; უყვარს ეგეთ კულტურულ ამბებზე ჩამოსვლაო. ამის ცოტა მეშინოდა; არა რაიმე პოლიტიკური მიზეზების გამო, უბრალოდ როტერდამის ან ნებისმიერი სხვა უფრო დიდი და მნიშვნელოვანი კინოფესტივალი იმხელა მოვლენა არ მგონია, რომ მას შენი ქვეყნის პრეზიდენტი უნდა დაესწროს. პროვინციალიზმი მგონია ასეთი რამეები, მაგრამ გადავრჩით. სააკაშვილი ფესტივალზე არ ჩამოსულა.

ფესტივალი უკვე მთავრდებოდა, შეიძლება ბოლო დღეც კი იყო. ყოველ შემთხვევაში, დახურვის ცერემონიალი უკვე გამართული იყო და ვიცოდით, რომ პრიზი არ მოგვცეს.

ვიყავით ფესტივალისგან ცოტათი დაღლილები, ცოტათი ნაბახუსევი, და ასეთ მდგომარეობაში სასეირნოდ წასვლა ნისლიანი ქალაქის ქუჩებში, საბოლოოდ კი ამ ქალაქის მუზეუმში სწორი გადაწყვეტილება იყო. თან კარგი მეგზური გვყავდა – გუგა კოტეტიშვილი, რომელმაც იცის და უყვარს როტერდამი, ბევრი მიზეზის გამო, და რომელმაც კიდევ უფრო კარგად იცის იქაური მუზეუმი. მოკლედ, საიმედო ხელში ვიყავით და გავემართეთ.

ხუთნი ვიყავით; გუგა, ლევან კორინთელი, არჩილ გელოვანი, მე და წინა დღით ჩემთან ჩამოსული ჩემი მეუღლე, რომელიც ამ ჩვენ გასეირნებას თავის ძველ ნიკონზე შავ-თეთრი ფირით აფიქსირებდა.

ნისლი ცოტა მისტიკურ განწყობას ქმნიდა, რასაც წინა დღეს დახურვაზე დალეული ალკოჰოლი ამძაფრებდა. ჩვენ მოშვებულები ვიყავით, უკვე დავიწყებული გვქონდა წყენა იმის გამო, რომ პრიზი ვერ ავიღეთ, ვიყავით შეგუებულები და მშვიდები, იმიტომ, რომ სანერვიულო მაინც აღარ გვქონდა. ყველაფერი უკვე გარკვეული იყო. სამაგიეროდ იყო დაღლილობა, კარგი უსაქმურობა და იმის განცდა, თითქოს ეს უსაქმურობის უფლება წინა თვეების დაძაბული მუშაობით მოვიპოვეთ. მართალია, პრიზი არ აგვიღია, მაგრამ როტერდამში ხომ მოვხვდით, ფილმი ხომ კარგად მიიღეს,

ხომ კარგი რეცენზიები დაიწერა „ვერაიტში" და „ჰოლივუდ რეპორტერში", როტერდამში მოხვედრით ქართული კინოს გამოცოცხლებაში ხომ შევიტანეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი? კი, შევიტანეთ. ესე იგი, ცოტა უსაქმურობის უფლებაც გვაქვს. ანუ ნისლიან ქალაქში ქართული მოშვებული „პახოდკით" სეირნობის, ანეკდოტების მოყოლის, სიცილის, შიგადაშიგ ლამაზი სახლებისა თუ ხიდებისთვის ყურადღების მიქცევის და საუბრის; საუბრის ისევ კინოზე, მომავალზე, უკვე მოფიქრებულზე, ან მოფიქრების პროცესში არსებულზე.

მე და ლევანი ცოტა მოშორებით მივდიოდით. თუმცა, მახსოვს, რომ არჩილ გელოვანიც იქვე ტრიალებდა და თავის რეპლიკებს გვაშველებდა.

კორო თავის ახალ სცენარს მიყვებოდა. ქართველი ბიჭის და მისი მეგობრის თავგადასავლები იყო უცხოეთში. ბიჭი, ცხადია, მიშა მესხი უნდა ყოფილიყო, თავგადასავლები კარგი, სასაცილო, სევდიანი, რეალისტური – კოროს სტილში. მიყვებოდა გატაცებით, სიცილით, ხელების ქნევით. ანთებული იყო, როგორც ყოველთვის, როდესაც თავის ახალ ფილმზე მუშაობდა.

ასეთი ანთებულები ფილმის გამო, როგორც წესი, მხოლოდ რეჟისორები არიან ხოლმე. ანთებული პროდუსერი მე მხოლოდ ერთი მინახავს – კორო. და ალბათ ეს იყო მისი ყველაზე დიდ ღირსება და მისი ფილმების წარმატების მთავარი მიზეზი.

მისთვის მისი ფილმი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ეს ფილმი რეჟისორებისთვის არის ხოლმე და ხშირად უფრო მეტადაც კი. განსაკუთრებით ეს ალბათ „ყარაბაღის" ტრილოგიაზე შეიძლება ითქვას. ამ ფილმზე კარგი რეჟისორები მუშაობდნენ, მაგრამ ჩემთვის ეს პირველ რიგში კოროს ფილმებია, პროდუსერის. მიტომ, ყველაზე მეტად კოროს ჰგავს – მის ხასიათს, ტემპერამენტს, ენერგეტიკას, მსოფლმხედველობას, იუმორს. ეს პროდუსერის კინოა პირველ რიგში და ამით არის იგი გამორჩეული ქართული კინოს ისტორიაში. კორომდე კინო რეჟისორის იყო. კორო რეჟისორი არ იყო, მაგრამ მაინც თავისი კინო გააკეთა – პირადული, ისეთი როგორიც მას მოსწონდა, სჯეროდა და ეგონა, რომ მაყურებელსაც მოეწონებოდა.

ეს ფილმები შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ შეუძლებელია იმის იგნორირება, რომ მათ ქართული კინოს გამოცოცხლებაში ძალიან დიდი როლი ითამაშეს. ეტყობა, კომაში მყოფი ქართული კინოწარმოების გამოსაღვიძებლად ინტელიგენტური „არტჰაუსური" შეძახილი საკმარისი არ იყო. ამას ხულიგანი კორო და მისი ღრიალი უნდოდა, და ასეც მოხდა.

„ყარაბაღმა" ქართველი მაყურებელი დარბაზში დააბრუნა და გვიჩვენა, რომ ქართველ მაყურებელს ქართული კინოს ნახვა უნდა. ეს არ არის პატარა საქმე. „ყარაბაღის" მერე კინოწარმოებამ სიცოხლის ნიშან-წყალი გამოავლინა, ფეხზე წამოდგა და მსუბუქ სეირნობასაც მიჰყო ხელი. უფრო სწორედ გასეირნებებს. ყარაბაღში, ნისლიან როტერდამში და ასე შემდეგ. იმედია, მომავალში გასეირნებები ძუნძულსა და სირბილშიც გადაიზრდება. ჩვენ კი, უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებულებს, იმ კაცის სახელი არ დაგვავიწყდება, რომელმაც ყველაზე კრიტიკულ დროს თავისი ღირსეული და ალალი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. მადლობა, კორო! ■

აგვისტო 2011

ავტორები: ნუცა კუხიანიძე, გუკა რჩეულიშვილი

თბილისი, ცხელა
ინტ: ნუცას და გუკას სახლი. დღე
ნუცა – გამხდარი, ტახტზე ზის, სიგარეტს ეწევა.
გუკა – 30 წლის, დადის აქეთ–იქით, ყავის სმას ეჩვევა.
ზარი.

კორო
(შემოდის როგორც ქარიშხალი, სიგარეტს იღებს მაგიდიდან).

კორო
აუ ძაან მაგარი იდეა მაქ! პრივეტ, ნუც!

გუკა (იღიმის)
ახალი სქემა?

ნუცა
პრივეტ!

კორო
არა ტოო, ფილმის იდეა, კომერციულის რა!
ნუცა დგება

ნუცა
ვიცი მე თქვენი ფულის პონტში იდეები!

გუკა
დაიცა, მოყვეს...
ნუცა ჯდება.

კორო
ბავშვებზე, 13–14 წლის, გუნა, შენ ხო იცი, ყველაზე ძაან მაგ ასაკი დადის კინოში...

გუკა
ნუც, შენ არ გინდოდა ნაპადობიე ფილმის გაკეთება?

ნუცა
ხოო მაგრამ, ეხლა მგონია რო ექსპერიმენტების დრო არ არის რა?!

კორო
ეე, კაი რა, ვგრძნობ, რო ეხლა იმენნა ეს არის რა საჭირო, თემაა!

გუკა
მაგარი თემაა შეჩემა, უეჭველი გაარტყავს რა, თან არ გაკეთებულა ბავშვებზე კინო, და ივლის ხალხი.
ნუცა ჩუმად არის, გუკა გაკერილია.

კორო
ბიჭო, კიდე ვიფიქრე თბილისსზე რა, რამე კინო ნოველებათ; აი, ის რო არის პარიზზე და ნიუ იორკზეც არის, რა ქვია მაგ კინოს?

ნუცა
არის, I love you

კორო
ხო ეგა, ეგეც მაგარი იქნება რა, დაჟე ძაან მაგარი ნოველა მაქვს 90იან წლებში! ჩემიანს დაემართა ნაღდი ისტორიაა ყაჩაღობდნენ, და მაგრად დაიწვა თავი...
კორო აჟიტირებით ყვება ამ ისტორიას, იცინის...

კორო
მოგიყვები, მაგარი გადასაღებია!

გუკა
მაგარია ძაან ეგეც; თან რამდენი ისტორიაა ეგეთი, თბილისზე! იტოგში რამე გვინდა რა...

კორო
ხო რა, შეჩემა, რამე გვინდა რა, კინოს გადაღება მინდა! თან მაგრა უფულოდ ვარ, რამეს გავჭრით რა!

ნუცა
ხო მაგრამ, პროსტა ფულის პონტში არა, თითონ ფილმი უნდა იყოს კაი! თორე ისე, რა აზრი აქვს.

გუკა
ხო იასნია, ძაან მაგარი უნდა იყოს.

ნუცა
ხოდა, ყარაბაღი რო გავაკეთოთ? მესამე?

კორო სიგარეტს ნაფაზს დაარტყამს, ჩაფიქრდება. გუკა ისევ ეგრევე იკერება

ილუსტრაცია: მეგი კოტეტიშვილი

გუკა
სალოლ, ნუუნ, ჩაარტყი!

გუკა ნუცას ხელს გაუწვდის, ნუცა ჩაარტყამს.

კორო
კარაბახი? ისე, მამენტ შეიძლება...

ნუცა
მე მგონი, ძაან მაგარი იდეაა...

გუკა
ხო მაგრამ, ისევ 90–იან წლებზე და სიბნელეზე
არ მინდა ფილმის გაკეთება

ნუცა
შეიძლება რამენაირად ისე გავაკეთოთ, რო დღეს
ხდებოდეს

კორო
ისე შეიძლება, მესხს იჭერდნენ, და ციხიდან
ეხლა გამოდიოდეს, დღეს, 20 წლის შემდეგ...

ნუცა
აუ, ზეზერი მესხი!
ნუცა იცინის

გუკა
კაკ რაზ თემაა რა, 17 წელი გადის, ყველაფერი
შეცვლილია, და ეს რო ვერ ეგუება...

(ნუცას)
თან, შენ ხო მაშინ ორსულად ხარ?
კორო თავის ფიქრებშია...

კორო
სპარტაკას აბაროტს იღებენ, და იქ იჭერენ
მესხს...

გუკა
კაია! ესე დავიწყოთ, მესხი და დობო აბაროტს
იღებენ და დობო დავბრიდოთ... თან თავი რო
ტკივა, დიდ როლს ვერ ითამაშებს...

ნუცა
გიოს კლავთ, ბოროტებო? (იცინის) ისე მე
ორსულად რო ვიყავი, ეხლა უკვე შვილი უნდა
მყავდეს, დიდი. დიდი რა, 16–17 წლის...

(კოროს)
ეგეც შენი ბავშვების კინოოო!
კორო ეღიმება

კორო
დაიცა, დაიცა, ეს იგი, მესხი რო გამოდის, მაგ
ბავშვის და მესხის ურთიერთობაზე უნდა ავაგოთ
ფიბულა...

ნუცა
ბიჭია ხო, ალბათ?

გუკა
ხო იასნია, რო ბიჭია! და გოგო გვჭირდება ეხლა;
მაგათი ხაზი შეიძლება მაგათი სიყვარული
იყოს...
კორო დადის აქეთ–იქით

კორო
აუ, მაგარი იდეები მაქ, ცოტა რომეო და
ჯულიეტას პონტში...
ნუცა გახარებული, სიგარეტს აქრობს და თავის
კომპიუტერს ხსნის...

ნუცა
მოიცა უნდა ჩავიწერო, თორე დაგვავიწყდება.

გუკა
აბაროტი, მერე ციხე, 17 წელი გადის, მესხი
გამოდის, დობოს და ნუცას შვილი გაზრდილი
ხვდება, იწყებენ პადძელნიკობას, თაობებში
განსხვავებები, სხვადასხვა ფასეულობები, გოგო,
სიყვარული, მაგარია! ეხლა რამე მაგარი ფინალი
გვინდა რა?!
კორო ჩაფიქრებული იღიმის.

კორო
ფინალი კაკ რაზ ზუსტათ ვიცი!

მარტი 2012
თბილისი, ცივა.
ექსტ.: კინოთეატრი "ამირანი". "ბოლო
გასეირნების" პრემიერა. ღამე.

ძარცვა თბილისურად

/ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი /

ლევან კორინთელი
ირაკლი სოლომანაშვილი

სცენა N1 დილა. ინტ. გურის სახლის სადარბაზო

სპორტულად ჩაცმული გური (18 წლის) შინიდან გამოდის და კარს რაზავს, მხარზე სპორტული ჩანთა აქვს მოკიდებული; სადარბაზოს დაძაბული მზერით მოათვალიერებს და ლიფტისკენ გაემართება; ლიფტის ღილაკს თითს მიაჭერს, მაგრამ ღილაკი არ ინთება; ლიფტს მიაყურადებს, ხვდება, რომ არ მუშაობს.

გური (თავისთვის ჩაილაპარაკებს)

ფუ, შენი!..

ლიფტის კარზე წიხლის მირტყმა უნდა, მაგრამ მოქნეულ ფეხს ჰაერში გააშეშებს და ისევ დაძაბული მოათვალიერებს სადარბაზოს, „კაპიუშონს“ წამოიფარებს, სადარბაზოს კიბეზე დაეშვება. გურის ერთი სართულით ქვემოთ მეზობლის კარისკენ თვალი გაექცევა, კარის ზღურბლთან ფეხსაწმენდზე წარწერაა Welcome. გური მაჯის საათს დახედავს.

სცენა N2 დილა. „მინი ვენის“ სალონი

ქუჩაზე გაჩერებულ „მინი ვენში“ სამნი სხედან: ზურა (17 წლის), ლევანი (18 წლის) და ტატო (17 წლის). სამივეს თავზე ჩამოცმული აქვს შალის შავი ქუდებისგან დამზადებული ნიღბები, მათ სახეები არ მოუჩანთ. ტატოს ნიღბის ზემოდან სქელლინზებიანი სათვალე უკეთია. ზურა მაჯის საათზე იხედება.

ტატო

ზურ, რომელი საათია?

ზურა

სახელს ნუ მეძახი და ეგ სათვალე შიგნიდან გაიკეთე, შეჩემა!

ტატო სათვალეს იხსნის. ლევანი იარაღს გადატენის. იარაღის ჩხაკუნზე ტატო და ზურა ლევანს გახედავენ.

ზურა (აგრესიული ტონით)

რას შვრები, ბიჭო?

ლევანი (თავის მართლებით)

ვემზადები...

ლევანი იარაღს ქამარში ინახავს.

სცენა N3 დილა. ინტ. გურის სახლის სადარბაზო

გური სადარბაზოს პირველ სართულზე ჩამოდის და კორპუსის ცენტრალური გასასვლელისკენ მიდის. გასასვლელთან მეეზოვეების მანქანას შენიშნავს. გური ცენტრალური გასასვლელიდან ქუჩაში გასვლას გადაიფიქრებს და კორპუსის უკანა გასასვლელიდან გადის.

სცენა N4 დილა. ექსტ.-ნატ. სადარბაზოს უკანა ეზო – ქუჩა.

სადარბაზოს უკანა კარიდან გამოსული გური წამით გახედავს ეზოში მდგარ ვერცხლისფერ მანქანას „- - -„ და სწრაფი ნაბიჯით მიუყვება ქუჩას.

სცენა N5 დილა. „მინი ვენის“ სალონი.

ქუჩაზე გაჩერებულ „მინი ვენში“ ისევ სამნი სხედან – ზურა, ლევანი და ტატო, რომელსაც სათვალე უკვე ნიღბის ქვეშ გაუკეთებია. ლევანი მანქანის წინა საქარე მინიდან ქუჩაზე მომავალ გურის შენიშნავს.

ლევანი

გამოჩნდა!

სამივე გურისკენ იხედება.

სცენა N6. დილა. „მინი ვენის“ სალონი

გაჩერებულ „მინი ვენის“ სალონში სამ ნიღბიანთან ერთად გურიც ზის. გურის ფეხებთან გახსნილი სპორტული ჩანთა უდევს, ჩანთაში სკოჩის რამდენიმე გორგალი გდია. გური მანქანაში მყოფებს სათითაო გორგალს ურიგებს.

ტატო (ზურას სკოჩზე)

ზუ... ნიკა, ეს რათ გვინდა?

გური

ნიკა?!.

ზურა
ეგრეა საჭირო, იქ ვინმეს ნაღდი სახელები რო არ წამოცდეს.

ტატო (გურის სიცილით)
ამას ნიკა ქვია, ამას სოსო, მე გეგა, შენ ლევანას დაგიძახებთ.

ლევანი
რა ლევანა, ბიჭო, ლევანა ხო ნაღდში მე მქვია! (გურიზე) და გური ვაბშე მანქანაში რჩება!..

გური
რაა?!.

ზურა (გურის)
ჰო, რა?.. მეზობელია, უეჭველი გიცნობს.
გური ჩანთიდან ნიღაბს იღებს და თავზე ჩამოიცმევს.

გური
აჰა, როგორ მიცნობს?

ზურა
როგორ და ხმაზე, სიმაღლეზე, მოძრაობაზე... მერე რა, რო ეგ გახურავს, ზორო ხო არ გგონია თავი?

ტატო (სიცილით)
ხო ე, ზორო რა კაცია... მე ვცნობ და შეყვარებული როგორ ვერ ცნობს, ტო...

გური (გამწარებული იხსნის ნიღაბს)
მოკლეედ, სუ ფეხებზე მკიდია, ზურა ხარ თუ ნიკუშა; ან ოთხივენი მივდივართ, ან არც ერთი!..

ლევანი
მართლა რო გიცნოს, უეჭველი დააჭერინებს ჩვენ თავს.

გური
ჯერესერთი, ვერ მიცნობს, და მეორეც, ვის უნდა დააჭერინოს; მაგათ ეხლა ისე მოუჭირეს, უმცირესობაში არიან და კურდღლებივით ჩასვრილები ზიან.

ტატო
პიდარასტია, ტო?

ლევანი
ღადაობ?რა პიდარასტი, მთელი მსოფლიო მაგათ იცავს, მაგათ რო შეეხო, ეგრევე მეჟდუნაროდნი სკანდალი ატყდება, და პრაშჩაი ევროსაიუზი.

ზურა (გურის)
გური, მე მაინც არ გირჩევ რა... კიდევ ერთხელ დაფიქრდი, რატო გავრისკოთ, რაში გჭირდება?

გური
რაში მჭირდება, ეგ ჩემი საქმეა! და შენ რაში გჭირდება უჩემოდ ასვლა?..იმიტო, რო წამალს არ წამოგაღებინებ, არა?
წამით ყველა ჩუმდება და ზურას პასუხის მოლოდინში მიაჩერდებიან. ზურამ ერთხანს არ იცის, რა უპასუხოს, დაბნეული აცეცებს თვალებს; ბოლოს ხმას ამოიღებს.

ზურა
არ გვაგვიანდება? წავედით...
გური მაჯის საათზე დაიხედავს.

გური
არა, ჯერ ადრეა, ზუსტად ცხრას რო შვიდი წუთი აკლია, მაშინ ქოქავს მანქანას და სახლიდან გამოდის.

ლევანი
მაინცდამაინც შვიდი, რატო?

გური
რავი, რატო? ნახევარი წელია, ვუთვალთვალებ და ორშაბათიდან პარასკევამდე ეგრეა.

ტატო
შაბათ-კვირას?

ილუსტრაცია: სალომე სხირტლაძე

ლევანი
შაბათ-კვირას „უიკენდია“, სამსახურები დაკეტილია, ბიჭო.

გური
ჰო, ეგრეა – ხუთი დღე პატიოსანი კაცივით დიპლომატიურ სამსახურში დადის და შაბათ-კვირას წამალს უშვებს, „უიკენდის“ ბარიგაა ეგ სარეველა.

ტატო
რა სარეველა?.. აბა ბარიგააო?..

ზურა
აუ, ტატო, ჩუმად რა!..

ტატო
რა ტატო, მე ხო სოსო მქვია.

ლევანი (გურის)
დღეს ხო პარასკევია?

გური
მერე?..

ლევანი
მერე, არ ჯობია ორშაბათს დავადგეთ? თუ შაბათ-კვირას წამალს უშვებს, ესე იგი, ფული ორშაბათს ექნება.

ტატო
ჰო, ეე... მართალია, როგორ მოტვინა არა?..

ზურა
რა მოტვინა, ბიჭო?... შაბათ-კვირას კიდევ რამდენს გაყიდის და რამდენ კაცს გააუბედურებს, (გურის გახედავს) ეგრე არ არი? (დამაჯერებლობისთვის დაამატებს) ეგ სარეველა, ეგა...
გური ერთხანს თვალს უშტერებს ზურას, მერე თავს გააქნევს.

გური (ზურას ჩაცინებით)
ო, შე წუწკო შენა!.. ფულის გარდა, სხვა რამეს არ წამოგაღებინებ, იცოდე!

ზურა
ეგ რა შუაშია?.. პროსტა, საქმეზე რო მიდიან და გეგმას რო ცვლიან, შანსი არ არი, ის საქმე გამოვიდეს.

ტატო
იმ ფილმს რა ქვია? ის რო თამაშობს რა...

გური (ტატოს სიტყვას აწყვეტინებს)
გინდ ორშაბათი იყოს და გინდ პარასკევი, მაგას ფული არ გამოელევა. თან ფულს წამოვიღებთ და თან წამალს იმის თვალწინ გავანადგურებთ.
(ჯიბიდან დაკეცილ ქაღალდს იღებს)
ყველაფერი მოფიქრებულია. აი, „პლანი“ აქ არი?

ტატო
პლანი?! უნდა მოვწიოთ, ტო?

ლევანი
აუ, შენ ჩუმათ რა, სოსო!
გური ჯიბიდან ამოღებულ ქაღალდს გაშლის. ქაღალდზე სადარბაზოს კიბის უჯრედის ნახაზია.

გური (ნახაზზე აღნიშნულ ნახატზე მიუთითებს)
ეს არი გეგმა.
(სათითაოდ მიმართავს მეგობრებს)
მანქანას პულტით რო დაქოქავს სადარბაზოში შევდივართ, ერთი წუთი გვაქ დრო, (ლევანს) შენ აქ დადგები, (ტატოს) შენ ლიფტის კართან აიტუზები.

ლევანი
და ლიფტში რო შემოვა, ჭაახ და, – შე ბოზო, სად მიდიხარ, არა?..

გური
არა, რა ჭაახ... ლიფტის ვარიანტში ცალკე გეგმა მქონდა. (ჯიბიდან მეორე გაკეცილ ქაღალდს იღებს). მარა ეს ჯობია, თანაც ლიფტი ვნახე და არ მუშაობს.
ტატო გურის მეორე ქაღალდს ართმევს ხელიდან და ქაღალდზე გაკეთებულ წარწერას დამარცვლით კითხულობს.

ტატო (კითხულობს)
„ლიფტის – გეგმა N1“

გური (ტატოს)
გაანებე მაგ ქაღალდს თავი და მისმინეთ...
ტატო ქაღალდს რომელზეც ლიფტის გეგმა წერია, ჯიბეში იტენის.

გური (განაგრძობს)
შენ იმის სახლის კარის უკან იქნები.

ზურა
რო დამინახოს? ბარიგები, ხო იცი, რა ფრთხილი ნაროდია, კარის გაღებამდე „გლაზოკში“ რო გაითიროს?!

გური
ნაფიქრია. მაგ „გლაზოკის“ ლინზის კუთხე გამოვითვალე, და თუ ბოლომდე მიხვალ კედელთან და ოდნავ ჩაიკუზები, ჩემ ფეხებს დაგინახავს.

ტატო
უფრო მაგარს გეტყვი – სადარბაზოში „ლამფუჩკა“ მოვხსნათ და ვაბშე ვერავის დაგვინახავს.

ლევანი (ტატოს)
რა „ლამფუჩკა“, შე ჩემა, გაიხედე, დღეა.

გური (ტატოს)
ნუ მაწყვეტინებ! მოკლედ, მე ვდგები კიბესთან ორი საფეხურით ქვემოთ. კარს რო გააღებს, ფეხს ჩაუდგამ, დახურვა რო ვერ მოასწროს; მე ეგრევე ცხვირში ვგლიჯავ და ყველანი შევდივართ. თქვენ ორს უკვე ხელში გიჭირავთ სკოჩები და დავაი, ეგრევე ტუალეტში გათრევა და გასკოჩვა. ოღონდ თვალებს არ აუხვევთ, საკუთარი თვალით უნდა ნახოს, (ზურას) შენ რო წამალს ჩაუშვებ უნიტაზში.

ზურა
მე რატო?

ლევანი (ჩაიცინებს)
ეგეც მოფიქრებულია, თერაპიას გიტარებს.
ტატო ქამრიდან იარაღს ამოაძვრენს.

ტატო
მაშ, ეს რაში გვჭირდება?

გური
ეგ რათ გინდა, ბიჭო? იქ სროლის შანსი არ არი! ყველაფერი სუფთათ და უსისხლოთ!

ზურა (გურის)
რამე, „ნიტო“ რო მოხდეს, ან ვიღაცა იყოს სახლში... იარაღი დაგვჭირდება, არ ვისვრით და არაფერი, მარა ფსიქოლოგიურად

საჭიროა. რო დაინახავს, ბევრს აღარ იფართხალებს.
ზურაც და ლევანიც ქამრიდან იარაღებს იღებენ.

გური
თქვენ ხო არ გაგიჟდით?..იქ იარაღი არ დავინახო!

ზურა
მე იარაღის გარეშე არ წამოვალ.

ლევანი
არც მე.

ტატო
მეც არა!

გური (ზურას)
მაშინ, მე ვაბშე არ წამოვალ.

ზურა
ხოდა, თავიდანვე მაგას არ ვამბობდი, დარჩი მანქანაში და ჩვენ გავაკეთებთ!

ლევანი
ამას ყველაფერი ნაფიქრი აქ. თუ გური არ წამოვა, მეც მანქანაში დავრჩები.

ტატო
ჰო, ნაფიქრი აქ.

ზურა
რა აქ, ბიჭო, ნაფიქრი, ვერ ხედავ ამ ქაღალდზე ჩვენი სახელები უწერია.
ყველა ქაღალდზე დახატულ გეგმას დახედავს. იქ აღნიშნულ წერტილებზე მეგობრების სახელებია მიწერილი: ზურა, ტატო, ლევანი, გური.

გური (დაბნეული)
ამ ქაღალდს გავანადგურებ...
გური ქაღალდს ხევს.

ზურა (ირონიულად)
წამალთან ერთად უნიტაზში, არა?.. (გურის) ეგ რა გეგმაა? ბარემ მაგ ქაღალდზე ზემოდან დაგეწერა – „ახსნა-განმარტება“, და პირდაპირ პოლიციაში ჩაგებარებინა! შანსი არ არი, შენ აქ რჩები და მორჩა!

გური (მწარდება)
რა მორჩა, ეე?!. მე თუ არ წამოვალ, არც თქვენ გაგიშვებთ!
ზურა ჩანთაზე დაგდებულ გურის ნიღაბს ხელს დაავლებს.

ზურა
ამ მასკას არ მოგცემ და ვნახოთ, როგორ არ გაგვიშვებ!
სამივეს გაგვსკოჩავ?

გური
არ მომცემ და ფეხებზე მკიდია, უნიღბოდ წამოვალ!

ლევანი
ღადაობ?..

გური
და ვაბშე არ გეტყვით, რომელია მაგისი ბინა, და ეგრე! მერე ვნახავ, როგორ ჩაიტან ვალს!

ტატო
8 წუთი აკლია, ტო!
ყველა საათს დახედავს და მერე გურის გახედავენ.

გური
რომელი სართულია, არ გეტყვით.
ზურა ნიღაბს უბრუნებს გურის. გური დემონსტრაციულად ჩამოიცვამს ნიღაბს.

ზურა (გაღიზიანებული)
კმაყოფილი ხარ?..

გური
ბიჭო, აქამდე ნიღბებში რატო იყავით, არ გცხელათ?

ტატო (ზურაზე)
რავი, ამან გვითხრა, ეგრეაო საჭირო...
გარედან გაისმება „ბარიგას“ მანქანის დაქოქვის ხმა.

გური
წავედით!
გური „მინი ვენის“ კარს აღებს და ოთხივენი სწრაფად გადადიან მანქანიდან, ტატოს ჯიბიდან უვარდება გაკეცილი ფურცელი, რომელზეც წარწერაა: „ლიფტი – გეგმა N1“

სცენა N7 დილა. ინტ. გურის სახლის სადარბაზო.
ოთხივე ნიღბიანი სადარბაზოში შერბის, მეგობრებს წინ მიუძღვის გური. სადარბაზოში შესულებს ლიფტის კართან ხანშიშესული ქალი – ნათელა დეიდა ხვდებათ, რომელსაც მძიმე ჩანთა უჭირავს და ლიფტის ღილაკს აწვალებს. გური ნათელა დეიდასთან ჩერდება და მექანიკურად ჩამოართმევს მძიმე ჩანთას ხნიერ მეზობელს.

გური
ლიფტი არ მუშაობს ნათელა დეიდა, მოგეხმარებით.
გური უცბად ხვდება, რაც ჩაიდინა, და ადგილზე შეშდება; ცივად გამოხედავს. კიბეზე გაქვავებულ მეგობრებს.

ნათელა დეიდა (ისე, რომ სახეზე არც უყურებს გურის)
გური, შვილო, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა.

ტატო
მაგას გური არ ქვია...
გური მეგობრებს გამოხედავს. ლევანი და ზურა ნიღბებს იხსნიან და ტატოს გამოხედავენ. ზურა ტატოსაც მოხსნის ნიღაბს. ზედა სართულზე კარის გაღებისა და ჩარაზვის ხმა ისმის. უნიღბო მეგობრები გურის გახედავენ.

ზურა
(ირონიული სახით გურის)
ნიღაბი მოიხსენი, არ გიცნობს...
გური ნიღბისკენ წაიღებს ხელს.

დასასრული



ახალი ფილმის მოლოდინში...

გელა ბაბლუანი

>> ნუცი კირცხალია

შესავლისთვის მოვიყვან რამდენიმე ციტატას იმ გამოცემებიდან, რომელთა ერთ-ერთი ეგზემპლარი, შინ თუ არ გვაქვს, აუცილებლად სადმე გვინახავს ან წაგვიკითხავს. „კინოს სრულიად დამაინტრიგებელი ნამუშევარი";

„უაღრესად ამაღელვებელი, მოკრძალებული, გაბედული, ძლიერი, საოცრად თავდაჯერებული";

„ისეთივე ელეგანტური და ავბედითი, როგორც რომან პოლანსკის ან ალფრედ ჰიჩკოკის მიერ შექმნილი ფილმები" ;

„ტელეგრაფი", „გარდიანი", „თაიმსი"...

...როდესაც გელა ბაბლუანის ფილმებს უყურებ – „ბეწვის ხიდზე", „მემკვიდრეობა", „13" – ეს შეფასებები არ არის უპირველესი, და არც გადამწყვეტი. თუმცა, ეს არის ჭეშმარიტად განსაკუთრებული, სრულიად მოულოდნელი, ასევე მისაღები, როგორც ჩემი დროის კლასიკა.

fp გასაგებია, რომ რეჟისორის ოჯახში გაიზარდეთ, მაგრამ მაინც გკითხავთ: რატომ აირჩიეთ რეჟისორის პროფესია, თქვენ ხომ იურისტობას აპირებდით?

არც მამაჩემს და არც ჩემი ოჯახის დანარჩენ წევრებს არ ჰქონიათ დიდი სურვილი,- რომ კინოსფეროში დავსაქმებულიყავი. ვწერდი, და მწერლობა მინდოდა, თუმც ამ ორი პროფესიის – მწერლობისა და რეჟისორობის შეთავსება შესაძლებელია. ჯერ თბილისში, მერე კი საფრანგეთში ვსწავლობდი იურისპრუდენციას. ამისდა მიუხედავად, ყველაფერი ძალიან ბუნებრივად მოხდა.

fp მაგრამ, ალბათ ძნელი იქნებოდა სწავლის მიტოვება?

რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ადრე თავს ვიტყუებდი და მეგონა, როცა მომინდებოდა, ხელახლა მივუბრუნდებოდი სწავლას. მაგრამ, ეს პროფესია არ მიზიდავდა და გული ხელოვნებისკენ მიმიწევდა. მერე ისე მოხდა, რომ მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადავიღე და, წავიდა და წავიდა.....

მამაჩემთან, თემურ ბაბლუანთან, ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა მქონდა.მამაც არ დამიძახია არასდროს.ბავშვობიდან დავყვებოდი გადაღებებზე. თუმცა, გადასაღებ მოედანზე ყოფნა ჭირივით მეზარებოდა. იქ მუდამ დაძაბულობაა და ბავშვისთვის ეს რთული აღსაქმელი იყო. ასევე, მიხდებოდა ყოფნა სამონტაჟოში, და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიმიქცევია, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ტვინში ილექებოდა.ნამდვილად ვერ ვიტყვი,რომ მამაჩემის ფილმები ნანახი არ მაქვს. პირიქით, ძალიან მიყვარს ეს ფილმები და ხშირადაც ვუყურებ.

fp თქვენი ოჯახური ურთიერთობა თითქმის ყველა თქვენს ფილმში ჩანს. სხვა თუ არაფერი, ერთმანეთის ფილმებში თამაშობთ. რა ხდება ამ დროს გადასაღებ მოედანზე – უფრო დაცულად გრძნობთ თავს, როცა პარტნიორი თქვენივე ოჯახის წევრია?

ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს,ჩემს და –ძმებთან. ყოველ შემთხვევაში,მათი აზრი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. იმაში, რასაც ვაკეთებ და უკეთ გამომდის, ამასაც მათთან ერთად გავდივარ. გადაღება რთული და სანერვიულო პროცესია. ის ხალხი,რომლებიც თან ნიჭიერები არიან და თან ჩემი ოჯახის წევრები,მათი თავმოყრა ასეთ გარემოში, ვგულისხმობ გადასაღებ მოედანს, უფრო კარგ სამუშაო პირობებს მიქმნის.

fp ცნობილია, რომ სანამ დამოუკიდებელი ხელწერის რეჟისორად ჩამოყალიბდები, სხვების ფილმები გავლენას ახდენენ.... ?

საერთოდაც მგონია, რომ ფილმის გადაღებას უფრო სხვა რეჟისორების ნამუშევრების გაცნობისას სწავლობ. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ დამწყებმა რეჟისორმა რაც შეიძლება ბევრი ფილმი ნახოს – განურჩევლად იმისა, კარგი იქნება ეს ფილმები, თუ ცუდი. ერთ რომელიმე რეჟისორს, რომელმაც გავლენა მიოახდინა ჩემზე, ვერ გამოვყოფ. კინოს გადაღებას სწავლობენ ან 20დღეში,ან 300 წელიწადში – ანუ ვერასდროს.

fp ცამეტამდე"როგორ მიხვედით – როგორ გაჩნდა სცენარი? ეს ინსპირაცია იყო, თუ საფუძვლად პირადი გამოცდილება დაედო?

დიახ, ჯერ მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადავიღე „ბეწვის ხიდზე",შემდეგ საფრანგეთში რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროდუსერი ვიყავი, და უკვე ამის შემდეგ გადავიღე"13".

ჩემთვის მთავარია ამბის მოყოლა, და უკვე ამის შემდეგ ვეძებ ინტელექტუალურ ახსნას. ბუნებრივია, წარსულზე ლაპარაკი ახლა უფრო ადვილია, მაგრამ ფილმში ყველაზე მეტად ადამიანებს შორის ურთიერთობა და ადამიანების ბედი მაინტერესებს.

fp ფილმში მთავარი გმირი (სებასტიანი) იღუპება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ფინალი ისე გადაგეღოთ, რომ მაყურებლისთვის ამოუხსნელი დარჩენილიყო, გადარჩება თუ არა სებასტიანი?

ცხოვრებაშიც ხომ ასეა: ხდება ისეთი რამ, რასაც ვერ აკონტროლებ. ეს უფრო ბედისწერაა, გნებავთ – იღბალი. შეიძლება ათჯერ გაგიმართლოს, მაგრამ მეთერთმეტეჯერ – არა. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი აქილევსის ქუსლი.

სებასტიანსაც, რომელიც თავისიანებისთვის რისკავდა, ჯერ უმართლებდა, მაგრამ ბოლოს ბედმა მიატოვა, უმტყუნა.

fp ამ ფილმს იმთავითვე მოჰყვა წარმატება. ფილმი ვენეციისა და სანდესის ფესტივალებზე უჩვენეს, რიმეიქის იდეაც გაჩნდა... ...

ფილმს, რა თქმა უნდა, იმიტომ არ იღებ,რომ პრიზები აიღო. ამაზე ფიქრი სისულელეა, მაგრამ ესაა საშუალება, რომ მომდევნო ფილმი გადაიღო. ისე, მეეჭვება, რომ რეჟისორი ან წარმატებისთვის იყოს მზად, ან წარუმატებლობისთვის. ის, უბრალოდ, თემიდან გამომდინარე, იღებს ფილმს და გზადაგზა ბევრს ცვლის. თუ საავტორო კინოზე ვლაპარაკობთ, ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან გადაღების პროცესში ყველაფერი უფრო და უფრო რთულდება.

fp ევროპის შემდეგ რამდენად საინტერესო იყო ჰოლივუდში მუშაობა? ჰოლივუდური ინდუსტრია აბსოლუტურად განსხვავდება დამოუკიდებელი,ევროპული წარმოებისგან.

ძალიან რთულ პირობებში მიხდებოდა მუშაობა, მიუხედავად იმისა,რომ ბიუჯეტი 15-ჯერ იმაზე მეტი იყო,რაც პირველ ფილმზე დაიხარჯა. როცა არის ფული,არ არის დრო; ხოლო როცა არ არის ფული, არის დრო. ამერიკული სტანდარტებით მუშაობა ძალიან გამიჭირდა; თითქმის არანაირი კავშირი არ არის იმასთან, თუ როგორ კეთდება ფილმი ევროპაში. შეხლა-შემოხლა, ადვოკატები – ეს ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია.

fp წარმატების მიუხედავად, არის ჰოლივუდი ის ადგილი, სადაც ისევ მოინდომებდი ფილმის გადაღებას,თუ მაინც ნაკლები ფულით და მეტი დროით ისურვებდი მუშაობას?

ნებისმერ შემთხვევაში,ძალიან საინტერესო ქვეყანაა.თავიდან, შესაძლოა, არ მოგეწონოს, მაგრამ როცა ამ წინააღმდეგობას დაძლევ და, უკვე იცი, კონკრეტულად რისი გაკეთება გინდა, აქ ფილმის გადაღება მიმზიდველია. სიმართლე გითხრათ, ჯერ არც კი ვიცი, აქ დავრჩები, თუ ევროპაში დავბრუნდები. ეს ყველაფერი კონკრეტულ პროექტებზეა დამოკიდებული. მე საქმიდან გამომდინარე ვუდგები ამ ყველაფერს.

fp ამასობაში „მემკვიდრეობის“ გადაღებისას საქართველოში მოგიწიათ მუშაობა, და გარკვეული გამოცდილება აქაც შეიძინეთ. სამომავლოდ თუ გეგმავთ საქართველოში მუშაობას?

ხულიო ეგლესიასი ხომ იცით? – მომღერალი, ადრე რომ ფეხბურთელი იყო (ისე, ეს მომღერალი მაინცდამაინც არ მიყვარს); ერთი კარგი ნათქვამი აქვს: მთელ ჩემს სიმღერებს და ალბომებს ჩემი ერთი გატანილი გოლი მირჩევნიაო. მეც ასეთი დამოკიდებულება მაქვს ჩემი ქვეყნის მიმართ – საქართველოში მუშაობა ყველა-

ფერს მირჩევნია. არ აქვს მნიშვნელობა,რა სირთულეებთანაა ეს დაკავშირებული და რა მდგომარეობაშია დღეს კინოინდუსტრია ჩვენთან.

რაც შეეხება „მემკვიდრეობას“, ეს მამაჩემის პროექტიიყო, რომელიც ერთად განვახორციელეთ, და ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი სხვა პროექტებზეც საქართველოში.

fp ჟურნალ „ფილმპრინტის“ ეს ნომერი ეძღვნება ლევან კორინთელს... რამდენადაც ვიცი თქვენ შეხვდით და ერთობლივი გეგმები გქონდათ?

დიახ, შევხვდით და რაღაც გეგმებიც დავსახეთ, თუმცა ლაპარაკის იქით საქმე, სამწუხაროდ, აღარ წასულა... ჯერჯერობით ჩემს გეგმებზე იმის თქმა შემიძლია, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნება, მინდა, ამერიკაში გადავიღო ფილმი ჩემივე სცენარით.

fp ეს დამოუკიდებელი ფილმი იქნება, თუ ჰოლივუდის პროდუქცია?

ჰოლივუდის; თუმცა, გარკვეულწილად, ამერიკულ–ევროპული პროექტია, რადგან ევროპელი პარტნიორებიც მონაწილეობენ (ეს უფრო მონტაჟს ეხება). სხვათა შორის, „13“–ის შემთვევაშიც ასე იყო ჩაფიქრებული, მაგრამ წლები დასჭირდა, რომ როგორც იყო ჩაფიქრებული, ისე გადაგვეღო; და ბოლომდე მაინც ვერ განხორციელდა ჩვენი ჩანაფიქრი. აი, ამ არასასიამოვნო მომენტებს რომ მოვრიდებოდი, ამიტომ მყავს ევროპელი პარტნიორები. გადაღებით ამერიკაში გადავიღებთ, მაგრამ ევროპელებიც გააკონტროლებენ.

fp ამ გრაფიკიდან გამომდინარე, ალბათ იშვიათად გიწევთ საქართველოში ჩამოსვლა...

დიახ, კარგა ხანია,საქართველოში არ ვყოფილვარ. ძალიან მენატრება........!

fp ბოლოდროინდელ ქართულ ფილმებს თუ ნახულობთ?

შეძლებისდაგვარად. ბევრს ვერ ვახერხებ. ისე, ძალიან მაინტერესებს...

ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ, უბრალოდ ორგანიზების პრობლემა გვაქვს. ჩვენი ყველა ფილმი ფაქტობრივად კლასიკა იყო.

ჩემი აზრით, დღეს ქართულ კინოს სჭირდება კარგი სკოლა და კარგად გამართული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება,რომ საქართველოში შექმნილი ფილმი ქვეყნის გარეთაც გავიდეს. კინოსტრუქტურა რომ ჩამოყალიბდეს, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაცემული ფული არ კმარა. დარწმუნებული ვარ ,რომ მომავალი თაობა ამ პრობლემას მოაგვარებს. ამის დიდი იმედი მაქვს! ●

ფოტო: ზინკა ბარნოვი

"თქვენ უნდა შეცვალოთ სამყარო!"

მოჰსენ მახმალბაფი

>> ირინე ჟორდანია

ცნობილი ირანელი კინორეჟისორი, რომლის სახელიც თანამედროვე ირანულ და არამხოლოდ ირანულ კინოს უკავშირდება. რეჟისორის ნამუშევრები ასი საუკეთესო ფილმის ნუსხაშია შესული; აკრძალულია მის სამშობლოში და დიდ ინტერესს იწვევს ირანის ფარგლებს გარეთ. მარტივი ხერხები კინოში, ყველასთვის გასაგები კინოენა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემის შენეული ხედვა და შენი სათქმელის ფართო მაყურებლმადე მიტანა – კინო, რომელსაც მახმალბაფი წარმოგვიდგენს.

MASTERCLASS

„მებაღე"

ირანში ამ ფილმის ჩვენება მთავრობის მიერ აკრძალულია; თუმცა, როგორც ამბობენ, შავ ბაზარზე რამდენიმე ათეული ათასი ასლი გაიყიდა. ფილმი ისრაელშია გადაღებული, ირანელებისთვის კი ისრაელში გამგაზავრება კანონით ისჯება, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ასევე აკრძალულია საუბარი ბაჰაიზმის შესახებ, რომლის მიმდევრებსაც ირანში სასტიკად სდევნიან.

ფილმი ორი კამერით არის გადაღებული, მისი ბიუჯეტი ძალზე მცირე იყო. ვამონტაჟებდით ჩვენსავე ლეპ-ტოპებში Final cut-ის პროგრამაში; მინდა, ახალგაზრდებს ვურჩიო ამ პროგრამაში მუშაობა ისწავლონ, რადგანაც ეს მნიშვნელოვანად აადვილებს მონტაჟს. ასევე გირჩევთ, გადაიღოთ პატარა კამერებით; არა RED კამერით, რომელიც ფორმატით 35 მმ–იან კამერას ჰგავს, ერთ ადამიანს გაუჭირდება დამოუკიდევბლად გაართვას თავი. 5D კამერას უჭირს მოძრაობისას ფოკუსირება, გჭირდება ასისტენტი; ასეთი კამერა კარგია ფოტოგრაფიისთვის;და როდესაც დოკუმენტურ ფილმს იღებ, უმჯობესია, ყურადღება არ მიიპყრო. ასეთ შემთხვევაში, თუკი კამერას მოხსნი ობიექტივს,ზომით მობილური ტელეფონისას არ აღემატება.

ფილმის გადაღებები ორ ეტაპად დავყავით. მას შემდეგ, რაც ორი კვირა გავატარეთ ისრაელში, ვნახეთ მთელი მასალა, დავამონტაჟეთ და შემდეგ უკვე ხელმეორედ, ისევ გავემგზავრეთ უკვე სამი კვირით და დავამატეთ, რაც გვჭირდებოდა. ჩვენ არ მიგვიმართავს ისრაელის სახელმწიფოსთვის გადაღებების ნებართვის თაობაზე. ქალაქში დავდიოდით როგორც ტურისტები; ვცდილობდით, შეუმჩნევლები ვყოფილიყავით. ვფიქრობ, ეს ფილმი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გადაიღო ფილმი მარტივად და შენი სათქმელი მაყურებელამდე მიიტანო.

იმ სამი კამერიდან, რომელსაც ფილმში ხედავთ,მხოლოდ ორი მუშაობს. როდესაც მესამე შემოდის, ერთ-ერთი გათიშულია. დაახლოვებით 2000 დოლარი ღირს ერთი ასეთი კამერა. მისი ყიდვა გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე რედის დაქირავება. მთელი ტექნიკური აღჭურვილობა (2 კამერა და მიკროფონები) 5000 დოლარს არ სცდებოდა. გვქონდა პროფესიონალური დიდი მიკროფონი, მაგრამ ხმას ძირითადად მაინც ე.წ. „პეტლიჩკით„ ვიწერდით.

კადრში ერთმანეთის პირისპირ ვიყავით. რა თქმა უნდა, გვქონდა გარკვეული მონახაზი, მაგრამ ძირითადად ვიღებდით იმას, რაც ადგილზე სპონტანურად ხდებოდა.

ამ ფილმში სამი ხმაა. ორი თაობის დიალოგი – ჩემი შვილი როგორც ახალგაზრდა თაობა, რომელსაც სძულს ყველა რელიგია, რადგანაც თვლის, რომ ის სამყაროს ანადგურებს; მე – როგორც უფროსი თაობა, და ახლა უკვე მე, როგორც კინორეჟისორი, კამერის მიღმა.

ამ გზით გვინდოდა მიგვეღწია დემოკრატიისთვის თავად ფილმს შიგნით; ფილმების

უმეტესებას ერთი ხედვა, ერთი თვალსაზრისი აქვს; მე კი პირიქით, შევეცადე სამი კუთხე მქონოდა.

როგორ გადავიღოთ ფილმი...

დღეს ტექნიკა ისეთი მნიშვნელოვანი აღარ არის. კამერა შეიძლება უკვე საწერ კალამად გადიქცეს. მწერალი, ჯერ წერს რომანს, ხოლო უკვე შემდეგ ეძებს გამომცემელს. ვინ არის მწერალი ? – ვინც წერს; ხოლო ვინ არის კინორეჟისორი? – ის, ვინც ფილმს იღებს. თუკი თქვენ ხართ რეჟისორი, შეეცადეთ, მარტივი კამერით გადაიღოთ და შემდეგ სცადოთ მისი გაყიდვა. როდესაც რეჟისორი ამბობს, რომ მას აქვს ბევრი იდეა, არის ნიჭიერი, მაგრამ მას არა აქვს ფული – ეს რეჟისორობა კი არა, კინოში მათხოვრობა უფროა.

ათი წლის წინათ, როდესაც ფილმს ვიღებდი, 250 კგ. აღჭურვილობა მქონდა. დღეს მთელი ტექნიკა 20 კილოგრამს არ აღემატება. დასჯერდით მცირე განათებას – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინტერიერში იღებთ, ერთი–ორი ნათურითაც საკმარისია. გადაიღეთ რაც შეიძლება მარტივად! რატომ მოვითხოვ ასე დაჟინებით? – იმიტომ, რომ ბევრი თქვენგანი მომმართავს, მეუბნება, რომ უყვარს კინო, მაგრამ არ იცის, როგორ იშოვოს ფული.

თუკი ძალიან გინდა, გაქვს საკმარისი ვნება, იპოვი ტკივილს, რომელზეც გინდა ილაპარაკო – დაიწყეთ მუშაობა, გადაიღეთ – თუნდაც თქვენი მობილური ტელეფონით. ციფრული რევოლუციის შემდეგ კინო რომანის წერას დაემსგავსა. საბედნიეროდ, დღეს თქვენ აღარც პროდუსერი გჭირდებათ, რომელიც დაჟინებით გაკონტროლებდათ, რათა საკუთარი ფული დაებრუნებინა. აღარც ცენზურა არსებობს – ისე ჩავედით ისრაელში, წარვმართეთ გადაღებები, რომ ამას ვერავინ მიხვდა. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ამ პროცესს ციფრულ რევოლუციას – დაინგრა პროდუსერის ფულის ძალაუფლება; დაინგრა ცენზურის ძალა.

თუკი ადრე კინოში ოცდაათი კაცი მუშაობდა, დღეს ფილმის გადაღება მარტოს შეგიძლია – შეგიძლია მარტო იყო შენი იდეის განხორციელებისას. დღეს საავტორო კინო ამის საშუალებას იძლევა.

კინოს შეუძლია შეცვალოს რეალობა!

თბილისის საერაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში 10 საკონკურსო ფილმი ვნახე, ეს რეჟისორთა პირველი ან მეორე ფილმი იყო. ყოველი მათგანი ჩემს მიერ გადაღებულ პირველ ფილმებს ჯობდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რეჟისორს აქვს საკმარისი ცოდნა, განათლება, ერკვევა ტექნიკურ საკითხებში, აქვს სტილის გრძნობა – ამ ფილმების უმრავლესობას ერთი პრობლემა აქვს – სათქმელი.

კინოს გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე ქვეყნის მთავრობებს. ხალხს შეუძლია შეცვალოს მთავრობა, მაგრამ დიქტატურას ფესვები კულტურაში აქვს გადგმული, მასზე ზემოქმედება კი მხოლოდ კულტურას შეუძლია. აზრი არა აქვს იმაზე ლაპარაკს, რომ შევცვალოთ ესათუის პრეზიდენტი, მთავარია, ზემოქმედება მოვახდინოთ ადამიანის აზროვნებაზე. ეს პირველ ყოვლისა სათქმელს უკავშირდება. კინოში სათქმელია მთავარი. და კიდევ ერთი – გამეორება. წარმოდგენილი ფილმების უმეტესობა რაღაც უკვე ნანახს გაგონებს. ამიტომ, აუცილებელია მონახო შენი პირადი სათქმელი, და გამოხატო შენი ხერხით;

მახსოვს ერთ კვირაში გადავიღე ფილმი, სახელწოდებით – „ავღანური ანბანი", ერთ კვირაში დავამონტაჟეთ. ფილმი სამხრეთ ირანში მცხოვრები 700 000 ავღანელი ლტოლვილი ბავშვის შესახებ იყო. მათ რვა წლის განმავლობაში არ ჰქონდათ შესაძლებლობა სკოლაში ევლოთ; მხოლოდ ორ ქალაქში ასეთი 100 000–ზე მეტი ბავშვი იყო. მთავრობას ჰქონდა პოზიცია, რომ ეს ლტოლვილები ჩვენს ქვეყანაში უვიზოდ ცხოვრობდნენ. გადავიღეთ ფილმი ამ ბავშვების შესახებ, ვაჩვენეთ მათი ტკივილი, მათი სურვილები და მათი ოცნება; ვაჩვენეთ მინისტრებს, პარლამენტარებს; და ამ პატარა დოკუმენტურმა ფილმმა შეცვალა კანონი – ერთ დღეს ნახევარი მილიონი ბავშვი სკოლაში წავიდა.

ინდოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, ოთხი წლის სწავლის შენდეგ ახალგაზრდა რეჟისორებს დეპრესია დაემართათ – ყოველ მათგანს ეგონა, რომ ფელინი იყო, რომ ჰქონდა საკმარისი ნიჭი, მაგრამ ეს არავის ადარდებდა, მათზე არავინ ზრუნავდა. ვერავინ შეძლო ის მილიონი ეშოვა, რომელიც ფილმის გადასაღებად უნდოდა. უნივერსიტეტის მიმდებარე ქუჩა ერთ-ერთი ყველზაე ბინძური ადგილი იყო მთელს ინდოეთში, ნაგავი და უამრავი მათხოვარი ბავში. ახალგაზრდა რეჟისორებს ვუთხარი, აეღოთ ორი ხელის კამერა და გასულიყვნენ ქუჩაში. ეკითხათ ამ ბავშვებისთვის, შეწყვეტდნენ თუ არა მათხოვრობას, თუკი მათ, ქუჩების დალაგების სანაცვლოდ, დღეში ხუთ დოლარს გადაუხდიდნენ. მნიშვნელობა არა აქვს, რას გიპასუხებდნენ ეს ბავშვები – მთავარი თქვენ ეს გადაიღოთ. შემდეგ მიაკითხეთ მაღაზიების მეპატრონეებს და შესთავაზეთ, ეს ხუთი დოლარი ბავშვებს გადაუხადონ ქუჩების დალაგებაში, ესეც გადაიღეთ; პრობლემები გექნებათ პოლიციასთან? – ესეც აღბეჭდეთ. და რამდენიმე ხანში თქვენ დაინახავთ, რომ ქუჩის ნაწილი მაინც გასუფთავდება, შემდეგ მიხვდებით, რომ ეს შეიძლება მთელ მოძრაობად გადაიქცეს. უმჯობესია, იყო ადამიანი, რომელიც ულამაზეს ინდოეთს ასუფთავებს ჭუჭყისგან, ვიდრე ახალგაზრდა, დეპრესიული, შეუმდგარი ფელინი. ფილმისთვის საუკეთესო თემას თქვენს ირგვლივ იპოვით, მენდეთ – თქვენ ეს შეგიძლიათ. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ კულტურა, ტრადიცია, პოლიტიკა. ჩვენ შეგვწევს ძალა შევცვალოთ სამყარო.

ჩემი ფილმები ტაშისთვის არაა, ეს ჩვენი სირცხვილია, რომ დღეს ირანში თექვსმეტი წლის გოგონას ქვებით ქოლავენ, რომ მთავრობა ხოცავს ბაჰაისტებს... ჩვენ ვალდებულები ვართ, გავაკეთოთ რამე გაჭირვებულებისთვის; იმ ხალხისთვის, ვინც წნეხის ქვეშ მოექცა – არა აქვს მნიშვნელობა ეს შენს ქვეყანაში ხდება, თუ სხვაგან. თავის დროზე ჩემს ქვეყანაში ღმერთი მორალის გამოხატულება იყო, დღეს ღმერთის სახელი დაჭერასთან, წამებასთან, გაუპატიურებასთან ასოცირდება.

ავღანეთში ყოფნისას სამი ფილმი გადავიღეთ. მხოლოდ ქაბულში ქალაქის ქუჩებში სამი ათასამდე ბავშვი მათხოვრობდა. ერთი დოლარი ორმოცდაათ ავღანს უდრიდა. ეს ბავშვები ერთ ავღანს ითხოვდნენ. ფილმის ბიუჯეტიდან გამოვყავით გარკვეული თანხა და ამ ბავშვებს შორის ნიჭიერები შევარჩიეთ. მათ შორის თოთხმეტს ხატვა შეეძლო. ვუყიდეთ საღებავები, ფანქრები და დავპირდით, რომ მათს საუკეთესო ნახატებს ვიყიდდით. ას სამოცდარვა ნახატი შეგროვდა. მოვაწყვეთ გამოფენა – სიბნელეში თითოეულ ბავშვს ხელში ფანარი ეჭირა, თავისი ნამუშევრის უკან იდგა, და თავის ხელოვნებაზე ჰყვებოდა. ერთი წლის წინათ ყველა ეს ბავშვი მათხოვარი იყო. არ მითხრათ, რომ ეს არ არის კინოში მომუშავე ხალხის პასუხისმგებლობა – არამც და არამც. დღეს გავრცელებულია ტერმინი – რეალისტური კინო. კინოს შეუძლია შეცვალოს რეალობა! ●



დიმიტრი ერისთავი,
„შეხვედრა", 1957 წელი

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

პროფესია – კინომხატვარი
დიმიტრი ერისთავის შემოქმედებითი ლაბორატორია

>> ირინა დემეტრაძე

fp რენე კლერი ამბობდა: ფილმი დასრულებულია, ახლა გადაღება დარჩაო. დიმიტრი ერისთავის შექმნილი ასობით ესკიზი უკვე კინოა, რომლის ფირზე გადატანაა მხოლოდ საჭირო. როგორც ოთარ იოსელიანი ეუბნებოდა, – რაც არ უნდა «პახმელიაზე» ვიყო გადაღების დროს, შენი «რასკადროვკები» მიდევს წინ და ყველაფერი რიგზეაო…

ელდარმა (ელდარ შენგელაია) მოაწყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა ბელგრადში. ამ დროს ჩემი ნამუშევრებიც იყო იქ გამოფენილი ერთ-ერთ ცნობილ გალერეაში. ქართული კულტურის მიმართ ინტერესი დიდი იყო, განსაკუთრებით ჩვენი ფილმებით მოიხიბლნენ; ასეთმა პატარა ერმა ეს შედევრები როგორ შექმნაო? ელდარი საუბრობდა საქართველოს ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებზე. ელემ კლიმოვმა (რუსი კინორეჟისორი, საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავჯდომარე) სიტყვა გააწყვეტინა და ჩვენთვის ყველასთვის მოულოდნელად ასეთი რამ თქვა: Это все вам лапшу на уши,вешает Эльдар. Это все потому, что Грузины самые талантливые в мире люди. გამიკვირდა, კლიმოვისნაირი რუსოფილისგან ასეთი შეფასება. (ელემ კლიმოვი გახმაურებული ფილმების „მატიორასთან გამომშვიდობება“ და „აგონიის“ ავტორია. „პოჩვენნიკი“ კლიმოვი „რუსული იდეის“ აქტიური გამტარებლი იყო).

fp იდეურად და სტილისტურად ქართველ 60-იანელთა კინო გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირში. რუსული მეტაფიზიკა საქართველოში სამხრეთულმა მენტალიტეტმა, ცხოვრების და არა ცნობიერების ნაკადმა ჩაანაცვლა. მთავარი კი მაინც 60-იანელთა მსოფლმხედველობა იყო. მოხდა ონტოლოგიური (ფილოსოფიურ-კონცეპტულური) განახლება ხელოვნებისა და ლიტერატურის, რამაც ახალი ენა, სტილი, მხატვრული მეთოდი მოიტანა.

რა არის იცით? – სტალინი გარდაიცვალა და, მხატვრულად რომ ვთქვათ, ბორკილები აგვეხსნა. ტოტალიტარიზმის წლებში დაგროვილმა ენერგიამ ერთიანად ამოხეთქა. ამას წინათ მერაბ მამარდაშვილის ძველი სტატია წავიკითხე. გაზეთები და მთლიანად მედია არის მრუდე სარკეები. ჩვენ კი ამ მრუდე სარკეებში არეკლილ სივრცეში ვცხოვრობდით. თან ისე ვიყავით შეჩვეულები, რომ სავსებით ორგანულად გვეჩვენებოდა. 60-იანებში იყო ის თავისუფლების გაელვება მცირე დროით. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს სუფთა ჰაერი ჩავიდა ფილტვებში.

fp რატომ აიტაცა კრიტიკამ და მთლიანად 60-იანელთა თაობამ ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“? ფილმის გამოსვლიდან 40 წლის მერე რუსმა კრიტიკოსებმა ხელახლა გამოაქვეყნეს თავიანთი რეცენზიები. რამდენად რეალურია „იცხოვრო შენი ცხოვრებით“ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ქვეყანაში? ამას მხოლოდ გია აგლაძე ახერხებს და ტოტალიტარულ ქვეყანაში გაზრდილი არათავისუფალი ადამიანების ქვეცნობიერი ოპტიმიზმიც სავსებით გასაგებია (ვგულისხმობ ფილმის თაყვანისმცემლებს).

მე ფილმის სცენარის თანაავტორიც ვარ. მართალია, ტიტრებში კიდევ რამდენიმე ადამიანია მოხსენებული, მაგრამ ამას წმინდა ბიუროკრატიული მიზეზები ჰქონდა.

თავიდან სცენარის სინოფსისის რუსული ვარიანტი გავაკეთეთ და ერქვა День Деньской. მე ოთართან უკვე მქონდა ნამუშევარი „გიორგობისთვეზე“. საერთოდ, კინოში მუშაობა ძალიან მომწონდა.გაგიკვირდებათ და, ეს განტვირთვის საშუალება იყო ჩემთვის. სახელოსნოში მარტო ხარ შენს თავთან, ტილოსთან, გადასაღებ მოედანზე კი ჯგუფთან ერთად მუშაობ; ცხოვრობ ამ ადამიანებთან ერთად, იცვლი ადგილსამყოფელს, ხვდები უცხო გარემოში, რომელიც თანდათან შენი ხდება.

„იყო შაშვი მგალობელის“ ჩანაფიქრი ოთარისაა. ჩვენ მერე ერთად განვავითარეთ ეს იდეა. მე მყავდა მეგობარი მალხაზ დათუკიშვილი, რომელიც ფაქტობრივად გია აგლაძის ორეულია; ძალიან ნიჭიერი კაცი, რომელიც ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა – კერავდა პალტოებს, კოსტუმებს. გახსოვთ ალბათ გია აგლაძეც კერავს ფილმში. ერთხელ ოთარ გორდელის ქორწილში ვიყავით და იქ იმღერა (გადასარევად მღეროდა იტალიურ ოპერებს). ქორწილში იყვნენ კონსერვატორიის პროფესორები და მალხაზი უგამოცდოდ მიიღეს ვოკალის ფაკულტეტზე; მაგრამ მეორე კურსიდან თავი დაანება სწავლას. ყელში მიგდებენ ხმასო, – ამბობდა. იტალიური თვითონ ისწავლა; ძალიან კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში. მოკლედ ძალიან ნიჭიერი ტიპი იყო.მერე ლენინგრადში დაიჭირეს და ოცი წელი მიუსაჯეს – ყალბი 50-მანეთიანი კუპიურები დაუბეჭდავთ. ბიჭები იყვნენ სასამართლოზე ჩასულები. თურმე პროკურორს უთქვამს, – ისეთი ხარისხიანი იყო, ჩვენ ამერიკაში დაბეჭდილი გვეგონაო. მალხაზმა თურმე ამ სიტყვების მერე ამაყად გადახედა დარბაზს. მოიხადა სასჯელი, და შემდეგ Вольное поселение, ასე ეძახდნენ მაშინ, ციმბირში დასახლდა. ქალი, რომლის სახლშიც ბეჭდავდნენ ამ კუპიურებს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მასთან ჩავიდა, მერე დაბრუნდნენ და დღესაც ერთად ცხოვრობენ.

fp ბატონი დიმა ამბობს, რომ ფილმის ფინალი ღიაა. მე ვფიქრობდი, და ბევრ რეცენზიაში წამიკითხავს, რომ გმირი იღუპებოდა. ბატონი დიმას სიტყვების შემდეგ თითქოს ცხოვრების მიმართ უფრო ოპტიმისტური დამოკიდებულება გამიჩნდა.

„არაჩვეულებრივი გამოფენაც“ რაღაცით ჰგავს „იყო შაშვი მგალობელს“. თუმცა ელდარი და ოთარი ძალიან განსხვავებული ხელწერის რეჟისორები არიან.

ელდარი ჩემს გაკეთებულ „რასკადროვკებს“ უფრო თავისუფლად ექცეოდა. თავიდან ქუთაისში ვიღებდით. ჩვენ ჯგუფს – დოდოს, ლორთქიას რამდენიმე მანქანა ყარაულობდა. ყველას უნდოდა მათთან ქეიფი; თან იცით, ქუთაისელები როგორი სტუმართმოყვარე ხალხია. შეუძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება, და ჩემი რჩევით, გადაღებები ბათუმში გადავიტანეთ. რეზო გაბრიაძემ ქუთაისზე დაწერა, მაგრამ ფაქტობრივად ნახევარი ფილმი ბათუმშია გადაღებული. ბათუმში მასწავლა დოდომ ცურვა. მანამდე ცურვა არ ვიცოდი.

მე რაც შემეხება, რეჟისორს ლიტერატურული ტექსტის გამოსახულებად გადაქცევაში ვეხმარებოდი. ოთართან და ელდართან მუშაობის დროს უამრავი ესკიზი მქონდა წინასწარ გაკეთებული. სამწუხაროდ, მერე ეს ესკიზები დაიკარგა, არც ვიცი, რა ბედი ეწიათ. ოთარიც და ელდარიც „მოგყვებიან“ მუშაობაში. რეზო ჩხეიძე, მაგალითად, კადრს თვითონ აყენებდა და არც ოპერატორს უსმენდა დიდად.„ზღვის ბილიკი“ ჩემი პირველი ნამუშევარია კინოში, შედეგით უკმაყოფილო ვარ ნამდვილად. მგონი, თავად რეზოსაც არ მოსწონს ეს ფილმი. ისე კი, მას უნდა ვუმადლოდე, რომ კინოში მოვხვდი და ბევრიც მიმუშავია. თენგიზ აბულაძეც არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ჩვენ ერთად „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გავაკეთეთ. მახსოვს ქალბოტონი სესილია, სულ უკმაყოფილო იყო, – მსხვილ ხედებს არ მიღებთო. მერე სანდრო ჟორჟოლიანიც „მოქოქა“ და ერთად „შუხურობდნენ“. თენგიზი ეუბნებოდა, – არ გრცხვენიათ, როგორ გივლით და გეფერებით, და არ მიფასებთო. გადაღებები მანგლისში გვქონდა და ყოველ დილით თენგიზს მათთვის ხიზილალიანი ბუტერბროდები ჰქონდა გამზადებული. სესილიამ, მახსოვს, უთხრა: Положил я на твои бутерброды,с прибором-ო...

მაშინ იტალიური „ნეორეალიზმი“ იყო მოდაში. თენგიზსაც მოსწონდა ეს ესთეტიკა. ხრიოკი სოფელის ნატურა ნეორეალისტური მანერით აქვს გადაწყვეტილი. მე ამ ფილმში განსაკუთრებით მომწონს ზამთრის ეპიზოდები; არა იმიტომ, რომ ჩემი გაკეთებულია. მე ზამთარში შევუერთდი ჯგუფს.

fp „მთვარის ფავორიტები“ ოთარ იოსელიანის ფრანგული პერიოდის შედევრია. ეს განსხვავებული იოსელიანია – ფრანგული კინოს ტრადიციებთან ასიმილირებული, ბუნუელის ბოლო ფილმებით შთაგონებული. დიმა ერისთავის ხელწერაც განსხვავებულია. გამოსახულება უფრო ეკლექტურია და კოლაჟური, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა.

მთელი ფილმი გადაღებულია როგორც ერთი უწყვეტი კადრი. გახსოვთ, ერთი ეპიზოდია ფილმში – ქმარი მიდის ქუჩაში, და ამ დროს ცოლი ბინაში მას ღალატობს. სამი დღე იღებდნენ ემ ეპიზოდს, და არაფერი გამოდიოდა. მე ასეთი რამ მოვიფიქრე – გმირი მიდის ქუჩაში, და გაბრაზებული მტრედებს ფეხს აუქნევს. მტრედი აფრინდება, და ფანჯრის რაფაზე დაჯდება. მერე კამერა ფანჯრიდან შედის ბინაში, სადაც მისი ცოლი საყვარელთან ერთადაა. გამოვიდა როგორც ერთი უწყვეტი ხედი. თურმე ამ და სხვა მიგნებებზე ბევრი დაიწერა ფრანგულ პრესაში.

კიდევ ერთი ეპიზოდია, როცა მოხუცები აფეთქებას გეგმავენ. ბევრს ვფიქრობდით, რა აგვეფეთქებინა? თავდაპირველად მონმარტრზე რომ ეკლესიაა – საკრე-კერი, მისი აფეთქება იყო ჩაფიქრებული. მერე ძეგლი ავაგეთ, და ის ავაფეთქეთ. აფეთქების მერე მხოლოდ ფეხები რჩება ძეგლისგან. უფრო ირონიული და სარკასტული გამოვიდა.

იმ პერიოდში ფრანგულ კინოში კრიზისი იყო და ოთარის ფილმმა ვენეციის ფესტივალზე პრიზი აიღო საუკეთესო რეჟისურისთვის. გრან პრის აძლევდნენ, მაგრამ ევტუშენკო იყო იქ გოსკინოდან მივლენილი ჟიურიში, და არაფრის დიდებით არ ქნა. მოკლედ ყოველთვის ხელს გვიშლიდნენ. რამდენი ცილისწამება მახსოვს – ღვარძლიანი, გამანადგურებელი რეცენზიები. ეგ არაფერი, ამ ფილმებმა დროს გაუძლო, და ეს რეცენზიები, მათი ავტორები, ან ის ცენზორები ვიღას ახსოვს დღეს? ●

თავისუფალი
თემა

"007– ტირილის ლიცენზიით"

>> ქეთა კირტავა

ახალმა ჯეიმს ბონდმა ჰუმანურობისთვის ვატიკანის მოწონებაც კი დაიმსახურა. უკვე 6 წელია, რაც დენიელ კრეიგის გმირი ბონდისთვის უჩვეულო მგრძნობელობას იჩენს. ბოლო ფილმი საკვანძო აღმოჩნდა იმისთვის, რომ მთელ კათოლიკურ სამყაროს ეღიარებინა მისი „გაადამიანურება".

ვატიკანის პრესა წერს (წერილში „007-ტირილის ლიცენზიით"), რომ ფილმი Skyfall ერთ-ერთი საუკეთესოა ბონდის 23 ფილმს შორის. როგორც ჩანს, ბონდის ტირილი მონანიების აქტის კარგი სახეა...

ინგლისელი მწერლის, იან ფლემინგის რომანის გმირი, უკვე 50 წელია, რაც ამერიკული მითოსის ნაწილია; მეტიც, მას ამერიკულ ფოლკლორსაც კი უწოდებენ. ბონდის გმირი, მთელი მისი ატრიბუტიკით, ხშირად კულტურის ანალიზის საშუალებაც არის.

ასეთი გმირების ტრანსფორმაცია და მათი ერთგვარი მსხვრევა განსაკუთრებით საინტერესოა, როცა მონოლითივით სტერეოტიპი სახეს იცვლის და, დროის მოთხოვნის შესაბამისად, ახალ გზავნილებს ატარებს. მოკლედ, მითოლოგია გრძელდება და თითქოს მაყურებელი მისი შექმნის მონაწილე ხდება – ზუსტად ისე, როგორც ახლა ვატიკანი გახდა ბონდის გმირის თანაავტორი.

დეტექტიური ჟანრის მთავარ კრედოს გავიხსენებ – დამნაშავე რომ გამოააშკარავო, საჭიროა დანაშაულის მიზეზის გაგება. თუმცა, იან ფლემინგის რომანი, როგორც დეტექტიური ჟანრი, არ იცავს მის ტრადიციულ სტრუქტურას. მას არ აინტერესებს მიზეზი, აქ პრიორიტეტია მიზანი და საშუალებისნაირსახეობა, საშუალება – როგორც სირთულე.

ეს რომანი ცვლის დეტექტივის მთავარ სპეციფიკას; დეტექტივი კიდევ უფრო მეტად ხდება მასკულტურის პროდუქტი. „უფრო მეტად" იმიტომ, რომ მასობრივი მოხმარების საგანი ის მანამდეც იყო; დეტექტივისადმი ვნება ხშირად განიმარტება – როგორც „ობივატელის არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია"; როგორც მკითხველის სურვილი, წარმოიდგინოს შეუძლებელი შესაძლებლად.

„ტვინის სავარჯიშო" – ასე უწოდებდნენ დეტექტიურ ჟანრს, რომელიც დროთა განმავლობაში გრძნობების სტიმულატორი ხდება.

„დანაშაულის მიზეზი" 50-იან წლებში უნდა ვეძებოთ. ამ დროს ბონდი, როგორც ლიტერატურული გმირი, უკვე არსებობს; კინოში ის მხოლოდ 1962 წელს ჩნდება.

50-იან წლებში ამერიკული კინოში ჭარბობს ჯეიმს დინის ტიპი; ოქროსფერთმიანი, მომხიბვლელი მეამბოხე, რომლის ამბოხი თითქოს არ არის მიმართული რაიმე კონკრეტულისკენ. ასეც ჰქვია მის ერთ-ერთი ფილმს – „ამბოხი მიზეზის გარეშე" ან „უმიზეზო ამბოხი"(ნიკოლას რეი). ეს გაუცხოებული, მელანქოლიური ბიჭი, უკიდურესად ნორმატიული კულტურის ფარგლებში გაჩენილი, გაბრაზებული ახალგაზრდობის ერთგვარ სახედ გადაიქცა. ასეთმა გმირმა თითქოს აამოქმედა დათრგუნული ახალგაზრდობა, მაგრამ ამ ამბოხმა დასრულებული სახე ვერ მიიღო. ის თითქოს პასიურ პროტესტად იქცა; მათ არ ჰქონდათ კონკრეტული ფასეულობათა სისტემა და, ერთადერთი რასაც ისინი არსებულ კულტურას უპირისპირებდნენ, იყო ყველაფრის უარყოფა, როგორც ბავშვური კაპრიზი. საბოლოო ჯამში, ნორმების წინააღმდეგ მებრძოლი ჯეიმს დინის პერსონაჟი თავად იქცა სტერეოტიპად. სტერეოტიპი კი, როგორც მასობრივი აღქმის ობიექტი, დროთა განმავლობაში თავად ითხოვს თავის შემცვლელს. როგორც წესი, ეს ჩანაცვლება საწინააღმდეგოს პრინციპით ხდება.

სწორედ ამ დროს რეალობიდან გაუცხოებულ ჯეიმს დინს უპირისპირდება პრაგმატული, პრინციპული, მომხიბვლელი, საკმაოდ სწორხაზოვანი პერსონაჟი; მან მათემატიკური სიზუსტით ჩაანაცვლა მისი წინამორბედი, რომელიც ბევრისთვის არ იყო იდენტიფიკაციის ობიექტი.

ბონდი თითქოს წარუმატებელი, არშემდგარი რევოლუციის შედეგი იყო; ამბოხებამ ვერ დასახა სწორი მიზნები, ვერ მოახდინა გარდატეხა და იმედგაცრუებული მაყურებე-

ლი ისევ არსებული მეინსტრიმის ტენდენციებს გაჰყვა, რომელიც საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა მეოცნებე მეამბოხეებისთვის. ასეთ დროს იმედგაცრუებული საზოგადოება იდეალიზებულ სახეებს ითხოვს, იდენტიფიკაციის ძლიერი რესურსით.

ასე დაიწყო ბონდის ფილმების მთელი რიგი, რომელიც დღემდე აქტუალურია.

ხშირად ხდება, როცა ე.წ. Babyface-ის ტირაჟირებას მოგვიანებით სწორხაზოვანი სახის ნაკვთები ანაცვლებს. შესაძლოა, ეს კონვეირი მრავაფეროვნების პრინციპით მუშაობს, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ გარდა მზა პროდუქტისა, რომელსაც კულტურა გვთავაზობს, მაყურებელი თავადაც მონაწილეობს მითოსის შედგენაში; ბონდი, იან ფლემინგის რომანის გარდა, მაყურებლის ცნობიერების პროექციაც არის. ამიტომაც არის ის ამერიკული ფოლკლორი.

რაც შეეხება თავად ბონდის ტრანსფორმაციას, ასე მკვეთრად შემოხაზული გმირის ცვლილება, ბუნებრივია, განსხვავებულ აზრებს ბადებს მაყურებელში; მით უმეტეს თუ საქმე ბრიტანული უშიშროების აგენტს ეხება: ჯენტლმენს, მკვლელობის ლიცენზიით, ზებუნებრივი გამძლეობით, თავდაუზოგავი ერთგულებით და რომანტიზმითაც კი... მოკლედ, თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალი, რომელსაც მესამე პუნქტის – სიმდიდრის მაგივრად, ყოფითი ფუფუნებისადმი ირონია ამშვენებს.

მიუხედავად მაყურებლის უკმაყოფილებისა, მომეჩვენა, რომ მისი (დენიელ კრეიგი) ახალი იერი, რომელსაც, უკვე მესამე ფილმია, ატარებს, კანონზომიერია. რკინის ჯენტლმენს, რომელიც ყოველი გასროლის შემდეგ აბრეშუმის ჰალსტუხს მოხდენილად ისწორებდა, ახლა თითქოს წარსულის ხსენება საქციელს აკარგვინებს; რა თქმა უნდა, ისევ ბრიტანული თავშეკავებულობის ფარგლებში.

ის ისევ ოქროსფერთმიანია, უფრო მგრძნობიარეა; ახლა ის სახელმწიფო საიდუმლოებაზე მაღლა ადამიანის სიცოცხლეს აყენებს; მეტიც, ფილმის ფინალში ის ტირის.

ის ჯეიმს დინსაც კი მაგონებს, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ჰგავს. საინტერესოა, როგორ განვითარდება ბონდის პერსონაჟი... სტერეოტიპს, რომლისგანაც ის თავიდან რადიკალურად გაიმიჯნა, ახლა მეტი საერთო აქვს მასთან.

მრავალი წლის შემდეგ, როცა ეს საჭირო გახდა, ბონდმა თავად შექმნა საკუთარი გმირის ალტერნატივა; თავადვე მოახდინა ჩანაცვლება.

რაც შეეხება ბოლო ფილმს Skyfall. ფილმის რეჟისორია სემ მენდესი, ბრიტანელი თეატრის და კინოს რეჟისორი, რომლისთვისაც დრამის ჟანრი მეტად დამახასიათებელია American Beauty, რომელშიც ოსკარი მიიღო;- Revolutionary Road; Skyfall-ში უფრო მეტად მოიძებნება დრამის ელემენტები, ვიდრე ბონდის სხვა სერიებში.

ფილმის მთავარი კონფლიქტი არის ბონდის და მისი მოწინააღმდეგეს (ჰავიერ ბარდემი), ყოფილი უშიშროების აგენტის დამოკიდებულება წარსულისადმი. ყოფილი აგენტი ვერ პატიობს მის უფროსს, ჯუდი დენჩის გმირს, რომ ის სახელმწიფოს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მის უშუალო მცველებს, თავისივე გამოწვრთნილ აგენტებს. სწორედ ეს არის განსხვავება ბონდსა და ბარდემის გმირს შორის;

შესაძლოა, ბრიტანეთის უშიშროების უფროსი, ბონდისთვის განასახიერებს სახელმწიფოს, ინგლისის დედოფალს ან უბრალოდ მშობელს; და თუ „ობლები საუკეთესო აგენტები ხდებიან", მაშინ ჯუდი დენჩის სიკვდილი მისთვის კიდევ ერთხელ დაობლებაა. ახლა აღარ არსებობს შუამავალი ბონდსა და უმაღლეს ფასეულობას, ინგლისს შორის.

ობლობის განცდას ხომ, ყოველ ჯერზე, ისევ დასაწყისის განცდა მოსდევს. ფილმიც ასეთივე დაუფარავი ოპტიმიზმით მთავრდება. ●

"დიდი მწვანე ველი", ლია კაპანაძე; "ბაში აჩუკი", ლია ელიავა; "დავით გურამიშვილი", დოდო ჭიჭინაძე; "აბეზარა", ლეილა აბაშიძე; "დარიკო", თამარ ციციშვილი; "დათა თუთაშხია", ლია ელიავა

ფოტოები მოგვაწოდა ხელოვნების სასახლემ

FEMININ, FEMININ

ნესტან ნენე კვინიკაძე

[01]

ალჟირის კინოთეატრებში ზოგჯერ პიტნის საწუწნ კანფეტს ყიდიან. ყოველ მათგანზე წითლად ის სიტყვებია ამოტვიფრული, სიყვარულის ჩასახვას თან რომ ახლავს: 1. კითხვები: „როდის შემირთავთ?", „გიყვარვართ?", 2. პასუხები „გაგიჟებით", „შემოდგომაზე". ნიადაგს შეამზადებენ და კანფეტს გვერდით მჯდომ გოგონას გადააწვდიან, ის კი ან პასუხობს, ან თავს ისე აჩვენებს, ვითომ, აქაოდა არაფერიო. ბელკურში ბევრი ოჯახი საკუთარ არსებობას სწორედ პიტნის კანფეტებს უნდა უმადლოდეს – ეს ალბერ კამიუს გამოცდილებაა.

მე ალჟირის კინოთეატრში არასდროს ვყოფილვარ. სამაგიეროდ, საკუთარი თვალით მინახავს ტოკიოში, როპონგი ჰილსში, „თოჰო სინემასთან" გაშლილი მწვანე ხალიჩა (ტოკიოს კინოფესტივალზე წითელი ხალიჩა მწვანე, ეკო ხალიჩით არის ჩანაცვლებული) და მასზე მონარნარე კინომსახიობი ქალბატონები; ასევე, ყოველ წელს ვადევნებ თვალს კანის კინოფესტივალის წითელ ხალიჩას და ტანზე მზედაკრული გოგონების ბრწყინვალებას. ამ მოტივების დამახსოვრების საფრთხე მართლაც გარდაუვალია!

სხვადასხვა ქვეყნის კინოეპოქის ქალბატონების იმიჯები ცხოვრებაში კიდევ უფრო შთამბეჭდავია.
ქართული კინოს ქალბატონების იმიჯზე ფიქრისას ზოგს თამარ ციციშვილი, ზოგს ნატო ვაჩნაძე, დოდო ჭიჭინაძე, ან სულაც ლია კაპანაძე ახსენდება.
ამაზე ვდავობთ და ასეც უნდა იყოს! სხვა შემთხვევაში, ყველას ერთი ქალი და კაცი ეყვარებოდა, და თუნდაც ალჟირის კინოთეატრებში ვერ დაწყვილდებოდნენ გოგო-ბიჭები.

[02]

კინოს დაბადებიდან მალე ტფილისსაც მოედო ეს ეპიდემია. საქმეს ისიც ამძაფრებდა, რომ აქ, არტისტული განწყობა დუღდა. 20-იან წლებში საქართველოში რუსეთის იმპერიიდან ხალხი გამორბოდა. რუსული ავანგარდი და რუსული მოდერნიზმი ფიროსმანის „გრაფიტის" ფონზე ღვიოდა... ამ დროისთვის ყველა მაგარ ქართველ პოეტს უკვე დაწერილი აქვს მაგარი ლექსები. გურჯიევი საეჭვოდ დაქრის აქეთ-იქით. ამო ბეკ-ნაზაროვი კი ე.წ. „დვარცოვზე" შიხმანის ფოტოატელიეს ფირნიშზე ნატო ვაჩნაძის ფოტოს პოულობს. კითხვა-კითხვით თავად გიორგი ანდრონიკაშვილის და პოლონელი ეკატერინე სლივიცკაიას ქალიშვილს გურჯაანში პოულობენ. ქართულ კინოში ეპოქა იწყება.
თვალებით ამეტყველებული მუნჯი კინო ნატო ვაჩნაძესთან ერთად იწყებს ფილმოგრაფიის წერას.
ეკრანზე ჩანს ქართულ-კავკასიური და ევროპული სილამაზის ფიუჟენი.
მოკლე დროში ის უკვე სახალხო არტისტია, მასში შეყვარებულია რაიკომის მდივანიც და მწყემსიც. მისი და ნიკოლოზ შენგელაიას სასიყვარულო ამბებს ზღაპრად ჰყვებიან.
ის პირველი ქართველი მსახიობია, რომელმაც შეძლო საერთაშორისო კინოფესტივალზე მოხვედრა.

ყველა ოჯახის ფოტოალბომში საპატიო ადგილი უკავია ნატო ვაჩნაძის ფოტოს. ნატო ვაჩნაძე ჩალის ქუდით, ვერცხლის ყელსაბამით, „ცრემლით თვალზე", თმაგაშლილი და თმააწეული, „მამის მკვლელიც" და „გიულიც". ამ იმიჯებით გადაფარული და ერთხმად ლამაზმანად აღიარებული, რეალურად ძალიან საინტერესოდ წერდა. გადაღებებზე თან შვილები დაჰყავდა. მათთან ერთად გავლილი ჰქონდა შიმშილის და გაჭირვების ყველა ეტაპი.

ნატოს მეგობრები არიან მაიაკოვსკი, პასტერნაკი და ესენინი. ნატოს მეგობარი იყო





"ანემია", ხათუნა იოსელიანი; "გიული", ნატო ვაჩნაძე; "კონფლიქტის ზონა", ნუცა კუხიანიძე; "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", სოფიკო ჭიაურელი; "მაია წყნეთელი", ლეილა აბაშიძე; "მამლუქი", ლია ელიავა

დაპატიმრებული და შემდეგ დახვრეტილი ტიციან ტაბიძეც.

სტალინს კინოზე სული ელეოდა... ნატო ვაჩნაძეს არაერთი მცდელობა ჰქონდა ნათესავები პატიმრობიდან საკუთარი ავტორიტეტის წყალობით დაეხსნა. ხან აღწევდა მიზანს, ხანაც ვერა.

ეს ყველაფერი (და კიდევ ის, რასაც ასეთი ზომის სტატიები ვერ იტევს) სახეზე ეწერა მუნჯი კინოს ყველაზე ხმაურიან არტისტს, რომელმაც, არამხოლოდ ქართული კინოს ისტორიაში, ყველაზე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. 1953 წლის 14 ივნისს თვითმფრინავი, რომლითაც 49 წლის ნატო ვაჩნაძე დონის როსტოვიდან თბილისისაკენ გამოფრინდა, სწორედ ნიკოლოზ შენგელაიას მშობლიური სოფლის თავზე ჭექა-ქუხილში მოხვდა, და ჰაერში დაიწვა.

[03]

მაშინ არ იყო ტაბლოიდები, მაგრამ მთელმა საქართველომ ისედაც ზეპირად იცოდა სკანდალური სიყვარულის ამბავი – ლეილა აბაშიძეს და გოჩა აბაშიძეს საბედისწეროდ რომ დაატყდათ თავს. თუმცა, ლეილა აბაშიძის ამბავი აქ არ იწყება.

1941 წელს ომიც დაიწყო და ალექსანდრე პიპინაშვილის „ქაჯანაც" გამოვიდა ეკრანებზე. ახალგაზრდა მსახიობი კატოს როლს ასრულებდა.

ოპტიმისტი და მხიარული, საქესთან არხეინად მოკალათებული და ფერადი კაბებით დამშვენებული ქალის იმიჯის მიღმა, დგას, სრულიად მარტო, მშობლების და ფულის გარეშე გავლილი ცხოვრება.
მამა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა და გადაასახლეს.
იმ დროს, მგონი, არაფრის ეშინოდათ. ამიტომ, დედამ პატარა შვილს ხელი მოჰკიდა, და ქმართან ახლოს რომ ყოფილიყო, მედმუშაკად ციმბირში წავიდა. რეპრესირებული მამის ნახვა მხოლოდ ციხის გისოსებს მიღმა იყო შესაძლებელი:
„იყო გახლართული მავთულები, სადაც 220 ვოლტი დენი გადიოდა, ვერ მიეკარებოდი. იქვე დედამ ერთი ადგილი იცოდა, დადგებოდა და შორიდან შეუმჩნევლად დაუქნევდა ხელს მამას, ისიც ჩუმად მიესალმებოდა. მე პატარა ვიყავი, დავიმახსოვრე ის ადგილი, გავძვრებოდი-გამოვძვრებოდი ყოველ დღე, მივიდოდი იქ, ხან სიგარეტს გადავუგდებდი მამას, ის გამომხედავდა ასე მადლიანი თვალებით და მხოლოდ ეს იყო ჩვენი შეხვედრები"....

უტრირებული და კომიკური იმიჯიდან სევდიან, იმედგაცრუებულ მზერამდე ერთი ნაბიჯია. ლეილა აბაშიძის მიერ შექმნილი სახე თვალშისაცემი და დასამახსოვრებელი იყო. კომბინეზონით და მუდმივად მიზანს მიღწეული განწყობით.მან საკუთარი ადგილი მოინიშნა ქართულ კინოში.
მაშინ მოდაში იყო ლეილა აბაშიძისნარი ღიმილი, ალბათ ოპტიმიზმიც, გულუბრყვილობაც და, ავტომობილის მართვა თუ არა, მართვის იმიტირება მაინც.

მაგრამ მაყურებლისთვის საყვარელ „როლად" მაინც ლეილა აბაშიძის მიერ სკანდალური სასიყვარულო ისტორიაში შესრულებული „როლი" რჩება, და ესეც მისი იმიჯის შემადგენელ ნაწილად იქცა. გადაშალეთ დღევადელი ტაბლოიდები: ჟურნალისტები ისევ ამ პირად დრამას უტრიალებენ.

[04]

„ქეთო და კოტეს" შესაქმნელად ტაბლიაშვილს ყველაზე მეტად მხატვრები – ფარნაოზ ლაპიაშვილი, იოსებ სუმბათაშვილი, და მსახიობი მედეა ჯაფარიძე სჭირდებოდა. ეს ისე, ეპატაჟისთვის და უტრირებისთვის,... მაგრამ ის იმიჯი, რაც მედეა ჯაფარიძემ სამუდამოდ დატოვა ქართულ კინოში, წარმოუდგენელი იქნებოდა მხატვრების გარეშე. ისე, როგორც მედეას გარეშე წარმოუდგენლად ესახებოდათ ეს კინოსურათი.

კინოკოსტუმი „ქეთო და კოტეში" მთავარია. 19-ე-20-ე საუკუნის მიჯნის თბილისი, მრავალეროვანი, ევროპის და აზიის გავლენები. აქ ხომ კინოკოსტუმი გადამწყვეტია?!
„მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა დიდი შრომა გასწია უამრავი პერსონაჟისთვის, როგორც მხატვრულ – ისტორიულად გამართლებული, ისე სახასიათო ჩაცმულობის შესაქმნელად", – წერს თავის საინტერესო კვლევაში ლალი გელაშვილი („რეალური სამოსიდან კინოკოსტუმამდე").

ის დიდი თეთრი კაბა, რომელიღაც ეტაპზე გულწრფელად ყველა გოგონას ოცნება (მე ახლაც ვიქონიებდი, ყოველი შემთხვევისთვის), თოვლისგან შეკერილს რომ ჰგავს და მხოლოდ ზღაპრებში ვხვდებით, მედეა ჯაფარიძემ ძალიან კონკრეტული მოცემულობის წლებსა და პერიოდში ზღაპრის ატრიბუტად აქცია. მაგრამ მაყურებელს მაინც ფლეშბექში ნანახი თეთრბაბთიანი მედეა უფრო მძაფრად ჩაებეჭდა მეხსიერებაში.

კიდევ ბევრ როლში ელოდნენ თაყვანისმცემლები მედეა ჯაფარიძეს, მაგრამ მთლიანობაში მის ფილმოგრაფიაში მხოლოდ 15 კინოროლია.

[05]

თეირანში ინგლისელმა ქალბატონმა ანა შელიმ კახელი თავადი ტუსიშვილი გაიცნო. მათ ქალიშვილი ანა ტუსიშვილი ეყოლათ.
ეს უკვე კინოა!
ანა ტუსიშვილის ვაჟი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, „ცისკრის" დამაარსებელი ივანე კერესელიძეა. ივანე კერესელიძე კი ლია ელიავას დედის – ეკატერინე კერესელიძის ბაბუა გახლავთ.

მოულოდნელად შემოიჭრა ქართულ კინოეკრანზე ლია ელიავა, დახვეწილი და მაცდური იმიჯით, ქართულ სისხლში ცოტა ინგლისური სისხლის ნარევით. მისი განსხვავებული სილამაზის აღსანიშნავად, ლია ელიავას კინოში „მოგზავნილი" უწოდეს.

იქნებ ინგლისური ერთი წვეთის ბრალი იყო, თუ „მოგზავნილი" ქალის რეფლექსი, რომ ლია ელიავა პირველი ქართველი მსახიობი ქალია, რომელიც ეკრანზე სიგარეტით გამოჩნდა.

ასევე პირველი ქართველი მსახიობი გახლდათ, რომლის ფოტოც 70-იანი წლებში პოლონური ჟურნალის „ეკრანის" საახალწლო ნომრის გარეკანზე აღმოჩნდა.
70-იანი წლებია, გლამურის გარიჟრაჟი.
ლია ელიავა ერთნაირად განუმეორებე-

ლი და თვალისმომჭრელია თავშალით და 70-იანური ვარცხნილობით; სქელი ნაქსოვი პულოვერით და შავი ცილინდრით.

უცვლელია მხოლოდ რთული და მძიმე ბავშვობა – 1937 წელს გერმანიის შპიონობის ბრალდებით დახვრეტილი მამა და დედა, რომელმაც 9 წელიწადი გაატარა გადასახლებაში. ბებიასთან და ბაბუასთან გაზრდილს 40 კინოროლი აქვს შესრულებული.

მის ლამაზ შვილიშვილს ახლა შეტყობინებას ვუგზავნი, მომწეროს ლიას საყვარელი სუნამოების და ბრენდების სახელები, ნივთები და აქსესუარები, ის, რაც ყველაზე მეტად გამოხატავდა მის იმიჯს.

ანკა მანჯგალაძე

იმ დროს მსახიობები არ იყვნენ განებივრებულები დიზაინერებით ან პარფუმერული სიახლით, განსხვავებით თავიანთი დასავლელი კოლეგებისგან. არც ჰონორარები ჰქონდათ შესაბამისი. ამიტომ უფრო მკერავების ოსტატობით სარგებლობდნენ, ან გადაღებებიდან, სხვა ქვეყნიდან თუ ჩამოიტანდნენ ლამაზ და განსხვავებულ ნივთებს...

ლიას უყვარდა და ხშირად ხმარობდა დიდ ბეჭდებს, რასაც ახლა cocktail ring-ს ვეძახით. ჰქონდა ბევრი ლამაზი ხელთათმანი და პატარა, სხვადასხვა ფორმის ბრჭყვიალა ჩანთა; „ფეტრევაია შლიაპა“ – რომლითაც მას არაერთი ფოტო აქვს გადაღებული – ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თანამედროვე გარეგნობის ქალს თანამედროვე და ქალურ სტილს უმყარებდა.

→ [06] ←

სოფიკო ჭიაურელის იმიჯის შესახებ მოკლედ, ერთ სტატიაში დაწერა შეუძლებელია. აქ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე ქართული ინტერნეტ საძიებელი სასტიკად მწირია. არ იძებნება არც ერთი ბმული, რომელიც მხატვარ/გრიმიორის გურამ ბარნაბიშვილის შემოქმედებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი „ფუფალას“ იმიჯის შესახებ თანამედროვე, ინტერნეტრესურსზე დამოკიდებულ მომხმარებელს ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მისცემს.
ეს ყველაზე კარგად დამახსოვრებული ქართული სახეა. ცნობადობის თვალსაზრისით მას კონკურენტი არ ჰყავს. ამიტომაც არ გამოვტოვებთ ამ სახეს. სოფიკო ჭიაურელის კინოროლებს რაც შეეხება, ეს ცალკე ეპოქაა. ცალკე გვერდებია.

→ [07] ←

ის, რაც ლიკა ქავჟარაძის გამოჩენას მოჰყვა ქართულ ეკრანზე, რთულია დეფინიცია მოუძებნო. მაყურებელი თვალს ვერ უსწორებდა მსახიობს. ის დაახლოებით ოცჯერ გამოჩნდა სხვადსხვა კინოსურათში და ოცჯერვე მოახდინა შთაბეჭდილება.

მახსოვს, ერთ გადაცემაში ჰყვებოდა: პარიზში ფეხით მივსეირნობდი, ავტომობილი დამეწია, ფანჯარა გაიღო და ახალგაზრდა კაცი მომესალმაო... ლიკა ქავჟარაძემ ახალგაზრდა კაცი იცნო – ეს ალენ დელონი გახლდათ. ქართველმა მსახიობმა ფეხს აუჩქარა და ფრანგ მსახიობს გაეცალა...

→ [08] ←

90-იან წლებში, არა თუ ქალის იმიჯი, ზოგადად ქართული კინო გადადის ხელოვნურ სუნთქვაზე. აქაიქ ამოხეთქილ მცირებიუჯეტიან კინოსურათებში თითქოს ქალების გარეშე თამაშდება მოქმედება. მეტწილად ხათუნა იოსელიანი ჩანს, როგორც ყველაზე თამამი მსახიობი.
ამ დროს უახლესი ქართული ისტორიის ყველაზე მძიმე და სამარცხვინო პერიოდი იწყება.
ქალებს ახასიათებთ: თვალს არ მოედონ, მაშინ როდესაც კარგად არ გამოიყურებიან, ჰოდა არ ჩანან ეს ქალები...

რთულია, ერთმანეთს შევადაროთ, რა უფრო მძიმეა: როცა მშობლებს გადასახლებაში ხვრეტენ, თუ როცა სამოქალაქო ომში ებმება ქვეყანა.?! როცა 4-მილიონიან საქართველოში ახალი, იძულებითი ემიგრაციის ტალღა იწყება და მილიონამდე ქალი სხვადასხვა ქვეყანაში მძიმე სამუშაოს თანხმდება ოჯახების და, როგორც შემდეგ გაირკვევა, ქვეყნის გადასარჩენად.

→ [09] ←

და უეცრად, 20-ე საუკუნის „აფთერფართიზე“ დედაქალაქში ხმა გავარდა, – 16 წლის ნუცა კუხიანიძე ნანა ჯორჯაძის „კულინარის 1001 რეცეპტის“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ჰოლივუდში იწყებს მოღვაწეობასო. ნუცას ერთბაშად უხდება ყველა მისი წინამორბედი მსახიობი ქალის ლატენტური ოცნება: ლაჟვარდოვანი ლოს ანჟელესი, ნიცას სანაპიროზე მოწყობილი კინოპავილიონი; პარტნიორები – ნიკ ნოლტი და ჯერემი აირენსი; კინოფესტივალები; ფოტოსესიები და რეცენზიები წამყვან საერთაშორისო კინოჟურნალებში: მან კინოში ჯულიეტას ღიმილი დააბრუნაო, – წერდნენ.

ეს ყველაფერი იმ სივრცეში ხდებოდა, სადაც ქართველი მსახიობების შესახებ ისეთივე ფრაგმენტულია ინფორმაცია, როგორც ამ წერილში.

→ [10] ←

რა იყო მერე?

ამას ახლა ერთად ვადევნებთ თვალს, და როგორც უშუალო მონაწილეებს, გვიჭირს შეფასება.
ბევრი ამბავი დაგროვდა. ამ ამბებს მოყოლა უნდა. კინო ამბავია.

→ [11] ←

სულის დისციპლინა და „კბილის ტკივილი გულში“ – ერთ წინადადებაში ამ განცდებს იწვევს ჩემში ქართველი კინომსახიობი ქალების იმიჯების ხილვა. რაღაც ძალიან ლამაზი და იმედების გაცრუების ნაცნობი პროცესი... სულ სხვანაირი ამბები! პიტნის საწუწნი კანფეტის გარეშე! ●

"სამი სიცოცხლე", ნატო ვაჩნაძე; "ქეთო და კოტე", მედეა ჯაფარიძე; "როცა აყვავდა ნუში", ლია კაპანაძე; "ნატვრის ხე", ლიკა ქავჟარაძე; "ნატვრის ხე", სოფიკო ჭიაურელი; "მამის მკვლელი", ნატო ვაჩნაძე



ნიკო ტარიელაშვილის ფოტოპროექტი

გადასაღები მოედნიდან

მერაბ ნინიძე,
ანა ანტონოვიჩი,
ნანა ჯორჯაძე,
„მეტეოიდიოტი"
2008 წელი

დიტო ცინცაძე,
გოგა დევდარიანი
„მედიატორი"
2009 წელი

ნანა ჯორჯაძე,
„მეტეოიდიოტი"
2008 წელი

მალკომ მაკდოუელი,
კინოალმანახი
„მე მიყვარს თბილისი"
2012 წელი

გიორგი ბერიძე
და ლევან სიხარულიძე,
კინოალმანახი
„მე მიყვარს თბილისი"
2012 წელი

ოთარ იოსელიანი,
უილიამ ლუბჩანსკი
„შემოდგომის ბაღები"
2006 წელი

ჯული ბერტუჩელი,
დინარა დრუკაროვა,
„რაც ოთარი წავიდა"
2003 წელი

ინდუსტრია და თანამედროვე ტექნოლოგიები

Sarajevo Film Festival

სარაევო, როგორც დაუვიწყარი გამოცდილება

>> ნათია ნიკოლაშვილი

უკვე 18 წელია, რაც ბოსნია ჰერცოგოვინას რეგიონის პატარა ქალაქ სარაევოში ტარდება სარაევოს კინოფესტივალი, რომელიც რამდენიმე პროგრამას აერთიანებს ესენია: Sarajevo Talent Campus, CineLink da Work in rogress.

მე მქონდა ბედნიერება 2011 წელს ვყოფილიყავი ამ არაჩვეულებრივი ფესტივალის სტუმარი. ამ წელს კინოცენტრმა შექმნა დელეგაცია, რომელსაც უნდა წარედგინა ქართული მხარე ფესტივალზე, რათა სამომავლოდ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მისცემოდათ საქართველოს მოქალაქეებსაც.

ბოსნია პატარა კოხტა ქალაქია. არ ვიცი, მთაგორიანი ლანდშაფტის გამო, თუ მოსახლეობის უშუალობით მოხიბლულს, პირველი შთაბეჭდილება რაც გამიჩნდა, ის იყო, რომ მეგონა, სახლში ვიყავი. ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, რომ ეს ფესტივალი ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი მოვლენაა კინო სამყაროში, რადგან ზღვარი ცნობილ, წამყვან, უკვე წარმატებულ თუ ჯერ კიდევ დამწყებ სტუდენტს შორის აბსოლუტურად წაშლილია. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ყველანაირი წინაღობის გარეშე შეგეძლოს დალიო ჩაი შარლოტა გინსბურგთან ერთად, უამბო შენი სამომავლო იდეა ჯერემი აირონსს, და შეხვდე მორგან ფრიმენს ისე, რომ თავი ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანად იგრძნო, რადგან გარემო ამისთვის ყველანაირ პირობას გთავაზობს. სარაევოში არ მიდიან კომფორტისთვის ან თავის გამოსაჩენად, იქ ყველა ერთი იდეის – კინოს სიყვარულის გარშემო იკრიბება, და იმ უშუალო და ჰუმანურ დამოკიდებულებას იზიარებს, რასაც ასე გულუხვად ავლენენ ფესტივალის დამფუძნებლები თუ მასზე მომუშავენი.

წელს თბილისს ეწვია სარაევოს კინოფესტივალის დირექტორი მირსად პურივატრა, ინდუსტრიული სექციის ხელმძღვანელი იოვან მარიანოვიჩი, და ინდუსტრიული პროექტების მენეჯერი ენა დოზო. მე მქონდა პატივი, დამესვა რამდენიმე კითხვა ბატონი მირსად პურივატრასთვის:

fp რას ნიშნავს სარაევოს ფესტივალისთვის საქართველოს თავის რიგებში მიღება ან რატომ დაინტერესდით ამ რეგიონით?

საქართველოს კინოცენტრთან დამეგობრების შედეგად ჩვენ აღმოვაჩინეთ არა მხოლოდ ქვეყნის ისტორია, არამედ ამ რეგიონის ძალიან ბევრი ნიჭიერი ხელოვანი. ვფიქრობ, რომ ბოსნიასა და საქართველოს შორის ბევრი საერთოა, ისევე როგორც ჩვენს რეგიონსა და საქართველოს შორის. ამას გარდა, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება თვითონ ქართველი კინოხელოვანისთვის, რათა მათ ადგილი დაიმკვიდრონ ევროპულ კინომარკეტზე. ჩვენს ფესტივალს საქართველო გააცნობს ბევრ ახალ, ნიჭიერ ხელოვანს, რომლებსაც უამრავი საინტერესო რამ აქვთ სათქმელი, და ეს, ასე ვთქვათ, ახალი სისხლი იქნება კინოენისთვის, ესთეტიკისთვის ევროპულ რუკაზე. ვფიქრობ, ნამდვილად შთამბეჭდავი ნამუშევრები მივიღეთ სარაევოს ტალენტ კამპუსისთვის გასული ორი წლის განმავლობაში ქართველი ახალგაზრდებისგან.

fp რა შესაძლებლობები იხსნება ქართველი ხელოვანისთვის სარაევოს ფესტივალზე?

არსებობს რამდენიმე ვარიანტი, პირველი არის Sarajevo Talent Campus, დამამთავრებელი კურსის სტუდენტების და ახალგაზრდა შემოქმედთათვის. მათ ეძლევათ საშუალება, რომ გვეწვიონ სარაევოში რვადღიან ტრენინგზე, დაესწრონ წამყვან ევროპელ თუ სხვა კინოშემოქმედთა ლექციებსა და ვორქშოფებს. Sarajevo City of Film შემდეგი პროექტია, რომელლიც აძლევს შესაძლებლობას კინოხელოვანს, დარეგისტრირდეს და პროფესიონალურ დონეზე მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღების საშუალება მიეცეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია მონაწილეების კარიერული წინსვლისთვის.

მარცხნიდან მარჯვნივ: იოვან მარიანოვიჩი; თამარ ტატიშვილი; მირსად პურივატრა და ენა დოზო; თამარ ტატიშვილი; მარიამ კანდელაკი; ნატო შარაბიძე, ბესო ოდიშარია და ირმა ჯანჯღავა; სალომე სეფაშვილი, მირსად პურივატრა და იოვან მარიანოვიჩი; ქეთი მაჭავარიანი და ენა დოზო

ასევე გვაქვს პროექტი CineLink, სადაც ქართველ კინომოღვაწეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გააგზავნონ მხატვრული ფილმის პროექტები, განავითარონ და წარადგინონ სცენარი სარაევოს კინოფესტივალის ფარგლებში, გააცნონ პარტნიორებს და პროდიუსერებს სხვადასხვა რეგიონიდან; რაც ხელს შეუწყობს სამომავლო კოპროდუქციას ან სხვა ქვეყნებიდან თანხის მოძიებას.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, უკვე ყველას აქვს შესაძლებლობა, რომ გამოაგზავნოს ფილმი საკონკურსო სექციაში, რადგან საქართველო უკვე არის მონაწილეთა სიაში. მათ შეეძლებათ დაესწრონ კინოფესტივალს, მიიღონ ჯილდოები და მოხვდნენ წითელ ხალიჩაზე, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს მათ კარიერულ წინსვლას.

fp რატომ უნდა ესტუმროს კონკრეტულად ახალგაზრდა კინოხელოვანი ან სტუდენტი Sarajevo Talent Campus-ს?

ამისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი გვაქვს. ჩვენ მათ ვეპატიჟებით რვადღიან ლექციებსა თუ შეხვედრებზე წამყვან კინომოღვაწეებთან და კინოპროფესიონალებთან. ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ იმისგან განსხვავებული სწავლების მეთოდით ჩაუტარდებათ ვორქშოფები, ვიდრე ამას შეჩვეულები არიან. ვფიქრობ,ეს მნიშვნელოვანი პლუსია. მეორე მიზეზი არის მათი შეხვედრები კოლეგებთან. ვფიქრობ, ფაქტია, რომ არ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი რესურსებით ფილმის წარმოება, ამიტომ აუცილებელია პარტნიორების მოძიება სხვადასხვა რეგიონიდან და ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და წავახალისოთ სწორედ ეს კავშირი. და მესამე არის შესაძლებლობა, რომ შეხვდნენ კინოინდუსტრიის უკვე შემდგარ და წამყვან სახეებს. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ხელოვანისთვის წარმატებულ მსახიობთან, პროდუსერთან ან კინოკომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრება; მით უმეტეს, რომ ჩვენ გვქონდა ისეთი შემთხვევები, როცა ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან – ჟულიეტ ბინოში, კევინ სპეისი და ჯერემი აირონსი დათანხმდნენ, მონაწილეობა მიეღოთ რეგიონში გადაღებულ ფილმებში. ეს იშვიათი შესაძლებლობაა, ასე მარტივად მიაწვდინო ხმა მსგავს ვარსკვლავებს.

fp როგორია შემდგომი ნაბიჯები რომლის განხორციელებასაც გეგმავთ კინოცენტრთან ერთად. რა სამომავლო მიზნებია დასახული ამ ეტაპზე?

პირველი ნაბიჯი არის ის, რომ რამდენადაც შეგვიძლია წავახალისოთ ქართველი კინოხელოვანები, გამოაგზავნონ თავიანთი პროექტი თუ მონაცემები რომელიმე სექციაში და შემოგვიერთდნენ სარაევოს კინოფესტივალზე. შემდეგი კი ნამდვილად არის ჩვენი სურვილი, რომ ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან და ვნახოთ, თუ რამდენად გვაქვს შესაძლებლობა საერთო ნაწარმის შესაქმნელად, რათა მივიღოთ საქართველო-ბოსნია ან საქართველო და ჩვენი რეგიონის კოპროდუქცია. ქართული ფილმები, რომელიც ვნახეთ, თემატურად ეხება იმ პრობლემებს, რაც ბოსნიამ უკვე გაიარა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო იქნება კოპროდუქციის შემთხვევა, და იმის ნახვა, თუ როგორ შევთამაშდებით ერთმანეთთან.

ბატონ მირსადს დავემშვიდობეთ და დიდი მადლობა გადავუხადეთ სტუმრობისთვის. მე კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველაზე დიდი ხიბლი ის ადამიანური უბრალოებაა, რომლითაც საყვარელ საქმეს უდგებიან. ჩემი მხრიდან კი სიამოვნებით ვურჩევ კინოში ჩართულ ყველა ადამიანს, და ყველა ახალგაზრდა კინორეჟისორს, პროდუსერს, სცენარისტს თუ მსახიობს, რომ გამოიყენონ უნიკალური შესაძლებლობა და გახდნენ სარაევოს კინოფესტივალის მონაწილეები. ●

თამარ ტატიშვილი;
ნიკოლოზ ხომასურიძე;
ქეთი მაჭავარიანი და
ლაშა ხალვაში;
სანდრო ჯანდიერი;
სალომე ჯაში

ლოკარნო – ფოკუსი კავკასიაზე

>> ქეთი მაჭავარიანი

შვეიცარიის მთებში ჩაკარგული პატარა ქალაქი აგვისტოში ერთი კვირის მანძილზე კინომოყვარულთათვის ცხელი წერტილია. 2013 წელს უკვე სამოცდამეექვსედ გაიმართება ლოკარნოს ერთ-ერთი უძველესი კინოფესტივალი.

ფესტივალის ფარგლებში იმართება ინდუსტრიული პლატფორმა

Open Doors, სადაც სამოცამდე პროდუსერი ჩადის საინტერესო პროექტების საპოვნელად. სექცია შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული განვითარებისა და კოოპერაციის სააგენტოს მხარდაჭერით 12 შერჩეული პროექტის ავტორს ეპატიჟება ლოკარნოში და, პროდუსერებთან წარდგენის გარდა, საუკეთესო პროექტს აჯილდოვებს 40000 ევროთი (პირველი პრიზი), ასევე „არტე"-სა და CNC პრიზებით მომდევნო ორ ადგილზე გასული პროექტების ავტორებს. წელს Open Doors-ს სამხრეთ კავკასიისკენ აქვს ორიენტაცია. ამიტომ ადგილობრივი სიტუაციის – ინდუსტრიის წარმომადგენლების გაცნობის მიზნით, 1-3 ნოემბერს თბილისს ესტუმრნენ მარტინა მალაკრიდა – Open Doors-ის ხელმძღვანელი, და ჟოელ შაპრონი – ფესტივალის კონსულტანტი და რეგიონის ექსპერტი. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, სტუმრები ქართველ რეჟისორებსა და პროდუსერებს შეხვდნენ და გააცნეს პროგრამის პირობები.

Open Doors-ის ხელმძღვანელი მარტინა მალაკრიდა ამ შეხვედრის შემდეგ უფრო დაწვრილებით თავიანთი გეგმების შესახებ „ფილმპრინტს" ესაუბრა.

fp საიდან გაჩნდა იდეა, რომ წელს თქვენს პროგრამას Open Doors („ღია კარი") ფოკუსი კავკასიაზე გაეკეთებინა?

როგორც ვიცით, წინა წლებში ასეთი რეგიონები და ქვეყნები იყვნენ ცენტრალური აზია, კუბა, ინდოეთი.

მარტინა მალაკრიდა: მე Open Doors-ის ხელმძღვანელი 2010 წელს გავხდი, ჟოელ შაპრონთან ერთად მაშინვე გადავწყვიტე, ყურადღება ცენტრალური აზიისთვის მიგვექცია. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო – საოცარი ატმოსფერო დაგვხვდა, მე ბევრი რამ არ ვიცოდი რეგიონის შესახებ; 2011 წელს ფოკუსი ინდოეთზე იყო, წელს აფრიკაში წავედით; ახლა კი ზუსტი მომენტი იყო კავკასიისკენ მოგვეპყრო თვალი.

fp რა ინფორმაციას ფლობთ რეგიონის შესახებ? ქართველი რეჟისორის დიტო ცინცაძის ფილმმა „ზღვარზე" ჯერ 1993 წელს მოიგო ლოკარნოს „ვერცხლის ლეოპარდი", შემდეგ მისი ფილმი „კაცი საელჩოდან" ფესტივალზე ნომინირებული იყო. იცით რაიმე სხვა ქართველი ავტორების შესახებ?

მარტინა მალაკრიდა: მე ბევრი არაფერი ვიცი ქართველი რეჟისორების შესახებ. სწორედ ახლა დავიწყე ინფორმაციის შეგროვება, კითხვა, ფილმების ნახვა. და სწორედ იმიტომ, რომ მე მხოლოდ ახლა ვიწყებ გაცნობას, ჟოელი არის ჩემთან ერთად, რადგან მან ძალიან კარგად იცის რეგიონი.

fp რას უნდა ველოდოთ, იმის შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა Open Doors-ის ფოკუსში მოექცევა სომხეთთან და აზრბაიჯანთან ერთად?

მარტინა მალაკრიდა: როგორც წესი, ჩვენ Open Doors-ის შეხვედრების შემდეგ გვაქვს 3-4 პროექტი, რომელიც პოულობს კო-პროდუსერს. შემდეგი 3-4 წელი ჩვენ თვალს ვადევნებთ პროექტების განვითარებას, გვაინტერესებს, როგორ მიდის ფილმის კარიერა; თუ ის დამთავრებულია, შესაძლოა, ის მოხვდეს ლოკარნოს ფესტივალის კონკურსში, ან სადმე ფესტივალზე.

fp როგორ ფიქრობთ, წელს, როცა ფოკუსი კავკასიაზეა, როგორი იქნება Open Doors-ზე ჩამოსულ პროდუსერთა ინტერესი კავკასიურ პროექტთა მიმართ?

მარტინა მალაკრიდა: ყოველ წელს ვცდილობთ, ჩვენს სექციაზე დასასწრებად საუკეთესო პროდუსერები მოვიწვიოთ, რადგან ეკონომიკური კრიზის გამო, ძნელია ფილმის წარმოება, თანა-პროდუსერობა კი ორმაგად რთულია. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ რეგიონით ბევრი დასავლეთ ევროპელი და ასევე აღმოსავლეთ ევროპელი პროდუსერი დაინტერესდება. თან თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასია აფრიკაზე გაცილებით ახლოსაა... ახლა კი ყველაზე რთული საქმე კარგი პროექტების აღმოჩენა და შერჩევაა. ხშირად პროდუსერები მხოლოდ კარგ პროექტს ეძებენ, და ამ შემთხვევაში რეგიონს არანაირი მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

შესარჩევ ტურს ადრიანად დავამთავრებთ, აპრილში უკვე გვექნება შედეგები და ჩვენს ბროშურებს გავავრცელებთ კანის ფესტივალის დროს პროდუსერთა ყურადღების მისაპყრობად. უკვე 3 წელია, ასეთ სტრატეგიას ვირჩევთ. ამის შემდეგ პროდუსერებს 3 თვე აქვთ მათთვის საინტერესო პროექტის ასარჩევად.

ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს არჩეული მონაწილეების პროექტების წარდგენისთვის ორდღიან მომზადებას.

ვფიქრობ, ძალიან კარგი პლატფორმაა, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ლოკარნოში ვერ იპოვნეთ თანაპროდუსერი, ეს მომავლისთვის კარგი კონტაქტების დამყარების ადგილია. შეიძლება კონკრეტულმა პროექტმა ვერ მიიპყროს ყურადღება, მაგრამ, შესაძლოა, სხვა პროექტისთვის დაინტერესებული პროდუსერი მოძებნო. ლოკარნო კარგი ადგილია შეხვედრებისთვის; ეს არ არის კანი, სადაც ურთულესია შეხვედრის მოწყობა. ლოკარნოში შეხვედრა ადვილია; ლოკარნო პატარა ქალაქია. გელით ლოკარნოში Open Doors-ის კარი ღიაა!!! ●

საუბარი გიო ცინცაძეზე

ავტორი ზაზა რუსაძე

ზაზა რუსაძე: მოდი, გიოზე ვილაპარაკოთ. უცნაურია, არა? იმიტომ, რომ... რამდენი დრო გავიდა უკვე?

ინეკე სმიტსი: რაც გიო გარდაიცვალა? ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

ზაზა რუსაძე: 6 თვე ანუ?... როდის იყო?

ინეკე სმიტსი: მე მგონი, ივნისში, ივნისის შუაში. საშინელებაა, თარიღები როდესაც არ გახსოვს, არა?

ზაზა რუსაძე: ისე, რა მნიშვნელობა აქვს თარიღებს. უცნაურია, რომ გიოს სიკვდილი თითქოს არც დარეგისტრირებულა ჩემთვის. არის დღეები, როდესაც ვფიქრობ: ო, გიოს უნდა დავურეკო, როგორ არის? სვაამს? ახალ რამეზე მუშაობს? ეს არის ის განცდა, რაც თან მდევს. როდესაც მოსაშვილის ქუჩაზე მანქანით გავივლი ხოლმე, მაშინ ვაცნობიერებ, რომ გიო მოკვდა, აღარ არის ცოცხალი. აქ აღარ არის და თითქოს სხვაგანაა.

ინეკე სმიტსი: იცი, ჩემთვისაც ძალიან უცნაურია. ჩვენ ვმეგობრობდით და ვთანამშრომლობდით. გიო ყოველთვის ძალიან ადრეულ ფაზაში ჩაერთვებოდა ახალ ფილმზე მუშაობის პროცესში. ამ მხრივ, გიო არ იყო მხოლოდ კომპოზიტორი. ჩვენ სკაიპით ველაპარაკებოდით ერთმანეთს რეგულარულად. თუ დიდხანს არაფერს გავიგებდი მისგან, ავნერვიულდებოდი ხოლმე. მერე ისევ გამოძვრებოდა თავისი „გამოქვაბულიდან". სკაიპში, მარჯვენა მხარეს იმ ადამიანების ჩამონათვალია, ვისაც ერთი კვირის, ორი კვირის, სამი თვის წინათ ესაუბრე, და იქ უკვე ვხედავ, რომ გიოს სახელი ქვემოთ და ქვემოთ ჩადის. გიოს გარდაცვალების შემდეგ კინოფონდებში ახალი განაცხადები იყო შესატანი და მაშინ გავაცნობიერე, რომ გიოს სახელი, როგორც კომპოზიტორის, უნდა ამომეღო ამ განაცხადებიდან. ეს რაღაცნაირი ტკივილი იყო. გტკივა მაგ დროს. ზუსტად, როგორც შენ ამბობ – ადამიანი, რომელიც აქ აღარ არის... რეალიზმი სწორი სიტყვა არ არის... ნამდვილი, გასაგები, კონკრეტული ხდება ეს ყველაფერი...

ზაზა რუსაძე: თან შენთვის გაცილებით რთულია, იმიტომ, რომ გიო ალბათ ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც შენს იდეებზე ელაპარაკებოდი. გახსოვს, ერთხელ გითხარი, რომ გიო, როგორც ადამიანი, „ძალიან ბევრი" იყო. მისთვის თანამშრომლობის, დიალოგის, საუბრის ინტენსიურობა არასდროს იყო საკმარისი. მას ყოველთვის მეტი უნდოდა; უფრო მეტი, ვიდრე ეს ხანდახან შესაძლებელი იყო. მახსოვს, როგორი გახარებული იყო, როდესაც შენი ფილმის საქმე წინ დაიძრა. გიოს ორი ფაზა ჰქონდა, როდესაც იგი წუწუნებდა, რომ უამრავი საქმე აქვს, და რომ რაღაცები იდეალურად არ არის, ან ისე როგორც მას წარმოუდგენია. მეორე ექსტრემალურობა გიოსთვის არაფრის კეთება იყო – სმა, ან თუნდაც არსმა. ამ ორ პოლუსს შორის მოძრაობდა სულ... 2 დღის წინათ ვსაუბრობდით შენ და მე, რომ იმ ფილმში, რომელზეც ახლა მუშაობ, მუსიკა არ იქნება. როდის მიიღე ეს გადაწყვეტილება?

ინეკე სმიტსი: იცი, რაღაცნაირად გადავწიე ეს საკითხი თუ გადაწყვეტილების მიღება. პირველი ფილმი გიოს გარეშე... რთული ასახსნელია... ამ ფილმისთვის გიომ პირველი მონახაზი დაწერა – პატარა მელოდია სტვენით. რამდენიმე კვირის წინათ მივხვდი, რომ ამაზე ფიქრი უნდა დავიწყო. ველაპარაკე ხმის ინჟინერს/დიზაინერს, რომელმაც ჩვენი ბოლო ფილმი „ყაზბეგელი მფრინავი„ გააკეთა, და გიოსთან თანამშრომლობდა, თბილისშიც იყო და ამსტერდამში გიოსთან ერთად ფინა-

ფოტო: ინეკე სმიტსის პირადი არქივიდან

ლურ მიქსზე. მარკს პირდაპირ ვუთხარი, არ ვიცი, გიოს ადგილი ვინ შეიძლება დაიკავოს მეთქი. რაღაც ახალი გზა მაქვს მოსაძებნი და საუბრის დროს თითქოს ერთად მივედით ამ აზრამდე, რომ ჩემს ახალ ფილმში საერთოდ არ იქნება მუსიკა. ეს ჩემი პირველი ფილმი იქნება მუსიკის გარეშე, და მხოლოდ იმ პატარა სტვენის მელოდიით, რომელსაც ჯერ ზუსტად არც ვიცით, როგორ გამოვიყენებთ. მართალი გითხრა, რაღაცნაირად დავმშვიდდი ამ გადაწყვეტილების შემდეგ. თითქოს პატარა მონუმენტი იქნება გიოსთვის და პაუზა ჩემთვის, რაღაცების გასაცნობიერებლად... დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ზაზა რუსაძე: მე მგონი, კარგი იდეაა. დანაშაულის გრძნობა ალბათ არასწორი სიტყვაა, მაგრამ ალბათ უცნაური იქნებოდა. სხვანაირად თითქოს ღალატს დაემსგავსებოდა, არა? მე გიოსთან არ მიმუშავია, მაგრამ მახსოვს, რამე ახალს რომ დაწერდა და მომასმენინებდა, საშინლად ნერვიულობდა, დიდ პასუხიმგებლობას გრძნობდა, ბავშვივით ხდებოდა. მაგრამ იცი, ყველაზე მეტად რას ვაფასებდი გიოში? – მისთვის დიალოგი იყო ძალიან მნიშვნელოვანი; საუბარი იმის შესახებ, თუ იმისთვის, რომ გაერკვია, რა არის ის, რასაც ეძებდა. მცდელობა, რომ რაღაცის ზედაპირში შეჭრილიყო და არა კონკრეტიკაში ჩაძირულიყო. გიოს სულ ასეთ ადგილას ყოფნა თუ ამ მდგომარეობის მიღწევა უნდოდა. საათობით გვისაუბრია ამის შესახებ. გახსოვს, სულ ლაპარაკობდა ტემპერატურაზე; ამბობდა, – იმისათვის, რომ რაღაც ახალი ან საერთოდ რაიმე დაიბადოს, გარკვეული ტემპერატურაა საჭიროო, და ამასთანავე ძალიან განიცდიდა ამ ტემპერატურის ნაკლებობას, განსაკუთრებით ჩემს თაობაში. გიო და მე სხვადასხვა თაობა ვიყავით, და მე რაღაც მხრივ მადლობელი ვარ, რომ გიომ ის მეხსიერება გადმომცა – რომ საუბრის ეს ფორმა თუ მცდელობა ოდესღაც იყო შესაძლებელი და მერე გაქრა თუ დაიკარგა. ჩემთვის გიოს ეს მეხსიერება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, თავის ახალგაზრდობას, საბჭოთა პერიოდის ნაწილს თითქოს აიდიალებდა კიდევაც.

ინეკე სმიტსი: კი ნამდვილად ასეა, განსაკუთრებით პერესტროიკის დროს. მუსიკის ჩაწერის მეთოდები ძალიან განსხვავებული იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, საქართველოსა და ჰოლანდიაში. მაგალითად, ჩვენთან მუსიკოსებს საათობრივი ანაზღაურება აქვთ. გიოს გამოცდილება კი ორკესტრთან ერთად ხანგრძლივი, ინტენსიური მუშაობა იყო. ჰოლანდიაში მოვიდოდნენ მუსიკოსები ჩაწერაზე, ჩაბერავდენ ინსტრუმენტებს და წავიდოდნენ. გიო ძალიან იტანჯებოდა ამის გამო. მისთვის დიდი ფრუსტრაცია იყო ასე მუშაობა. ვერ ხვდებოდა, რა ხდება, ვერ აკონტროლებდა, განიცდიდა. მაშინ ინგლისურადაც არ ლაპარაკობდა კარგად. მერე მის პარტიტურებში რაღაც ჩანაწერები რომ დაინახა, ძალიან გაბრაზდა. დიდი ჩხუბები გადავიტანეთ. ძალიან რთული სიტუაცია იყო გიოსთვის და, რასაკვირველია, ჩემთვისაც. მე ამის ყველაფრის დაბალანსება მიწევდა. მარტენ ვან ხენტთან მეგობრობაც ამ დროიდან დაიწყო. გიოსთვის მარტენი ძალიან მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გახდა ამ ორ სამყაროს შორის. ეს ჩემი მხატვრული ფილმის „მაგონიას„ ამბავია. ეს იყო გიოს პირველი საერთაშორისო ფილმი. გიომ ამ ფილმით აღიარება მოიპოვა უცხოეთში. თან ამას ერთვოდა 90-იანი წლების სავალალო შედეგები, დიღმის კინოსტუდია დანგრეული და გაპარტახებული იყო. არ არსებობდა მუშაობის ნორმალური პირობები. მაგრამ ჩვენი ამ პირველი გამოცდილების შემდეგ გიომ მითხრა, – ინეკე, მოდი, მუსიკა ისე ჩავწეროთ, როგორც მე მინდა; მოდი, ეს საქართველოში გავაკეთოთო. ჩვენ დავიწყეთ მუსიკის ჩაწერა დიღომში, როდესაც სტუდია

ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაში იყო – დენი ითიშებოდა, ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა. „პუტინის დედა“, „შავი ოქრო“, შემდეგ „დუბაი“ ამ ფილმების მუსიკა დიღომში ჩავწერეთ. ერთად სულ 7 ფილმი გავაკეთეთ. მოიცა, მოდი დავითვალოთ – „ნოსტალგია“, „მაგონია“, „პუტინის დედა“, „შავი ოქრო“, „დუბაი“, „ყაზბეგელი მფინავი“. 6 თუ 7? რაღაც მავიწყდება. ხო, „როზ, ვაიოლეტ ენდ ლილი“ – ეს იყო ჩვენი პირველი თანამშრომლობა, ჯერ კიდევ „ნოსტალგიამდე“.

ზაზა რუსაძე: შენ, როგორც რეჟისორი, გიოსადმი ძალიან ერთგული იყავი. „მაგონია“ მისი პირველი საერთაშორისო ფილმი იყო, და საქართველოს საზღვრის გადაკვეთის გზა; თავისი ნეგატიური გამოცდილებით, რომელზეც საუბრობდი, და რასაც გიო არ ნანობდა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმის შემდეგ გიომ კომპიუტერით მუშაობა დაიწყო; იყენებდა კიბორდს მიდი ფაილების შესაქმნელად. თუმცა ამ პროცესის ბოლოს გიოსთვის არ მოიაზრებოდა სხვა გზა, გარდა მუსიკის ცოცხლად ჩაწერისა. ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან, ვისთანაც გიო თანამშრომლობდა და ვისთანაც, ბიუჯეტის სიმცირის გამო, მან ვერ მოახერხა ცოცხალი ორკესტრის ჩაწერა, ძალიან განიცდიდა ამას. უფროსი თაობის სხვა მუსიკოსების თუ კომპოზიტორებისგან განსხვავებით, იგი ყოველთვის გათვითცნობიერებული იყო და ახლოს იყო თანამედროვეობასთან. დაინტერესებული იყო თანამედროვე ტექნოლოგიებით. სულ რაღაც პროგრამებს იწერდა ინტერნეტით, მერე კომპიუტერი უფუჭდებოდა, უფეთქდებოდა. გიო ყოველთვის ღია იყო სიახლის მიმართ. მახსოვს, როგორ ვცვლიდით ხოლმე მუსიკას ერთმანეთში. ერთხელ ვლადისლავ დილეის ახალი ალბომი გადავუწერე – ფინელი კომპოზიტორია, რომელიც ელექტრონულ მუსიკას აკეთებს. ეს გაცვლა ძალიან დამაკლდება.

ინეკე სმიტსი: გიოზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ძალიან ცნობისმოყვარე იყო. აინტერესებდა ახალი თაობა და მასთან თანამშრომლობა. უყვარდა ახალგაზრდებთან მუშაობა. ეზიზღებოდა თბილისური ზამთრები. ხშირად დეპრესიაში ვარდებოდა და ზუსტად ამ დროს ჩამოდიოდა ხოლმე, როგორც თვითონ დაარქვა, „სანატორიუმ ჩრდილოეთის ვარსკვლავში“, რომელიც იყო ჩემი სახლი როტერდამში. ყოველდღე გადიოდა სახლიდან და ათვალიერებდა, თუ რა ახალი შენობები აშენდა ქალაქში მისი იქ არყოფნის დროს. ბილეთებს ყიდულობდა კონცერტებზე. დედაჩემს პატიჟებდა, ძალიან მეგობრობდნენ, დედაჩემი თითქმის 80 წლისაა. მუზეუმებში ახალ გამოფენებს ათვალიერებდა. გიო ახალგაზრდა იყო, არც ერთი ჭაღარა არ ჰქონდა თმაში შერეული, სწორედ იმიტომ, რომ ცნობისმოყვარე იყო. ხშირად ბრაზდებოდა, რომ კულტურის დონე, როგორც თვითონ ამბობდა, დაბლა და დაბლა იწევდა, რასაკვირველია მის სტანდარტებთან შეფარდებაში. თან გიო ყოველთვის არაელიტისტური პოზიციდან საუბრობდა. მისი მეგობრები იყვნენ მეეზოვეები და არ ვიცი... დედოფლები. მაგრამ ეს ცნობისმოყვარეობა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო... ახლა ამას ინტერვიუ გინდა დაარქვა?

ზაზა რუსაძე: არა. მე არც მიფიქრია ინტერვიუზე. როდესაც მთხოვეს შენთან ინტერვიუ გამეკეთებინა, ვიფიქრე, უფრო საინტერესო იქნებოდა, უბრალოდ გიოზე გვესაუბრა. ასე ვთქვათ, საუბარი ორ კოლეგას შორის გიო ცინცაძეზე; ერთი რეჟისორი, რომელიც გიოსთან თანამშრომლობდა, და მეორე რეჟისორი, რომელიც უბრალოდ დიდი დამფასებელი იყო გიოს მუსიკის. მე მგონი, ასე უფრო სწორია.

ინეკე სმიტსი: ჰო, მართალი ხარ, ასე ჯობს; და დავარქვათ ამას საუბარი გიოს შესახებ. და ფოტოები გჭირდება, არა? უნდა მოვძებნო. ალაბთ გიოს არ მოეწონებოდა ეს ფაქტი; მაგრამ გიო, ახლა ჩვენ შეგვიძლია შენზე ხმამაღლა ვილაპარაკოთ... ●

ფოტო: ინეკე სმიტსის პირადი არქივიდან

ოპე-
რა-
ტორე-
ბი

ავტორი: ვონა ბროდსკი



1. რომელ კინოეპოქაში იმუშავებდით?
2. რას უწუნებთ ოპერატორების ძველ\ახალ თაობას?
3. გადასაღებ მოედანზე ხშირად გიფიქრიათ, რომ რეჟისორობასაც შეითავსებდით?
4. არ გწყდებათ გული, რომ ფართო მაყურებელი მარტო რეჟისორის და მსახიობების გვარებს იმახსოვრებს, და ოპერატორისგვარს თითქმის არასდროს?
5. რა გირჩევნიათ, ნახევარი დღე, პირობითად რომ ვთქვათ, ჩიტების გადაფრენას ელოდოთ, თუ შემდეგ კომპიუტერულ გრაფიკას მიმართოთ?
6. ციფრული კამერა თუ ფირი?
7. ვინ არის თქვენი საყვარელი ოპერატორი და რომელ რეჟისორთან გიოცნებიათ, გემუშავათ?
8. რა აზრის ხართ ქალ ოპერატორებზე?

გიორგი გერსამია

1.. დღევანდელ დროს, როცა ტექნიკური საშუალებების დამსახურებით, ოპერატორს შეუძლია ბოლომდე გამოამჟავნოს თავისი ინდივიდუალურობა.

2.. ახალ თაობას ვუსურვებდი, რომ მსოფლიო კინოკლასიკა კარგად შეისწავლოს და უფრო მომთხოვნი იყოს საკუთარი თავის მიმართ.

3.. რეჟისორობა სულ სხვა პროფესიაა. მე ოპერატორის პროფესიის ერთგული დავრჩი.

4.. როცა პროფესიონალები აფასებენ ფილმს, ისინი ოპერატორის ნამუშევარს გვერდს ვერ აუვლიან.

5.. მახსოვს, რამდენ ხანს ველოდებოდით ხოლმე ღრუბლებს. ახლა ამაზე დროს არავინ ხარჯავს. კომპიუტერი ძალიან გვეხმარება.

6.. ციფრულ კამერაში მომწონს ის, რომ კადრის გაკონტროლება შეგიძლია, გადაღებისთანავე შეიძლება შესწორებების შეტანა. ფირს მალე გამოიყენებენ მარტო ძვირადღირებული კომერციული პროექტებისთვის.

7.. სტუდენტობისას გრეგ ტოლანდის, "მოქალაქე კეინის" ოპერატორის, დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი. შემდეგ სერგეი ურუსევსკის, ლევან პაატაშვილის და იური კლიმენკოს შემოქმედებას ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს. ბევრი ნიჭიერი მხატვარი-ოპერატორია: გიორგი რერბერგი, პაველ ლებეშევი, ვიტორიო სტორარო......

8.. ოპერატორი ქალბატონები პატივისცემას იმსახურებენ. ისინი არანაკლებ კარგ ფილმებს იღებენ. გამოვარჩევდი ანა ფოერსტერს (Anonymous), კაროლინა შამპეტიერს (Holy Motors), მარგარიტა პილიხინას (Мне двадцать лет), აგრეთვე_ მარინა გოლდოვსკაიას დოკუმენტურ ფილმებს.

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი



ფოტო: ლევან ხახარელიძე

გიორგი ბერიძე

1.. თუ კინოეპოქის არჩევაზე მიდგა საქმე, ნამდვილად არ მინდა არსად დაბრუნება და მომავალი უფრო მაინტერესებს.

2.. ახალ თაობას არაფერსაც არ ვუწუნებ. ერთადერთი, რაც მათ აკლიათ, არის ბევრი და მრავალფეროვანი ფილმი.

3.. რეჟისორობაზე როგორ არ მიფიქრია, მაგრამ ეს არანაირად არ ეხება იმ გადასაღებ მოედნებს, სადაც ოპერატორად ვმუშაობ.

4.. არ ვარ ბუნებით ყურადღების ცენტრში ყოფნის მოყვარული, და ამიტომ პირადად მე ნამდვილად არ მწყინს, მაგრამ ზოგადად ჩვენი პროფესიისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ გულდასაწყვეტია.

5.. ნახევარი დღე კი არა, ზუსტად მთელი წელი გვივლია ჩიტების გადაფრენის გადასაღებად, კვირები დავლოდებივართ სასურველ ამინდს, და მთელი დღე გაგვიტარებია იმის მოლოდინში, რომ მზე ჩვენთვის საჭირო წერტილში მისულიყო. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ ჟანრს და ფილმს გააჩნია, მივმართავ თუ არა კომპიუტერულ გრაფიკას.

6.. სულ ხუთიოდე წლის წინათ ცალსახად გიპასუხებდით, რომ ფირი.

მაგრამ ახლა არც ისე მარტივია, იგივე გიპასუხოთ. ჯერ ერთი, ფირი, გვინდა თუ არ გვინდა, წარსულს ბარდება; და მეორე – ციფრმა ძალიან ბევრ ისეთი რამ მოგვიტანა, რაზე უარის თქმა, არ მგონია, სწორი იყოს. მოკლედ, თუ ჩვენს პროფესიას პირობითად ორ – ტექნიკურ და შემოქმედებით ნაწილად დავყოფთ, ციფრულმა კინემატოგრაფმა მინიმუმამდე შეამცირა “ტექნიკური სიმძიმეები” და საოცრად გაგვიზარდა “შემოქმედებითი საშუალებები”.

7.. საბედნიეროდ, იმდენი დიდი ოპერატორია და იმდენი დიდი რეჟისორი, რომ არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე.

8.. ხომ არიან ქალები – კარგი მხატვრები, მუსიკოსები, რეჟისორები... სწორედ ზემოთ ნახსენები ცვლილებების გამო, ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში ბევრ ქალ ოპერატორსაც ვიხილავთ.



არჩილ ახვლედიანი

1.. იმაში, რომელშიც ვართ. ეპოქას ქვეყანასაც დავუმატებდი და გეტყოდით, რომ დღეს და აქ, სახლში.

2.. ძველების პოეტურობის და პროფესიონალიზმის მშურს!.. ახლებისაც. მე ვის რა უნდა დავუნუნო, დასანუნი საკუთარი თუ მაქვს.

3.. არასდროს არ მიფიქრია ასეთი რამ.

4.. გააჩნია მაყურებელს; ოპერატორსაც. არა, არ მწყდება გული.

5.. ჩიტები! აბა, რა!!!

6.. სხვა დროა. გიჟური, თანამედროვე, სწრაფი. ორი-სამი წლის წინათ სხვა პასუხს გაგცემდით ალბათ, და ახლა სულერთია. ამ შემთხვევაში, მართლა მწყდება გული, რომ მაყურებლისთვის სულერთია; [illegible]სია, რო? – მაყურებლის, მეტი არავისი!

7.. პაველ ლებეშევი. რეჟისორებზე კი არასდროს მიოცნებია... მართლა!

8.. “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”.

მინდია ესაძე

1.. თანამედროვე.

2.. თაობებს ვერაფერს დავუწუნებ; უსაფუძვლოდ ამბიციური გამონაკლისები კი ადრეც იყვნენ და ახლაც არიან.

3.. არა.

4.. არა.

5.. ეს კითხვა პროდუსერებს ეკუთვნით.

6.. ორივე – მთავარია, ვიცოდეთ, რა გვინდა საბოლოოდ.

7.. ოპერატორი ლევან პაატაშვილი. რეჟისორი მამაჩემი – რეზო ესაძე.

8.. მივესალმები ყველა პროფესიონალს, ქალი იქნება თუ კაცი.

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

1. რომელ კინოეპოქაში იმუშავებდით?
2. რას უნუნებთ ოპერატორების ძველ\ახალ თაობას?
3. გადასაღებ მოედანზე ხშირად გიფიქრიათ, რომ რეჟისორობასაც შეითავსებდით?
4. არ გწყდებათ გული, რომ ფართო მაყურებელი მარტო რეჟისორის და მსახიობების გვარებს იმახსოვრებს, და ოპერატორისგვარს თითქმის არასდროს?
5. რა გირჩევნიათ, ნახევარი დღე, პირობითად რომ ვთქვათ, ჩიტების გადაფრენას ელოდოთ, თუ შემდეგ კომპიუტერულ გრაფიკას მიმართოთ?
6. ციფრული კამერა თუ ფირი?
7. ვინ არის თქვენი საყვარელი ოპერატორი და რომელ რეჟისორთან გიოცნებიათ, გემუშავათ?
8. რა აზრის ხართ ქალ ოპერატორებზე?

გიორგი შველიძე

1.. მეგობრების და თანამოაზრეების გარეშე, კინოს კეთება წარმოუდგენელი მგონია, ამიტომ ისევ აწმყოს, ჩვენს ეპოქას ავირჩევ; ოღონდ თუ მუშაობაა, მართლა ბევრს ვიმუშავებდი.

2.. დარწმუნებით არ ვიცი, მაგრამ ვუსურვებ მეტ გამბედაობას პირველ რიგში ჩემს თავს.

3.. პირიქით, არასდროს მიფიქრია, მაგრამ შემითავსებია.

4.. ზუსტად ამიტომ ავირჩიე ეს პროფესია, რომ ვინც საჭიროა, იმან დამიმახსოვროს.

5.. ამინდს გააჩნია.

6.. ციფრული.

7.. მიოცნებია, რომ მეგობრებთან ერთად გადავიღო მეტი ფილმი. საყვარელი ოპერატორი არ მყავს და ვცდილობ, რომ არც მყავდეს.

8.. რატომაც – არა (თუმცა, ბევრი კითხვა კი მაქვს ქალბატონებთან).

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

გოგა დევდარიანი

1.. ყველა ეპოქა საინტერესოა.

2.. არაფერს არ ვუწუნებ.

3.. რეჟისორობა შემითავსებია.

4.. არა.

5.. რეჟისორთან ერთად გადავწყვეტდი.

6.. ორივე.

7.. არასდროს მიფიქრია.

8.. წარმატებებს ვუსურვებ.

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

ირაკლი მეტრეველი

1.. არ ვიცი.

2.. მე ვის რას უნდა ვუწუნებდე?

3.. კი, ზოგჯერ, მაგრამ სურვილი არ მქონია.

4.. მე გული არაფერზე მწყდება.

5.. გარეთ ყოფნა მირჩევნია, კომპიუტერთან ჯდომას.

6.. ფილმს გააჩნია.

7.. არ მიოცნებია არავისთან მუშაობაზე.

8.. არ ვიცნობ არავის.

1. რომელ კინოეპოქაში იმუშავებდით?
2. რას უწუნებთ ოპერატორების ძველ\ახალ   თაობას?
3. გადასაღებ მოედანზე ხშირად გიფიქრიათ, რომ რეჟისორობასაც შეითავსებდით?
4. არ გწყდებათ გული, რომ ფართო მაყურებელი მარტო რეჟისორის და მსახიობების გვარებს იმახსოვრებს, და ოპერატორისგვარს თითქმის არასდროს?
5. რა გირჩევნიათ, ნახევარი დღე, პირობითად რომ ვთქვათ, ჩიტების გადაფრენას ელოდოთ, თუ შემდეგ კომპიუტერულ გრაფიკას მიმართოთ?
6. ციფრული კამერა თუ ფირი?
7. ვინ არის თქვენი საყვარელი ოპერატორი და რომელ რეჟისორთან გიოცნებიათ, გემუშავათ?
8. რა აზრის ხართ ქალ ოპერატორებზე?



ფოტო: ანდრო ქრისი

ტატო კოტეტიშვილი

1.. ვიმუშავებდი ისეთ დროში, როცა კომპიუტერული საშუალებები არ არსებობდა, და ბევრად მეტი ექსპერიმენტი და გამოგონება იყო საჭირო რაიმე ეფექტის მისაღწევად. კომპიუტერი იმდენ რამეს ხდის ხელმისაწვდომს, რომ მოსაწყენიც არის; ოღონდ იმ პირობით, რომ ვიცხოვრებდი ჩვენს დროში და სამუშაოდ გასულ ეპოქაში წავიდოდი.

2.. ასე ოპერატორების თაობებად დაყოფა არ გამომდის. დაშტამპული ხალხი არ ვართ და ერთნაირად არ ვფიქრობთ, თაობების მიხედვით. ყველა განსხვავებულია. ზოგი უფრო ტექნიკურია, ზოგი კონცეპტუალური, ზოგს რბილი ხასიათი აქვს, ზოგი ციხის უფროსს ჰგავს, ზოგი ცოტა აფრენს, ზოგი მუნჯია, ზოგს ვერ გააჩერებ... მრავალფეროვანი კასტა ვართ. თაობებს შორის ალბათ ტექნიკური კუთხით არის სხვაობა. თუმცა, ძველი თაობის ისეთ ოპერატორებსაც ვიცნობ, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებში უფრო ერკვევიან, ვიდრე ჩემი თაობის ოპერატორები.

3.. საერთოდ, რეჟისორობა ძალიან მაინტერესებს, მაგრამ რეჟისორს ამით არ ვუშლი ხელს, და არაფერს არ ვითავსებ.

4.. მაგაზე არ მწყდება გული.

5.. გააჩნია ფილმს. სხვა მაგალითს მოგიყვანთ: ზოგი რეჟისორი სთხოვს მსახიობს, დაეძინოს კადრში, და კამერის ჩართვასთან ერთად მსახიობი იძინებს. ზოგი კიდევ დასვამს მსახიობს და უღებს იმდენ ხანს, სანამ მართლა არ ჩაეძინება. ფილმს რომ უყურებ, ხშირად რეალური და კომპიუტერული სხვადასხვა შეგრძნებას გიტოვებს. გააჩნია, რა უფრო სჭირდება ფილმს.

6.. ციფრული უფრო პრაქტიკულია, მაგრამ აქაც გააჩნია, რა კინოს იღებ. შეიძლება, საერთოდ VHS- ითაც გადაიღო .

7.. რაც დრო გადის, ინტერესები, გემოვნება და ხედვაც მეცვლება. არ მაქვს ასე, რომ ერთხელ მომეწონა რაღაც, და მაგ აზრზე ვრჩები ბოლომდე. ისეთი ოპერატორები მომწონს, ვინც გრძნობს ისტორიას, და აქედან გამომდინარე იღებს ფილმს, უბრალოდ ლამაზი კადრების კრებულს კი არ იღებს. თუმცა, ზოგჯერ ამის გაკეთებაც გვიწევს.

ოცნება ძალიან ძლიერი სიტყვაა. ისე, მაინტერესებს იმ რეჟისორებთან მუშაობა , ვისაც ვიცნობ და ვისი იდეებიც მომწონს, თან კარგი ურთიერთობაც მაქვს. უცხოსთან არ მქონია სურვილი, რომ მემუშავა. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ეწყობით პიროვნულად. თუ ვერ ეწყობით, როგორი კარგი რეჟისორიც უნდა იყოს, არ ღირს მუშაობა.

8.. მე მგონი, კარგი ოპერატორი პირველ რიგში ფასობს ხედვით, იდეებით და გემოვნებით. ჰოდა, იდეებს კუნთები არ სჭირდება.

ფოტო: